თენგიზ გრიგოლია

# მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური რუკის რეგიონალური ასპექტები

„ტექნიკური უნივერსიტეტი"

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თ. გრიგოლია

# მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური რუკის რეგიონალური ასპექტები

რეგისტრირებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

წიგნი ინფორმაციას აწვდის მკითხველებს მსოფლიო პოლიტიკური რუკის რეგიონალიზაციის საკითხებზე. ნაშრომში განხილულია მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე არსებულ რეგიონების, სახელმწფოების გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნება, რეგიონების როლი კაცობრიობის ისტორიაში, თანამედროვე პოლიტიკური, ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხები. ევროპის, ამერიკის და სხვა წამყვანი ინდუსტრიულ სახელმწიფოთა გავლენა მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაზე.

წიგნი განკუთვნილია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრებისა და ბაკალავრებისათვის, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული გეოგრაფი-ისა და რეგიონების პოლიტიკურ-გეოგრაფიული პრობლემებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.


რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
**მაია ამირგულაშვილი.**

რეცენზენტი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
**ზურაბ კვეტენაძე.**



© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი'', 2009



ISBN 978-9941-14-521-6
http://www.gtu.ge/publishinghouse/



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

# შესავალი

წიგნში განხილულია მსოფლიო რეგიონების და წამყვანი სახელმწიფოების ისტორიულ-პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული ასპექტები. ის ძირითადი ისტორიულ-გეიპოლიტიკრი პროცესები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა და აქვს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც საქართველო გახდა საერთაშორისო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, ისტორიული, პოლიტიკური და გეოგრაფიული მეცნიერების წინაშე დღის წესრიგში დადგა მსოფლიოს რეგიონალიზაციის პროცესების მრავალმხრივი შესწავლის აუცილებლობა.

ნაშრომი იძლევა ზოგად წარმოდგენას მსოფლიო პოლიტიკური რუკის რეგიონალიზაციის პრობლემებზე, მოსახლეობისა და მეურნეობის ჩამოყალიბების ისტორიაზე, რეგიონების ცენტრალურ პრობლემებზე, რეგიონის ქვეყნების პოლიტიკურ-გეოგრაფიულ პრობლემებზე, ბუნებრივ გარემოზე, რესურსებზე და პოლიტიკაზე, რეგიონების ზოგად დემოგრაფიულ სურათზე, პოლიტიკური გეოგრაფიის ისტორიულ წანამ-

ძღვრებზე, გეოპოლიტიკაზე, თანამედროვე პოლიტიკურ გეოგრაფიაზე.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ისეთ პარამეტრებზე როგორიცაა: მსოფლიო რეგოინების ეკონომიკური, პოლიტიკური, გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური ჩარჩო, რეგიონის სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის კონტურები, რეგიონების გეოპოლიტიკური მდგომარეობა, გეოპოლიტიკური და გეოეკნომიკური კავშირებისაკენ ლტოლვა.

ყველასათვის ნათელია, რომ რეგიონების სიძლიერეს თანამედროვე პერიოდში განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: სამხედრო, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და კულტურული. ოთხივე აღნიშნულ სფეროში ჯერჯერობით აშშ, შემდეგ ევროპა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ინარჩუნებენ ლიდერობას. დღეისათვის რეგიონალიზაციის პროცესები, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცეებზე დადებით გავლენას ახდენს.

რეგიონალიზაციის საქმეში უნდა გამოიყოს ცვლილებათა ორი ტიპი: მსოფლიო რუკაზე მომხდარი

ცვლილებები რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, მეორე – ცვლილებები ხარისხობრივი მაჩვენებლებით, რომელთაც გააჩნია თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული პერიოდიზაციის ეტაპები.

მსოფლიო რეგიონალიზაციის პროცესებს სათავე დაუდო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ჩამოყალიბებამ. დღეისათვის რეგიონალიზაციის პროცესებში არსებობს ძლიერების სამი ცენტრი: 1. ჩრდილო ამერიკის ატლანტიკური სანაპირო, 2.ევროპული სანაპირო, 3. ევრაზიის შორეული აღმოსავლეთი.

მას შემდეგ რაც საქართველო გახდა მსოფლიო თანამეგობრობის წევრი, მსოფლიო რუკაზე არსებულ რეგიონალიზაციის პროცესების შესწავლას, მის წარსულსა და დღევანდელობას, და მასთან ურთიერთობას ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

# ამერიკის ეკონომიკური დარაიონება

ისეთი დიდი ქვეყნებისათვის, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია მითუმეტეს ესოდენ მაღალი მომწიფებული მეურნეობისა და ტერიტორიული სტრ-უქტურისა, ეკონომიკური დარაიონება იღებს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას, მაგრამ დროთა განმავ-ლობაში ის ცვალებადია.

კოლონიზაციის ეპოქაში და შეერთებული შტატების არსებობის პირველ ეტაპზე ყველაზე წინ გამოყოფდნენ ქვეყნის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს, რომლებიც ძლიერ გამოირჩეოდნენ საერთაშორისო და ეკონომიკური განვითარებით. ტერიტორიის ათვისების შემდეგ დასავლეთ ნაწ-ილში ქვეყნის მესამე დიდი რაიონი – დასავლეთია სამნაწილად ამგვარი დაყოფა საბოლოოდ დამკვიდრდა XIX საუკუნის მიწურულს. დარაიონება შეერთებული შტატებისა, სავსეა სიღრმისეული აზრით. „ჩრდილოეთ ამერიკისათვის – ეს ინდუსტრიის სიძლიერეა, გიგანტური ქალაქები, დემოკრატიზმი და ემიგრანტების სიუხვე, ხოლო სამხრეთი – ეს უბრა-

ლოდ ცხელი კლიმატია, დაჯილდოებული შავკანიანი მოსახლეობით, სოციალური ცხოვრების შენელებული სვლით და ცხოვრებისეული ჩამორჩენით.

რაც შეეხება დასავლეთს – ეს არის ფართო ჰორიზონტები და ფართო შესაძლებლობები ადამიანის საქმიანობისათვის. აგრეთვე არის სუსტად მითვისებული ტერიტორია მდიდარი რესურსებით, მაგრამ გამარტივებული ცხოვრების წესით“.

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მდგომარე-ობა საგრძნობლად შეიცვალა, ეს სტერეოტიპები ნელ—ნელა შეუდგნენ საკუთარი თავის აღმოფხვრას. საკმა-რისია ვთქვათ, რომ ჩრდილოეთის წილი რესურსებისა მოსახლეობაში საგრძნობლად შემცირდა 1990 წლის დასაწყისში 44 და 50%-ით, სამაგიეროდ სამხრეთის და დასავლეთის რესურსების ნაწილი გაიზარდა. პირველის შემთხვევაში 34 და 22%-ით, ხოლო მეორის შემთ-ხვევაში 32 და 18%-ით.

ეს ძვრები 90-იან წლებში კვლავ გრძელდებოდა, რაც გვაძლევს იმის საშუალებას რომ გავაკეთოთ დასკვნა სამივე ეკონომიკურ რაიონში რესურსების

და ძალების გათანაბრებისა და განვითარების შესახებ.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკის სამწევრიანმა ეკონომიკურმა დანაწილებამ გამოიწვია ქვეყნის დაყოფა ოთხ ეკონომიკურ რაიონად. ეს გადაწყვეტილება ისეთმა საჭირო ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო, როგორიც არის გადამწერთა ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობდა მოსახლეობის აღწერას, მრეწველობას და სხვა. ამგვარი დაყოფის დროს სამხრეთის და დასავლეთის საზღვრები არ შეცვლილა, ხოლო ჩრდილოეთი კი ორ ნაწილად გაიყო ჩრდილო – აღმოსავლეთი და დასავლეთის შუა ნაწილი.

მოგვიანებით გადამწერთა საზოგადოებამ დაიწყო მიღება უფრო კონკრეტული გეგმისა, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყნის ძირითადი ტერიტორიების ცხრაწევრიან ეკონომიკურ დარაიონებას, რომელიც გახდა ფართოდ გამოყენებადი სამეცნიერო გეოგრაფიულ ლიტერატურაში.

ხარისხობრივად ეკონომიკურ რაიონებში განიხილება ახალი ინგლისი, შუაატლანტიკური შტატები,

ჩრდილო-აღმოსავლეთის ცენტრი, ჩრდილო დასავლეთის ცენტრი, სამხრეთ ატლანტიკური ცენტრი, სამხრეთ-აღმოსავლეთ ცენტრი, სამხრეთ-დასავლეთი ცენტრი, მთიანი შტატები და წყნარი ოკეანის შტატი.

ცხრავე ეკონომიკური რაიონის ურთიერთშედარებით აშშ-ს სურს თქვას, რომ ტერიტორიულად პირველ, მეო-რე და მესამე ადგილებს იკავებენ წყნარი ოკეანე (26,4%), მთიანი შტატები (22,8%), საბოლოოდ ჩრდილო დასავლეთი (13,7%). ხოლო რაც შეეხება მოსახლეობის სიმრავლით, განსაკუთრებულად გამოიყოფა სამხრეთ ატლანტიკური შტატები.(17,6%), ჩრდილო-აღმოსავლეთის ცენტრი (16,9%), და წყნარი ოკეანის შტატები (16,1%).

1989 წელს ლ.ვ.სმირნიაგინმა თავის ნაშრომში "თანამედროვე ამერიკის პორტრეტი" წარმოგვიდგინა თემა, რომელშიც ავტორმა განახორციელა არაჩვეულებრივი ეკონომიკური დანაწილება და კიდევ უფრო მნიშვნე-ლოვანი და რთული დარაიონება მოსახლეობისა!

სმირნიაგი ამერიკის შტატებს ყოფს ოთხ მიკრო-რეგიონად, მაგრამ მათ საზღვრებში ასევე გამოყოფს 33 რაიონს.

## ნიუ-იორკი - ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური დედაქალაქი

ნიუ-იორკი – ერთადერთი და რთული მოვლენაა თანამედროვე სამყაროში. ეს გახლავთ რეკორდულად დიდი ზომის ქალაქი, ურბანიზაციის თავისებური აპოფეზით, მოწმე უსასრულო სიდიდისა. "ეს არის საზეიმო ფასადი ამერიკის წარმოებისა. არის უნიკალური საერთაშორისო ცენტრი. უცხოელი ტურისტებისთვის ნიუ-იორკი არის სახეცვლილება მთელი ამერიკისთვის, მაგრამ თავად ამერიკელებისათვის ეს არის ქალაქი – კოსმოპოლიტი, გრანდიოზული ქალაქი კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნისა". ასე ახასიათებენ ნიუ-იორკს ცნობილი

ამერიკანიზაციის შემსწავლელი გეოგრაფები ა.ვ. ნოვიკოვი და ლ.ვ.სმირნიაგინი. მომავალში სმირნიაგინს არაერთხელ მოყავს ნიუ-იორკის მაგალითი, როგორც მსოფლიო ქალაქისა, რომლის მნიშვნელობა სცდება ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებს, აი რატომაც არის აუცილებელი და საინტერესო მისი დეტალურად შესწავლა.

ნიუ-იორკის ისტორია მოითვლის არაუმეტეს IV ასწლეულს. ნიუ-იორკის განვითარებაში განსაკუთრე-ბული როლი ითამაშა მისმა ეკონომიკურ – გეოგრა-ფიულმა ადგილმდებარეობამ. ხარისხის ზრდასთან და ყოველმხრივ განვითარებასთან ნიუ-იორკი სულ უფრო მკაფიოდ განსაზღვრავდა აშშ-ს როლს, როგორც მისი ეკონომიკური დედაქალაქი.

ნიუ-იორკის აგლომერაციას უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 0,2%, მაგრამ აძლევს 11% მის საშინაო პროდუქციის ზრდას. თავისი პროდუქციის წარმოებით ის ცილდება მთელ კანადას. ნიუ-იორკი არამარტო ეკონომიკური დედაქალაქია, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს ტრანსპორტის განვითარებაში, ის აგრეთვე არის ფინანსური დედაქალაქი აშშ-სა,

მნიშვნელოვანი ცენტრი არაწარმოებადი მოქმედების მართვისა, ინფორმაციისა და კულტურისა. ძირითადი კრებული მისი ქალაქობრივი ფუნქციებისა  დალა-გდა ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნის დასაწყისში, მაგრამ ურთიერთობამ მათ შორის  განსაკუთრებით მეცნიერულ-ტე-ქნიკური რეფორმების ეპოქაში, გაინ-ცადა ძალიან დიდი ძვრები.

ხანგძლივი დროის განმავლობაში ნიუ-იორკის მნიშვნელობას განსაზღვრავდა მისი საპორტო ფუნქ-ციები. ის განლაგებული იყო ჰავაის არქიპელაგზე, ქვეყნის შუაში, რომელიც მოსახერხებელი იყო ჰუდ-ზონისთვის და ერი – არხისთვის. ნიუ-იორკი კი ორი ასწლეულის მანძილზე იყო აშშ-ს საპორტო ქალაქი მთელი დასავლეთის გზისთვის და გარკვეული დრო-ის მანძილზე მთელი მსოფლიოსთვისაც.

რაც შეეხება ტვირთბრუნვას მან პირველობა დაუთმო როტერდამს 1962 წელს, თუმცა მაინც რჩე-ბოდა მსოფლიოში დიდ სამგზავრო პორტად. მისი გავლით საზღვაო სადგურებს ყოველწლიურად 1 მლნ. მგზავრი გადიოდა. ნიუ-იორკის ისტორიული საპორტო ფუნქციები მჭიდროდ უკავშირდება მისი

განვითარების და მრეწველობის ფუნქციას. პირველ რიგში, ეს უკავშირდება სხვადასხვა სატვირთო ნედლეულს, რომლის საფუძველზეც დიდ ნიუ-იორკში წარმოიშვა მძიმე ინდუსტრიის წარმოება.

ნიუ-იორკი აშშ-ს ცენტრია და ერთ-ერთი უდიდესი ცენტრთაგანია მსოფლიოში. ამ ქალაქში მდებარეობს ქვეყნის უდიდესი ბანკი, მთავარი სადაზღვევო კომპანიები, ისეთი წამყვანი საერთაშორისო სავაჭრო ბირჟები, როგორიცაა ხორბლის, ბამბის, ყავა-შაქრის; ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა მიეკუთვნება მსოფლიოში უდიდეს საფინანსო-საბანკო ოპერაციების რიცხვს.

როგორც მაღალგანვითარებული რაიონი, როგორც მსოფლიო ქალაქი, ნიუ-იორკში მდებარეობს შტაბ-ბინა, რამდენიმე ათეული მსხვილი სამრეწველო და აშშ-ს სხვა კორპორაციები, მათ შორის "ექსონი", "მობილი", "ფილიპმორისი" და სხვა.

ნიუ-იორკი აშშ-ს უდიდესი სამეცნიერო-კულტურული ცენტრია. აქ არის პირველი სასწავლო დაწესებულებები, სამეცნიერო ინსტიტუტები, ბიბლიოთეკები და მუზეუმები, თეატრები და კინო-თეატრები.

ერთდროულად ეს არის “ახალი ამბების დედაქალაქი”, სადაც მდებარეობს უდიდესი სატელევიზო კომპანიები. ძალიან ბევრი, ყველაზე მნიშვნელოვანი და მასობრივი ჟურნალ-გაზეთების რედაქციები. ეს არის შემთხვევითი პოლიგრაფიული მრეწველობა-ქალაქში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამკერვალო მრეწველობას.

ახლა მივუბრუნდეთ ნიუ-იორკის ტერიტორიეული სტრუქტურის საკითხს. არა მხოლოდ აუცილებლს და საინტერესოს, არამედ ფრიად არაჩვეულებრივს. მისი განხილვის გარეშე შეუძლებელია გაიგო თუ რატომ სხვადასხვა, ამასთან ერთად მთლად უტყუარ წყაროებში, გვხვდება ამ ქალაქის მოსახლეობის შესახებ მონაცემები. ეს მონაცემები უტყუარია. ბრალოდ ყველაფერი დამოკიდებულია, იმაზე თუ რა ფარგლებში განიხილება ნიუ-იორკი. თავის დროზე ეს საზღვრები განისაზღვრებოდა 5 სტრუქტურული ელემენტისთვის.

ქალაქის ისტორიული ბირთვის ქვეშ როგორც წესი აღნიშნავენ ნიუ-იორკის საგრაფოს, რომელზედაც განლაგებულია პატარა მანჰეტენი. ოთხ მეზობელ

საგრაფოსთან ერთად ისინი ქმნიან საკუთარ ქალაქს ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტის საზღვრებს, ან როგორც უწოდებენ ნიუ-იორკ-სიტის.

აუცილებელია გავიგოთ დიდი ნიუ-იორკის შესახებ, რომლის მოედანი არ აღემატება ათსს, მოსახლეობა კი ორჯერ უფრო მეტია. ასეთ შემთხვევაში ნიუ-იორკის მუნიციპალურ საზღვრებში უმატებენ ურბანიზაციის არეალს, რომელიც განლაგებულია ჩრდილოეთით და დასავლეთით. როდესაც საუბარია დიდი ნიუ-იორკის აგლომერაციის შესახებ, მაშინ მოითვლიან ურბანზაციის ტერიტორიასაც გაწოლილს ნიუ-იორკ-სიტისკენ დასავლეთიდან.

ნიუ-იორკის მიკრომდგომარეობა უკეთესია განვიხილოთ საკუთარი ქალაქის მაგალითზე ანდა ნიუ-იორკ-სიტი, რომელსაც უკავია 781 კვ/კმ და 1980 წელს ფლობდა 7,1 მლნ. მაცხოვრებელს.

ხანდახან მას ეძახიან არქიპელაგს, ეს სიმართლეს შეესაბამება, რამდენადაც მხოლოდ 1/8 მისი ტერიტორიების მდებარეობს მატერიკულ ნაწილში, ხოლო 7/8 – კუნძულებზე, რომელიც მდებარეობს მდ. პაუდზონის ტერიტორიაზე.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქალაქი იყოფა ხუთ რაიონად: მანჰეტენი, ბრუკლინი, კვინსი, ბრონქსი და სტეიტენაილენდი. პირველი ოთხი მათგანი ეკუთვნის ერთ საგრაფოს, მაგრამ კუნძული სტეიტენაილენდი მდებარეობს რიჩმონდის საგრაფოში. მთლითანი ქალაქი ნიუ-იორკი წარმოიშვა 1986 წელს.

ხუთი რაიონიდან მანჰეტენი განლაგებულია კუნძულზე, რომლის მოედანი სულ 55კვ/კმ-ია. მისი მუდმივი მოსახლეობა 1,5 მლნ. ადამიანია, მაგრამ ყოველდღიური სამუშაო საათები იზრდება 3-4ჯერ. აქ მდებარეობს ფართო სამუშაო ადგილები ფინანსურ სფეროში, მართვაში, ვაჭრობაში, მეცნიერებაში, კულტურაში და მომსახურეობაში.

ზუსტად მანჰეტენია ის, რაც გასაზღვრავს ნიუ-იორკის არქიტექტურულ გარეგნობას – როგორც ქალაქ ცათამრჯენს. ეს პირველი თორმეტსართულიანი შენობა აქ გამოჩნდა 1890 წელს. ახლა მათი რიცხვი 270-ია. მათგან 130 ორმოც სართილზე მეტია. მიწა მანჰეტენში ისეთი ძვირია, რომ რენტაბელური ყოვლისშემძლე ოფისები თვლიან, რომ უნდა აშენდეს

მხოლოდ მაღალი შენობები, რომლებეიც იქნებიან ოცდაათ სართულიანი.

თანამედროვე ნიუ-იორკის წინაშე დგას ბევრი მწვავე პრობლემა. ეს არის ტრნსპორტის, რომელიც აიხსნება არამარტო ქალაქის ზომით, არამედ ქუჩების სართო სიგანით, რომელსაც 10 ათასი კმ. ავტოპარკი გაეზარდა 13 მლნ. მანქანით, ხოლო მეტროსადგურები, რომელიც მოიცავს 460 სადგურს – 1200 კმ-ია. აგრეთვე მხედველობაში არის მისაღები ქალაქის კუნძულებრივი მდებარეობა; მისი ცალკეული ნაწილები დაკავშირებული არის ერთმანეთთან ხიდებით, გვირაბებით, ბორნებით, გამშვები საშუალებებით, რომლებიც უკვე არ არის საკმარისი და ეს არის ყველა გარშემომყოფთა პრობლემა. ეს ყურადღებით არის განსახილველი თუმცა ამას გასაზღვრავს მისი გეოგრაფიული მდებარეობა ოკეანესთან და ნიუ-იორკის განლაგების თავისებურება.

ნიუ-იორკს ეკუთვნის მსოფლიოში რეკორდული მაჩვენებელი ნაგვის რაოდენობის მხრივ. ერთ სულ მოსახლეზე მოდის 2 კგ. დღეში და აზოტის ოქსიდების ამაღლების მხრივ ის შედის მსოფლიო ქალა-

ქების პირ-ველ ათეულში. რადიკალურ შეცვლას მოითხოვს წყალმომარაგების სისტემა.

შეუძლებელია არ ავღნიშნოთ იმ პრობლემების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ნიუ-იორკის მოსახლეობის ეთნკურ შემადგენლობასთან.

მოსახლეობის 28%-ს შეადგენენ აფროამერიკელები, 16%-ესპანურენოვანი ამერიკელები, 5%-გადმოსახლებულები აზიურ-წყნარი ოკეანის რეგიონიდან. ღოგორც წესი ისინი ცხოვრობენ კომპაქტურ ჯგუფებად ეთნიკურ ქალაქებში და რაიონებში. მანჰეტენში ეს არის ჩინური ჩაინატაუნი, ფერადკანიანების ჰარლემი, ესპანურენოვანი ზემოისტსაიდი. ბრუკლინსი ესპანურეონავი ბრუკლინ ჰეიტი, აფრო-ამერიკული პარკ სლოპი, ბრონქსში ესპანურენოვანი რივერსაიდი და სხვა.

შესაძლებელია ზუსტად იმით აიხსნას ის, რომ ცხოვრების ხარისხით ნიუ-იორკი ბერვად ჩამორჩება ისეთ ლიდერ ქალაქებს, როგორიც არის ვანკუვერი, ვენა, ციურიხი, ვერნი, სიდნეი და ძალიან ბევრი სხვა.

მოსახლეობის რიცხვი ნიუ-იორკის აგლომერციაში 1950წ. შეადგენდა 12,3 მლნ-ს, 1960წ. 14,2 მლნ, მაგრამ 1970 წლის დასაწყისში ის რჩება ერთსადაიმავე სიმაღლეზე 16 მლნ-დან 16,5 მლნ-მდე. 2000 წელს ამ აგლომერაციამ დაიკავა მსოფლიოში მეხუთე ადგილი.

## „ოქროს შტატი“ კალიფორნია

კალიფორნიის შტატი გადაჭიმულია ამერიკის უკიდურეს დასავლეთში და შედის წყნარიოკეანის შტატის შემადგენლობაში. პირველად ეს ადგილები აღმოჩენილი იყო ესპანელების მიერ XVI საუკუნის შუა პერიოდში. ზუსტად მაშინ დაერქვა „კალიფორნია“.

აშშ-ს შემადგენლობაში კალიფორნია შევიდა 1848 წელს მექსიკასთან ომის შემდეგ, ხოლო ორი წლის შემდეგ ის გახდა აშშ-ს 31-ე შტატი. კალიფორნიის თანამედროვე შტატი თანდათან ვი-

თარდება. ის მრავალი აუცილებელი მაჩვენებლით იკავებს ქვეყანაში ლიდერის პიზიციას.

დავიწყოთ მისი ტერიტორიული ზომებით და მოსახლეობით. ის 411 000 კმ$^2$-ია და აშშ-ში იკავებს მესამე ადგილს ალიასკისა და ტეხასის შემდეგ. ევროპაში ის ადგილს უთმობს მხოლოდ საფრანგეთს, ესპანეთს და შვეციას.

საინტერესო და აუცილებელი მონაცემები გააჩნია მას მოსახლეობის შესახებ. 1850 წელს როდესაც კალიფორნიამ მიიღო შტატის სტატუსი, მისი მუდმივი მაცხოვრებლების რიცხვი ვერ აღწევდა 100 ათას ადამიანს. XIX საუკუნის 90-იან წლებში ის გაიზარდა 1 მილიონით. 1910 წელს მაღწია 2,4 მლნ-ს. 1940 წელს ის ამ მონაცემებით გვიდა მეხუთე, ხოლო 1950 წელს მე-2 ადგილზე. მხოლოდ 1980-90-იან წლებში კალიფორნიის მოსახლეობა გაიზარდა 6 მლნ. ადამიანით. 1990-2000 წლებში ის კიდევ გაიზარდა 4 მლნ. ადამიანით, ხოლო საბოლოოდ მოსახლეობის რიცხვმა მიაღწია 33,7 მლნ. ადამიანს.

არანაკლებ აუცილებელია ისიც, რომ კალიფორნია აშშ-ში ითვლება განვითარებულ მექად. აქ არის

ათობით ძლიერი უმაღლესი სასწავლებელი, ასობით კოლეჯი. სტუდენტების რიცხვი 2 მლნ-ს აღწევს.

კალიფორნიის დიდ ტერიტორიაზე განლაგებულია ბევრი საინტერესო ღირსშესანიშნეობა. შევჩერდეთ მხოლოდ სამ მათგანზე; ლოს-ანჯელესი, სან-ფრანცისკო და დიდი კალიფორნიის (ცენტრალური) ველი.

**ლოს-ანჯელესი** – დაარსებულია მექსიკიდან წამოსული ესპანელების მიერ, რომლებიც აქ დასახლდნენ მე-18 საუკუნის ბოლოს. მიუხედავად იმისა, რომ ის განლაგებული იყო ნაყოფიერი ზღვის ნაპირზე, ვითარედებოდა დიდი ხნის მანძილზე. ასე მაგალითად: 1870 წელს მისი მოსახლეობა შეადგენდა სულ 6000-ს, 1990 წელს – 50 ათას ადამიანს.

ეს იყო პროვინციული ქალაქი, ცნობილი თავისი სანაპიროებით და კინოსტუდიებით. შემდგომში ლოს-ანჯელესის განვითარება წავიდა სწრაფი ტემპით. კ-ვე 1930 წლის დასაწყისში ის გახდა „მილიონერი“ ქალაქი. 1970 წელს ლოს-ანჯელესმა გაუსწრო ჩიკაგოს და გახდა მეორე ქალაქი აშშ-ში ნიუ-იორკის შემდეგ. 2000 წლის მონაცემებით მისი მოსახლეობა

შეადგენს 3,7 მლნ. ადამიანს. მეტროპოლიტენის არეალით მისი მოსახლეობა 2000 წელს 9,5 მლნ. ადამიანია. თუ ვნახავთ ლოს-ანჯელესის მოსახლეობის მონაცემებს დავრწმუნდებით რომ ის თანდათან იზრდება.

1950 წელი – 4 მლნ. 1960 წელი – 6,5 მლნ.

1970 წელი – 8,4 მლნ. 1980 წელი – 9,5 მლნ.

1990 წელი – 11,5 მლნ. 2000 წელი – 13 მლნ.

ის იკავებს მე-7 ადგილს მსოფლიოს მაღალმონაცემებიან ქალაქებს შორის. ამასთან ერთად ვითარდება კვების, ნავთობის და ნავთობგადამამუშავებელი საწარმოები. შემდეგ – თვითმფრინავთმშენებლობა, ავიასარაკეტო – კოსმოსური წარმოება და სხვა მაღალი ტექნოლოგიები.

აი უკვე რამოდენიმე ათეული წელია ლოს-ანჯელესი გვევლინება ნიუ-იორკის მთავარ კონკურენტად ქვეყნის ეკონომიკური სახელის მოპოვებაში. ამ კონკურენციით მან ძალიან ბევრს მიაღწია.

1980 წლის დასაწყისში ლოს-ანჯელესი პირველ ადგილზე გავიდა წარმოების განვითარების დონით.

დიდი ლოს-ანჯელესი უმსხვილესი ცენტრია მსოფლიოში აეროკოსმიური წარმოებით, სადაც სრულდება ყველაზე საჭირო ადმინისტრაციული, გამოცდილ – კონსტრუქციული ოპერაციები, რამოდენიმე მსხვილ კორპორაციაში. ზუსტად აქ 1970 წელს იყო შექმნილი კოსმიური ხომალდი „აპოლონი“, ახლა კი აქ იქმნება მრავალჯერადი მოხმარების ხომალდი „შატლი“. მაგრამ უწინდებურად აქ ხორციელდება სამხედრო შეკვეთების შესრულება.

ლოს-ანჯელესი გახდა აშშ-ის ერთ-ერთი მთავარი სამეცნიერო და კულტურული ცენტრი. აქ მდებარეობს სამხრეთ კოლუმბიის უნივერსიტეტი, მრავალი სხვა მსხვილი უნივერსიტეტი სადაც სწავლობს 800 ათასი სტუდენტი. ამას ემატება ათეული სამეცნიერო – კვლევითი ცენტრი, რომელიც თანამშრომლობს როგორც უნივერსიტეტებთან, ისე სამხედრო საწარმოებთან.

ლოს-ანჯელესი – ეს არის აგრეთვე საერთო ეროვნული კანონმდებელი თანამედროვე მოდის და გართობის სფეროში. დისნეილენდი მდებარეობს მისი ერთ-ერთი ქალაქის ტერიტორიაზე, ხოლო კინო-

ინ-დუსტრიის სფეროში მას შეიძლება ვუწოდოთ მსოფლიოს მთავარი ცენტრი. ჯერ კიდევ 1930 წელს აქ მდებარე ჰოლივუდი უშვებდა 2/3 –დან 3/4 – მდე მსოფლიო კინოპროდუქციას, მის 75 კინოსტუდიაში დაკავებული იყო 50 ათასი ადამიანი. ჰოლივუდის დიდება ახლაც არის შემორჩენილი.

მაგრამ ეს ყველაფერი არ გამორიცხავს ბევრ პრობლემას, რომელიც გამოწვეულია ცხოვრების განვი-თარებით და ტერიტორიით. ეს არის ქალაქის ტრანსპორტის პრობლემა. ლოს-ანჯელესში პრაქტი-კულად თითქმის არ მუშაობს სატრანსპორტო საშუ-ალება, ხოლო პირადი მანქანების რიცხვი აჭარბებს 5 მლნ-ს. ქუჩები, გზატკეცილები, კემპინგები იკა-ვებენ ქალაქის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს.

1990 წლის ბოლოს კალიფორნიაში მწვავე ენე-რგეტიკული კრიზისი განვითარდა. მის დასაძლევად შტატის ხელისუფლებას მოუხდა ექსტრემალური ზომების მიღება. სასწრაფოდ იქნა შედგენილი სპე-ციალური პროგრამა საქარე და ჰელიო – ენერგეტი-კის განვითარებისათვის. სხვათაშორის ზუსტად ენე-რგოკრიზისმა კალიფორნიაში, დააჩქარა ჯორჯ ბუშ

უმცროსის გადაწყვეტილება, რომ მიეღო ახალი ენერგოპროგრამის გეგმა აშშ-თვის. ლოს-ანჯელესში ისევე როგორც მთელს კალიფორნიაში რთულად დგას რასობრივი და ეროვნებათშორისი დამოკიდებულების პრობლემა.

**სან-ფრანცისკო** – დაარსებულია ესპანელების მიერ XVIII ს-ის ბოლოს ამავე სახელწოდების არხის ნაპირებთან. ქალაქის სწრაფი ზრდა დაიწყო „ოქროს ციებ-ცხელების“ შემდეგ. XIX საუკუნის ბოლომდე ყველა ძირითადი მონაცემების მიხედვით ის უსწრებდა ლოს-ანჯელესს, შემდეგ სან-ფრანცისკომ დათმო ბევრი პოზიცია. მოსახლეობის რიცხვია 775 ათასი. ამ ქალაქს აშშ-ში უჭირავს მე-13 ადგილი. თუ მხედველობაში მივიღებთ მის აგლომერაციას მაშინ, თავისი 4 მლნ. მოსახლეობით, მას უჭირავს მე-4 ადგილი ნიუ-იორკის, ლოს-ანჯელესის და ჩიკაგოს შემდეგ. ეს მეტყველებს იმაზე რომ ამერიკელების უმეტესობა მას თვლის ყველაზე ლამაზ ქალაქად თავიანთ ქვეყანაში.

**დიდი კალიფორნიის ველი** – უჭირავს 700 კლმ-ნი სანაპირო ღრმული ქედებს და სიერანევადას

შორის, წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს სოფლის მეუნეობის რაიონს ძალიან მაღალი აგროტექნიკის მაჩვენებლით. ველი, რომელზეც მიედინება მდინარეები საკრამენტო და სანხოაკინი ფართოვდება მსხვილი არხების საშუალებით, იკვებება მდინარის წყლებით. მოჰყავთ ორას სახეობაზე მეტი კულტურული მცენარე, მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: ბამბა, შაქრის ჭარხალი, ბრინჯი. აქ გაშენებული აქვთ სხვადასხვა კუ-ლტურები: ჭერმის ბაღები, ფინიკის ბაღები, ყურძნის ვენახები, ატმის და ნესვის ბაღები. აქ არის ნუშის მთელი პლანტაციები და ბერძნული კაკლები, ხოლო მის სამხრეთ ნაწილში მოჰყავთ ლიმონი. მოსახლეობამ უკვე 5 მლნ. ადამიანს მიაღწია, მათ შორის არიან როგორც ლეგალური, ისე არალეგალური ემიგრანტები მექსიკიდან. ისინი დაქირავებულნი არიან სოფლის მეურნეობის სამუშაოებისათვის რომელიც გრძელდება მთელი წელიწადი.

საინტერესოა რომ კალიფორნიის შტატი იკავებს წამყვან პოზიციას ქვეყანაში ალტერნატიული ენერგიის წყაროების მოხმარებით. აქ ცნობილ გეიზერების ველზე მდებარეობს აშშ-ში და მთელს მსო-

ფლიოში უმსხვილესი გეოდეზიური ტერმინალი „გეი-ერსი“ რომელიც 1980 წლის ბოლოს ფლობდა 2 მლნ. კვტ. ენერგიას.

კალიფორნია იყო და რჩება აშშ-ს მთავარ რაიონად საქარე ელექტროსადგურების მშენებლობის მხრივ. აქვე მოჰავას უდაბნოში მუშაობს რამოდენიმე მზის ელექტროსადგური. მთლიანად, ამ შტატის 1-2 მლნ. მცხოვრები სარგებლობს ელექტროენერგიით, რომელიც იწარმოება მისი ალტერნატიული წყაროებით.

## აშშ საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები

შეერთებული შტატები, როგორც მსოფლიოს ეკონომიკის ლიდერი, იკავებს წამყვან პოზიციებს საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში.

ამ ქვეყანაზე მოდის მსოფლიოს შიდა ვაჭრობის ბრუნვის 15%, 32% – ი  პირდაპირი ინვესტიციების

მოცულობა, რომელიც ჩადებულია სხვა ქვეყნების ეკონომიკაში.

ასეთი მაღალი მაჩვენებლების განმარტებისათვის გავიხსენოთ აშშ-ს ძალიან დიდი 1/3-ის მომცემი მთლიანი შემოსავალი ეროვნული პროდუქტისა, იგივე „მეორე ეკონომიკა“ ამ ქვეყნისა, რომელიც ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა შექმნეს მთელი მსოფლიოს ძირითად რეგიონებში. ზუსტად ეს გახდა ერთ-ერთი ნათელი მაგალითი ტრანსნაციონალური და გლობალური ბატონობისა მსოფლიო მეურნეობის სფეროში. საკმარისია ითქვას, რომ საზღვარგარეთის ფილიალებში ტრანსნაციონალურ კომპანიებს დასაქმებული ჰყავთ 400 ათას კაცზე მეტი. უნდა ავღნიშნოთ ამერიკის ვალუტის განსაკუთრებულ როლზე – დოლარზე, რომელზეც მოდის 2/3 მთელი მსოფლიოს ვალუტის დანაზოგი. თუმცაღა, აშშ-ს ვერ ვუწოდებთ გახსნილ ეკონომიკურ ზონას. თუ შევხედავთ ძირითად მაჩვენებლებს აშშ მნიშვნელოვანწილად უთმობს ადგილს ეკონომიკური განვითარების ბევრ ევროპულ სახელმწიფოს. ვთქვათ ექსპორტის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე შტატებში შეადგენს 2600 დოლარს, ევროპაში – 5750 დოლარია.

საექსპორტო კვოტა აშშ-ში აგრეთვე ოდნავ დაბლა დგას, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ეს აიხსნება პირველ რიგში მისი მნიშვნელოვანი შიდასაბაზრო როლით, რომელიც ზომებში განსხვავდება.

ტრადიციული ფორმა აშშ-ს საერთაშორისო ეკონომიკისა, არის შიდა ვაჭრობა. 1960–2000 წლებში მისი ექსპორტი 38-ჯერ გაიზარდა, ხოლო იმპორტი 80-ჯერ და უფრო მეტად. ამ დროისათვის იმპორტის მოცულობამ აშშ-ში გადააჭარბა ექსპორტის მოცულობას, ამან თავის მხრივ გამოიწვია პასიური სავაჭრო ბალანსის ზრდა ქვეყანაში. 2000 წლისათვის სავაჭრო დეფიციტმა მიაღწია უპრეცედენტო აბსოლიტურ ზომებს. სავაჭრო დეფიციტის მსგავსი ზრდა აიხსნება რამოდენიმე მიზეზით: ერთ-ერთი მათგანია 1990 წლის მიწურულისათვის ფასების ზრდა ნავთობზე და ნავთობ პროდუქტებზე, მეორე მიზეზი – იმპორტის დიდი ნაწილის შენახვა და მოხმარება მინერალურ რესურსებში, მესამე მიზეზი – კონკურენციის საფუძველზე აშშ-ს პოზიციების დასუსტება რამოდენიმე სავაჭრო ბაზარზე. ამის მაგალითებია მრავალრიცხოვანი სავაჭრო ომები „საავტომობილო“ - იაპონიასთან, „ბანანის“ - ევროპასთან და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ-ს მონოპოლიები აწარმოებს ბრძოლებს თავის კონკურენტებთან არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ საშინაო ბაზაარზეც.

აშშ-ს საექსპორტო სტრუქტურაში მანქანებისა და მოწყობილობების წილი კიდევ უფრო გაიზარდა. ი-სი სპეციალური საერთაშორისო კორპორაციები იყვნენ და რჩებიან ნავთობმომპოვებელ, სამშენებლო წარმოების, ავტომობილების და თვითმფრინავების ექსპორტიორებად. მათ დაემატა კომპიუტერები, ტელეკომუნიკაციები, სამეცნიერო და სამედიცინო ხელსაწყოები, აეროკოსმიური და ლაზერული ტექნიკა. აგრეთვე გაიზარდა მომხმარებელზე არასავაჭრო საქონლის გაყიდვა: საყოფაცხოვრებო, საოფისე და ფარმაცევტული. მათ გვერდით რამოდენიმეჯერ შემცირდა მეტალის და ქიმიკატების წარმოება, მაგრამ აშშ მაინც რჩება მსოფლიოში სიმინდის, სოიოს, ხორბლის, ბრინჯის და თამბაქოს მსხვილ ექსპორტიორად. კიდევ უფრო სწრაფად, ვიდრე საქონლის, იზრდება სხვადასხვა მომსახურეობის ექსპორტი, რომლის საშემოსავლო ზომის მიხედვით (250 მლრდ.

დოლარი წელიწადში) აშშ იკავებს პირველ ადგილს მსოფლიოში.

დიდი ცვლილებები მოხდა აშშ-ს საიმპორტო სტრუქტურაშიც. 1970 წლის შუა რიცხვებში მან 50%-ზე მეტი შეადგინა, რომელიც დაიხარჯა მანქანებზე და მოწყობილობებზე. ეხლა მთავარ საიმპორტო წყაროდ არის ქცეული მანქანები და მოწყობილობები, ეს მოხდა იმ მთხოვნილებების საფუძველზე, რომელიც გამოიწვია სტრუქტურულ – ეკონომიკურმა გარდაქმნამ.

აშშ-ს გეოგრაფიული განლაგება შიდა ვაჭრობაში აგრეთვე ცვალებადია. 1970 წლის დასაწყისში დაახლოებით 70% იხარჯებოდა სხვა ქვეყნების განვითარებაზე, ხოლო 30% განვითარებადზე. 1990 წლის ბოლოსათვის განვითარებული ქვეყნების წილი შემცირდა, განვითარებადის გაიზარდა. განვითარებული ქვეყნებიდან აშშ ყველაზე დიდ სავაჭრო ურთიერთობებს ამყარებს დასავლეთ ევროპაში – გერმანიასთან, დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან და ნიდერლანდებთან; კანადასთან და იაპონიასთან. განვითარებადი ქვეყნებიდან ლათინურ ამერიკაში –

მექსიკასთან და ბრაზილიასთან; ჩინეთთან და აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებთან. ამასთან მექსიკა და მალაიზია აშშ-ში გზავნიან თავიანთი ექსპორტის 90% -ს, კანადა – 80%-ს, ფილი პინები – 40%-ს, ბრაზილია – 30%-ზე მეტს, იაპონია კი დაახლოებით 20%-ს. მთელი რიგი ამ ქვეყნებისათვის ამერიკის ბაზარზე გამოსვლის უფლების მოპოვებამ, დიდი როლი ითამაშა ეკონომიკის განვითარებაზე. აღსანიშნავია რომ ვაჭრობის მომსახურეობის მხრივ ამერიკა აქაც ლიდერობს, ჯერ მარტო საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავალი შეადგენს 85 მლრდ. ოლარს წელიწადში, ეს დაახლოებით იგივეა რაც საფრანგეთის, ესპანეთის და იტალიის საერთო წლიური შემოსავალი.

უფრო დიდ როლს, ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობაა, აშშ-ს შიდა ეკონომიკურ კავშირებში თამაშობს კაპიტალის ექსპორტი. ადრე ის ხორციელდებოდა ინვესტიციების „საპორტფელო“ ფორმით, ხოლო შემდგომ მისი მასშტაბები გაიზარდა და საზღვარგარეთის ინვესტიციების პირდაპირი მნიშვნელობა მიიღო. 1990 წლის ბოლოს მათმა გამოხმაურებამ აშშ-დან წელიწადში მიაღწია 150 მლრდ. დოლარს,

ხოლო საზღვარგარეთ ჩადებული კაპიტალის მთლიანმა თანხამ გადააჭარბა 900 მლრდ. დოლარს (სხვა მონაცემებით – 1,5 ტრლნ. დოლარს).

ევროპის ცენტრალური – აღმოსავლეთის ქვეყნები იკავებენ ძალიან მოკრძალებულ ადგილს აშშ-ს შიდა ეკონომიკურ ურთიერთობებში, იგივე შეიძლება ითქვს რუსეთის შესახებ, რომელიც იკავებს 35-ე ადგილს ამერიკის იმპორტიორ ქვეყნებს შორის.

ცოტა უფრო სხვანაირად გამოიყურება აშშ-ს შიდა ეკონომიკური კავშირები რუსეთის მხრიდან, მის ექსპორტსა და იმპორტზე ამერიკა იკავებს მე-2 ადგილს გერმანიის შემდეგ; მათზე მოდის შესაბამისად ექსპორტის 9% და იმპორტის 12%. რუსეთის ეკონომიკაში ინვესტიციის ზომის მიხედვით აშშ კვლავ მე-2 ადგილზეა გერმანიის შემდეგ. მიუხედავად ტვირთბრუნვის თანდათანობით ზრდისა 90-იან წლებში, მაინც ვერ პას-უხობს ორივე ქვეყნის ინტერესს. ეს აგრეთვე დამოკიდებულია ტვირთბრუნვის სტრუქტურაზეც: რუსეთის ექსპორტს აშშ-ში ეკუთვნის ფოლადი, ალუმინი, ქიმიკატები, თევზის პროდუქტები, იმპორტს კი – ხორცი, ფრინველი, თამბაქოს ნაწარმი

და მანქანათმშენებლობის პროდუქცია. საინტერესოა რომ აშშ-სთან ურთიერთობაში რუსეთს გააჩნია აქტიური სავაჭრო ბალანსი.

შეიძლება ვთქვათ, რომ მიუხედავად სავაჭრო გაცვლის ჩამორჩენილობისა, შედარებით წარმატებულად ვითარდება სხვა ფორმები, შიდა ეკონომიკურ ურთიერთობებში რუსეთსა და აშშ-ს შორის, მაგალითად სამეცნიერო – ტექნიკურ ურთიერთობებში. ამერიკის კაპიტალდაბანდებას რუსეთის ეკონომიკაში, პირდაპირ ინვესტიციებზე მოაქვს მხოლოდ 30%.

## აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები. საერთო დახასიათება

საზღვარგარეთის აზიაში ახალი ინდუსტრიული ქვეყნების (აიქ) გაჩენა თანამედროვეობის იმდენად მნიშვნელოვანი და არაორდინელური მოვლენა იყო, რომ მის ანალიზს სამამულო და უცხოური ლიტე-

რატურის საკმაოდ დიდი ნაწილი ეძღვნება. ასეთ ქვეყნებს და ტერიტორიებს მიაკუთვნებდნენ ოთხ აზიურ "ვეფხვს" – კორეის რესპუბლიკას, სინგაპურს, ჰონგკონგს და ტაივანს. ახლა მათ ხშირად უწოდებენ "პირველი ტალღის" ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს. "მეორე ტალღის" ქვეყნებს მიაკუთვნებენ მალაიზიას, ტაილანდს, ფილიპინებს და მასთან მიახლოებულ ინდონეზიას.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის შუა წლებში ამ ქვეყნების როლი მსოფლიო პოლიტიკაში და ეკონომიკაში, უნდა ითქვას, რომ მესამე ხარისხოვანი იყო. მაგრამ შემდეგ მათ უფრო აქტიურად და თანმიმდევრულად დაიწყეს "დაწევის განვითარების" პოლიტიკის განხორციელება. ამასთან თავისებურ ნიმუშად, ეტალონად მათთვის იქცა იაპონიის გამოცდილება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ განვითარების იაპონური მოდელი. შემთხვევით არ ამბობენ, რომ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები წეროების სოლივით, "მფრინავი ბატების გუნდივით" გაჰყვა იაპონიას. აკადემიკოსმა ნ.ი. მოიზლევმა ხატოვნად შეარქვა იაპონიას დაჩქარებული განვითარების კაუჭი. ამასთან, არა მარტო ამ ქვეყნების, არამედ მთელი

აზიის – წყნარ ოკეანური რეგიონისთვის. მართალია, ხანდისხან არჩევენ ჩრდ. “პირველი ტალღის” ქვეყნების და სამხრეთის “მეორე ტალღის” ქვეყნების მოდელს. თუმცა საერთო მათ შორის უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება. ორივე შემთხვევაში მათ მიგვიყვანეს, ისე როგორც იაპონიაში – ნამდვილ ეკონომიკურ საოცრებასთან. შედეგად კორეის რესპუბლიკამ და სინგაპურმა უკვე მიიღეს ეკონომიურად განვითრებული ქვეყნების ოფიციალური სტატუსი. ამასთნ კორეის რესპუბლიკა შევიდა რჩეული ქვეყნების კლუბში – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრად.

დანამდვილებით ბოლო 3 – 4 ათეული წლის განმავლობაში აზიურმა “ვეფხვებმა” ნამდვილი ნახტომი გააკეთეს ჩამორჩენილობიდან განვითრების უფრო მაღალი საფეხურისაკენ. ამან ჰპოვა მკვეთრი გამოხატულება მსოფლიოში მთლიანი შიდა პროდუქტის ყველაზე მაღალი ნამატის ტემპების მიღწევაში, რომლმაც 1960 – 1980 წ.წ. შეადგინა 6 – 15 % წელიწადში. 1990წ. პირველ ნახევარში 6 – 9% და მხოლოდ 1990 წლის მეორე ნახევარში შესამჩნევად იკლო.

ყველა ამ ქვეყნებში ასეთი მაღალი ტემპის წაყ-ლობით გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტების საერთო მოცულობის მაჩვენებლები:

| ქვეყანა | მ.შ.პ მლ.დოლარი ვალუტის ოფიციალური კურსი | ადგილი მსოფლიოში |
|---|---|---|
| კორეის რესპუბლიკა | 400 | 12 |
| კუნძული ტაივანი | 260 | 19 |
| სიანგანი | 160 | 25 |
| ტაილანდი | 132 | 30 |
| ინდონეზია | 131 | 31 |
| მალაიზია | 81 | 40 |

ცხრილის შესავსებად დამატებით შეიძლება ითქვას, რომ მ.შ.პ საერთო მოცულობით კორეის რესპუბლიკამ ვალუტის ოფიციალური კურსის გათვლისწინებით გაუსწრო ნიდერლანდებს, ავსტრალიას, მექსიკას, რუსეთს, არგენტინას, შვეიცარიას; ტაივანმა გაუსწრო ბელგიას, შვეციას, ავსტრიას, თურქეთს; სიანგანმა ნორვეგიას, პოლონეთს, საუდის არაბეთს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას; ტაილანდმა და ინდონეზიამ – ფინეთს, საბერძნეთს, პორტუგალიას, ირანს, ისრაელს; მალაიზიამ – ჩილეს, ირლანდიას, პაკისტანს, პერუს, ახალ ზელანდიას, ჩეხეთს, უკრაინას. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ისიც, რომ აზიის აიჭ-ის რეიტინგი მ.შ.პ-ს მაჩვენებლებით, რომელიც გაანგარიშებულია ვალუტის მსყიდველობითი უნარის საფუძველზე უმეტეს შემთხვევაში უფრო მაღალია.

არა ნაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურება აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების მ.შ.პ. მაჩვენებლები საშუალო სულადობის მიხედვით;

| ქვეყანა | მ.შ.პ. ათასი დოლარი (ვალუტის ოფიციალური კურსი) | ადგილი მსოფლიოში |
|---|---|---|
| სინგაპური | 29,1 | 7 |
| სიანგანი | 26,5 | 8 |
| ტაივანი | 17,0 | 25 |
| კორეის რესპუბლიკა | 9,7 | 34 |
| მალაიზია | 4,7 | 49 |
| ტაილანდი | 2,7 | 69 |
| ფილიპინები | 1,1 | 101 |

ორივე ცხრილში მოცემული ციფრების მიხდევით ძნელი არაა შეინიშნოს რომ აზიის ახალი ქვეყნების მ.შ.პ. გაბნევის მაჩვენებლები სულადობის გათვალი-სწინებით საკმაოდ დიდია. მ.შ.პ-ს მიხედვით ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით ლიდერობს უკვე არა კორეის რესპუბლიკა, არამედ მოსახლეობით მცირე სინგაპური, რომელსაც ოდნავ ჩამორჩება სიანგანი. მათი ადგილი მსოფლიოში თურმე უფრო მაღალია,

მაშინ როდესაც დანარჩენი ახალი ინდუსტრიული ქვეყნებისა მნიშვნელოვნად უფრო დაბალი.

საინტერესოა, რომ მ.შ.პ. მოცულობით ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით სინგაპური აღემატება აშშ-ს, გერმანიას, შვეციას, საფრანგეთს; შეიძლება დავამატოთ ის, რომ კიდევ უფრო ხელსაყრელია რესპუბლიკის ანგარიში ვალუტის მსყიდველობითი უნარის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მას მეხუთე ადგილი უკავია მსოფლიოში (87% ა.შ.შ-ს დონისგან; სიანგანს – 71%; კორეის რესპუბლიკას – 45%).

აზიის ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა ასეთ შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწიეს უპირველეს ყოვლისა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელებით. ამასთან მისი გატარების პრიორიტეტი უცვლელი არ რჩებოდა. ინდუსტრიალიზაცია აქ დაიწყო 1950წ.წ. მსუბუქ საფეიქრო მრეწველობაში. 1960 – 1970წ.წ. აქცენტი გადატანილ იქნა მძიმე მრეწველობის დარგებში. უფრო მოგვიანებით კი პრიორიტეტი მიენიჭა შედარებით უფრო შრომატევად და მეცნიერებადტევად წარმოებებს (ელექტრონიკა, ელექტროტექნიკა, ახალი ინდუსტრიული მასალები). არკვე-

ული მოსაზრებებიდან გამომდინარე შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ აზიის ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა იგივე გზა გაიარეს, რაც ევროპის განვითარებულმა ქვეყნებმა: აშშ-მ, იაპონიამ, მაგრამ გააკეთეს ეს ბევრად უფრო სწრაფად. სწორედ ამაში მდგომარეობს თავად ამ ცნების "ახალი ინდუსტრიალიზაციის " აზრი.

ამასთან ერთდროულად იცვლებოდა ამ ქვეყნების საგარეო ეკონომიკური პრიორიტეტებიც. ინდუსტრიალიზაციის საწყის ეტაპზე ორიენტაციას ახდენდნენ ჩანაცვლების მოდელზე. კურსი იმპორტის შესაცვლელად საკუთარი წარმოებით მიმდინარეობდა ნაციონალური წარმოების დაცვით, იმპორტული საქონლის კონკურენციისგან. მეორე ეტაპზე მოხდა ეკონომიკის ექსპორტორიენტირებულ საქონელზე გადასვლა, როდესაც ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა დაიწყეს ორიენტირება ჯერ რიგით ლითონზე, ზოგიერთი სახის მანქანებზე, ქიმიკატებზე, შემდეგ კი უფრო მაღალი ტექნოლოგიური ნაწარმის წარმოებაზე საგარეო ბაზრისათვის. გადასვლა ასეთ ღია ტიპის ეკონომიკაზე მოითხოვდა, როგორც ეკონომისტები აღნიშნავდნენ, სამი დაინტერესებული

მხარის ძალისხმევის გაერთიანებას: ნაციონალური ბურჟუაზიის, სახელწიფოსა და უცხოური კაპიტალის. სახელმწიფოს ზეგავლენით ჩამოყალიბდა ეკონომიკის მსხვილი სახელწიფო სექტორი, რომელიც, როგორც წესი მოიცავს ენერგეტიკას, ტრანსპორტს, სამთო - მოპოვებით მრეწველობას.

შედეგად ამისა აზიის აიქ-ის მეურნეობაში მოხდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული გარდაქმნა. ასე მალაიზიაში და ტაილანდში 1980წ-დან 2000 წ.მდე გაიზარდა მრეწველობის წილი მშპ-ში - შესაბამისად 38%-დან 48%-მდე და 29%-დან 40%-მდე. დაახლოებით ასეთივე მაჩვენებლები ახასიათებს კორეის რესპუბლიკას და ინდონეზიას და მხოლოდ სინგაპურში მრეწველობის წილი შეადგენს 34%-ს. ამჯერად სამრეწველო წარმოების მოცულობით კორეის რესპუბლიკას მე-11 ადგილი უკავია მსოფლიოში (დგას რუსეთზე წინ), ხოლო გადამამუშავებელი მრეწველობის მოცულობით მე-10 ადგილზეა. ტაივანი შესაბამისად იმყოფება მე-18 და მე-14 ადგილზე, ინდონეზია ორივე შემთხვევაში 24-ე ადგილზეა. ტაილანდი მე-20 და 23-ზე. სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ს მოცულობაში, რომ არაფერი ვთქვათ სინგა-

პურზე და სიანგანზე, სადაც ის პრაქტიკულად არ არსებობს, კორეის რესპ-უბლიკაში შემცირდა 5%-მდე და 10-15%-მდე დანარჩენ ქვეყნებში.

დროის განმავლობაში აზიის აიქ-ის უმეტესობისათვის სავიზიტო ბარათად იქცა ელექტრული მრეწველობა; მათზე წილმა ამ დარგის პროდუქციაში 1990წ. გადააჭარბა 1\4. ელექტრონული წარმოების პროფილი თანდათან უფრო იცვლებოდა. აზიის აიქ-მა დაიწყო იაფფასიანი მასიური პროდუქციის გამოშვებით (ელექტრონული საათები, მიკროკალკულატორები, ვიდეოთამაშები და სხვა), შემდგომ კი გადავიდნენ უფრო რთული ნაწარმის გამოშვებაზე (ფერადი ტელევიზორები, ვიდეომაგნიტოფონები) და ბოლოს პერსონალურ კომპიუტერებზე. ერთდროულად დაიწყეს თანაფარდობის ცვლილება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ელექტრონიკას შორის უკანასასკნელის სასარგებლოდ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ განვითარებასთან ერთად აიქ-ი ამერიკული, იაპონური, ევროპული დეტალებისგან ელექტრონული აპარატურის აწყობიდან გადავიდა საკუთარი ინტეგრირებული წარმოების შექმნაზე, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად ტექნოლოგიურ

სტადიებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, რომ ამასთან ერთად დაცულია ცალკეული ქვეყნების საწარმოო სპეციალიზაცია. მაგალითად რადიომიმღებების წარმოებაში განსაკუთრებით გამოირჩევა მალაიზია და სინგაპური, ტელევიზორებით – კორეის რესპუბლიკა, ელექტრონული საათებით – სიანგანი, პორტატული პერსონალური კომპიუტერებით და ნოუთბუქებით – ტაივანი.

მრავალ ფაქტორთა შორის, რომელიც ხელს უწყობდა აზიის აიქ-ის ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას უფრო მაღალ ტექნოლოგიურ საფუძველზე, უპირველს ყოვლისა ყურადღებას იმსახურებს შრომითი რესურსების ფაქტორი. ბუნებრივი რესურსების სიმცირის გამო, ამ ქვეყანაში მთვარი ფსონი გააკეთეს თავის დიდ შრომით რესურსებზე, რომელიც მუდმუვად ივსება მოსახლეობის საკმაოდ მაღლი ბუნებრივი ნამატის წყალობით. სწორედ შრომითი რესურსების სიიაფემ (მუშახელის ღირებულება აზიის აიქ-ში სამ – ოთხჯერ დაბალია, ვიდრე ეკონომიკურად განვითრებულ ქვეყნებში) მნიშვნელოვნად მიიზიდა აქ დასავლეთის ტრანსნაციონალური კორპორაციები მითუმეტეს, რომ მუშახელი

ამ ქვეყნებში აღმოჩნდა არამარტო იაფი, არამედ დისციპლინირებული.

მისი ბოლო თვისება პირველ რიგში დაკავშირებულია განათლების დონესთან. ბოლოს და ბოლოს ყველა აიქ-მა თავისი გარღვევა უზრუნველყო იმით, რომ შემოიღო საყოველთაო საშუალო განათლება, აამაღლა ზოგადი და პროფესიული მომზადების დონე თანამედროვე სტანდარტებამდე. სახელმწიფოს ყველა პრობლემათა შორის განათლების პრიორიტეტულად აღიარებამ გამოიწვია ნამდვილი "საგანმანათლებლო აფეთქება", რომელმაც შეცვალა შრომითი რესურსების ხარისხი. აი რატომ შეიძლება დავეთანხმოთ ა.პ.ლიფეროვს, რომელმაც დაწერა იმის შესახებ, რომ აზიის აიქ-ის "ეკონომიკურ საოცრებას" საფუძვლად უდევს განათლების პრიორიტეტი – ამასთან არა დეკლარატიული, არამედ სავსებით რეალური.

ეს ქვეყნები განათლებისთვის გამოყოფენ მშპ-ის 2,5-დან 4,5%-მდე, რაც მათი მთლიანი მშპ-ს საერთო მოცულობიდან გამომდინარე საკმაოდ საგრძნობ თანხას შეადგენს. ამის შედეგად ისინი უკვე მიუახლოვდნენ განათლების სრულ დონეს.

ჯერ კიდევ 1990წ.-ის დასაწყისში ბავშვთა საბაზისო განათლებამ მიაღწია 90%-ს. მათ რიცხვში სრული საშუალო განათლების მქონეთა რაოდენობამ კორეის რესპუბლიკაში და ტაივანში მოიცვა ბავშვების და მოზარდების 80%., რაც აღემატება იაპონიის და დასავლეთ ევროპის უმეტესი ქვეყნების მიერ მიღწეულ დონეს. აზიის აიქ-ის საშუალო სკოლების გამოშვებული მოსწავლეების 1\3 განაგრძობს სწავლას უნივერსიტეტში. გარდა ამისა ეს ქვეყნები ხშირად აგზავნიან თავის სტუდენტებს სასწავლებლად აშშ-ში და დასავლეთ ევროპაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში მოსწავლე სტუდენტები ხშირ შემთხვევაში ბრუნდებიან სამშობლოში, მიუხედავად იმისა, რომ აქ მათ უფრო დაბალი ხელფასი ექნებათ.

განათლების მაღალი დონე დადებით გავლენას ახდენს ისეთ მნიშვნელოვან სინთეტიკურ მაჩვენებლებზე, როგორიცაა ადამიანის განვითარების ინდექსი (აგი), თუმცა მისი დონის მიხედვით სინგაპური, სიანგანი და კორეის რესპუბლიკა ჯერჯერობით მსოფლიო ქვეყნების მესამე ათეულში შედიან.

ყოველივე თქმულს შეიძლება დაემატოს, რომ დანახარჯები სამეცნიერო კვლევით და საკონსტრუქტორო საცდელ სამუშაოებზე პირველი ტალღის ოთხივე ქვეყანაში შეადგენს მ.შ.პ.შ 1-2% და ეს მათ აყენებს სხვა განვითარებულ სახელწიფოებზე მაღლა და აახლოვებს დასავლეთის ქვეყნებთან. გადაიღეს რა დასავლეთის გამოცდილება, ისინი დაადგნენ ინდუსტრიული და მეცნიერული (ტექნოლოგიური) პარკების და ტექნოპოლისების შექმნის გზას. 1990წ შუა წლებში ასეთი ტექნოპოლისები ჰქონდათ აზიის აიქ-ის უმეტესობას.

ნათელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს აზიის აიქ-ში ყველაზე მსხვილი სამეცნიერო-სამრეწველო პარკი სინჩჟუში ტაივანზე, რომელიც მდებარეობს დედაქალაქ ტაიბედან სამხრეთ – დასავლეთით 70კმ.ის დაშორებით. სამეცნიერო დასაყრდენს აქ წა-რმოადგენს ორი უნივერსიტეტი, ხოლო საწარმოო დასაყრდენს კი – ათეულზე მეტი ფირმა, რომლებიც მუშაობენ მაღალი ტექნოლოგიის სფეროში. ერთ მაგალითს წარმოადგენს მსხვილი სამეცნიერო - სამრეწველო პარკი პინანგი მალაიზიაში, რომელიც ერთსახელიან კუნძულზე ქვეყნის დასა-

ვლეთ სანაპიროზე მდებარეობს. შემთხვევით აღარ უცდის მას სილიკონის კუნძული, რამდენადაც პარკის დაწესებულებები სპეციალდება ნახევარგამ-ტარების პლადების ანუ ჩიპების წარმოებაში. მათ გარეშე შეუძლებელია კომპიუტერების, ტელევიზო-რების ან მაგნიტაფონების წარმოება, რომლებსაც უშვებენ მთელ მსოფლიოში. მესამე მაგალითია – სინგაპურის სამეცნიერო საწარმოო პარკი, რომელიც აერთიანებს 10 სამეცნიოერო კვლევით ინსტიტუტს და 45 სამრეწველო კორპორაციას.

ამ ჯგუფის ქვეყნების კიდევ ერთი მნიშვნელ-ოვანი დამახასიათებელი საერთო ნიშანი მდგომარე-ობს მათ ღია ეკონომიკაში, მათ ღრმა შეზრდაში საერთაშორისო გეოგრაფიული შრომის განაწილე-ბაში. ჟერ კიდევ 1980წ. ბოლოს აიქ-ის პირველი ტალღის ოთხი ქვეყნის წილმა განვითრებადი სამყა-როს საერთო სამრეწველო ექსპორტში შეადგინა 55%. 1990წ. ბოლოს მთელი მსოფლიოს ექსპორტში წილის მიხედვით კორეის რესპუბლიკას მე-14 ადგ-ილი ეკავა (2%-ზე მეტი) და უსწრებდა ბევრ განვ-ითრებულ ქვეყანას. მათ შორის რუსეთსაც. ამას უნდა დაემატოს, რომ “პირველი ტალღის” ქვეყნები

ელექტრონიკის ბაზართან ერთად, ასევე გავიდნენ ავტომობილების, ელექტროხელსაწყოების, საზღვაო გემების, დაზგების, ზოგიერთი სახის შეიარაღების და სხვა ტექნიკურად რთული სახის მანქანათმშენებლობის პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე. მათ შეძლეს გაემაგრებინათ თავისი პოზიციები ბაზრებზე ქიმიური და მსუბუქი ნაწარმით.

ოთხივე "პირველი ტალღის" აიქ-ის ეკონომიკური სტრატეგიის ერთი ძირითადი საფუძველი იყო და რჩება შემდეგი ორიენტაცია – მაქსიმალურად მიიზიდოს უცხოური კაპიტალი. ამ მიზნით მათი მთავრობები წავიდნენ შესაბამისი შეზღუდვების შესუსტებაზე და მაშინვე პირობების მიახლოებაზე უცხოური ფილიალების და წვრილი-კომპანიების საქმიანობის მიახლოებაზე ნაციონალური ფირმებისათვის მიღებულ რეჟიმთან. 1970-1980წ.-ში განსაკუთრებული ამ პოლიტიკაში ეკავა თავისუფალი ეკონომიური, ანუ საექსპორტო ზონის ტერიტორიების შექმნას, რითაც ადმინისტრაციული და ფინანსური ხასიათის უპირატესობა ენიჭებოდათ უცხოელ მეწარმეებს, სადაც აუცილებელი ინფრასტრუქტურა მათ ეძლეოდათ შემცირებული ტარი-

ფებით და იზღუდებოდა პროფკავშირების საქმიანობა. ამჟამად ასეთი ზონები მოქმედებენ კორეის რესპუბლიკაში, ინდონეზიაში, ტაივანზე, ფილიპინებში. ისინი უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ სამრეწველო ზონებს.

აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების მიერ შეგროვილი სიმდიდრის რეალიზება ხდება ოქროს ვალუტის რეზერვებით და ინვესტიციის ფორმით საკუთარ ეკონომიკაში, თუმცა ზოგიერთი მისი პროდუქტი ატარებს გულახდილად ამბიციურ ხასიათს.

ერთ-ერთი ასეთი სახის მაგალითია – ცათმბჯენების მშენებლობით გატაცება. განსაკუთრებით სინგაპურში, სეულში, კუალალუმპურში. კუალალუმპურის სამხრეთით 40 კილომეტრზე უკვე დაარსდა მალაიზიის ახალი დედაქალაქი პატრადჯაია, ასე ეწოდა ამ ქვეყნის პირველი პრემიერ მინისტრის აბდულა რახმანა პატრის სახელის საპატივსაცემოდ. ამ ქალაქის მშენებლობა, რომელიც მიმდინარეობს "ცარიც ადგილზე" უნდა დასრულდეს 2008წ. სავარაუდოდ მისი მოსახლეობა შეადგენს 250 კაცს.

მაგრამ 1997წ, აზიური "ვეფხვების" შეტევითი განვითარება უეცრად შეწყდა სავალუტო-ფინანსური

კრიზისის გამო, რომელიც გადაიზარდა საერთო ეკ-ონომიკურში. მსგავსი რამ აქ ადრეც მომხდარა, მაგ-რამ 1997-1998წ.წ.-ის კრიზისი განსაკუთრებით ღრმა აღმოჩნდა.

ფინანსური კრიზისი დაიწყო 1997წ. ივლისში. ტაილანდის ბატას კურსის მკვეთრი დაცემით. ამის კვალდაკვალ მოხდა მალაიზიის, ინდონეზიის და ფი-ლიპინების ნაციონალური ვალუტის ვარდნა და წლის ბოლოს კრიზისმა მიაღწია კორეის რესპუბლი-კას, სიანგანს და შეეხო იაპონიასაც. მაგრამ ალბათ მისგან უფრო ძლიერად დაზარალდა ინდონეზია, სა-დაც ვალუტა 75% გაუფასურდა. ერთდროულად მკვე-თრად დაიწია მ.შ.პ. და სამრეწველო წარმოების ნა-მატმა. უმეტეს ქვეყნებში სავაჭრო ბალანსის სალდო უარყოფითი გახდა. დაიწყო ბანკებიდან მოსახლე-ობის შენატანების გამოტანა და მათი უცხოურ ვალ-უტაში გადაყვანა. ბანკროტობამ მოიცვა ათსობით ფირმა. ექსტრაორდინალურ ანტიკრიზისულ ზომათა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს ასეთიც: იმისთვის, რომ ეშველათ სახელმწიფოსათვის დაეძლია კრიზ-ისი სამხრეთ კორეის ყოველმა მეოთხე ოჯახმა ჩაა-

ბარა თავისი ფასეულობები, თანაც ორ თვე ნახევარში შეგროვილ იქნა 225ტ. ოქრო.

ამ კრიზისის შემდეგ ბევრი პოლიტიკოსი ცდილობდა დაედგინა მისი მიზეზები. მათ შორის ჩვეულებრივად ასახელებდნენ აზიის აიქ-ის მოდელის არასრულფასოვნებას. მაგალითად, ისეთი როგორიცაა უზომო ექსპორტით გატაცება შიდა ბაზრის დაზარალებით, ნაციონალური ვალუტის მიბმა ლართან და სხვა. შესაძლოა დაემატოს, რომ გლობალიზაციის პირობებში ამ კრიზისის შედეგები თავის თავზე იწვნია არა მარტო სამხრეთ – აღმოსავლეთის და აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებმა, არამედ მრავალმა სხვა ქვეყანამაც. მაგალითად საქონლის ექსპორტი ა.შ.შ.-დან აზიის ქვეყნებში, რომელიც კრიზისამდე შეადგენდა ამ ქვეყნის მთელი ექსპორტის 30%-ს მნიშვნელოვნად შემცირდა, ამით უფრო მეტად გაიზარდა დეფიციტი მის სავაჭრო ბალანსში. კრიზისმა აგრეთვე გამოიწვია მსხვილი პოლიტიკური რყევები, ხელისუფლების შეცვლის ჩათვლით, რომელიც მოხდა ინდონეზიაში.

კრიზისის შემდგომ ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცებდა, რომ გადახედვას საჭიროებს აზიის აი-

ქ-ის განვითარების მოდელი, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკის საექსპორტო ორიენტაციაზე. დანამდვილებით შრომითი რესურსების კვალიფიკაციის ზრდის გამო აზიის აიქ-ში ხელფასის დონის ზრდა იწვევს წარმოებული საქონლის გაძვირებას და კარგავს ყოფილ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. პირველ რიგში ეს ყველაფერი ეხება "პირველი ტალღის" აიქ-ის. გასაკვირი არაა, რომ ბევრმა უფრო უბრალო და მასიურმა საწარმოებმა უკვე დაიწყეს გადასვლა "მეორე ტალღის" აიქ-ში. მით უმეტეს, რომ "პირველი ტალღის" ქვეყნებში მ.შ.პ.-ს შექმნაში უკვე მთავარ როლს ასრულებს არა მრეწველობა, არამედ მომსახურების სფერო.

არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს გარკვეული განსხვავება "პირველი ტალღის" ქვეყნებს შორის. აქ კი წინ აღმოჩნდა მალაიზია და ტაილანდი, რომლებმაც შეძლეს უფრო სწრაფად დაეძლიათ კრიზისი და დაბრუნებოდნენ ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს. ინდონეზია და ფილიპინები კვლავ ძლიერ ჩამორჩებიან მათ მ.შ.პ. პროდუქციის დონით და სხვა მრავალი მაჩვენებლებით. ამ ბუნებრივი და ადამიანური რესურსებით მდიდარ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ

ამოწურულა ექსტრემალური განვითარების საშუალებები, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ იქ მუშახელის ღირებულება და კვალიფიკაცია მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მალაიზიაში და ტაილანდში.

იმის მტკიცება, რომ ბოლო ხანებში საზღვარგარეთის აზიაში ჩნდებიან "მესამე ტალღის" ახალი ინდუსტრიული ქვეყნები (აიქ). პირველ რიგში ეს ეხება ვიეტნამს, სადაც 1986წ. დაიწყო ეკონომიკის ძირფესვიანი რეფორმირება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო გაყინულ მდგომარეობაში. ის ორიენტირებულია მრავალდარგოვან მეურნეობაზე, არასამთავრობო სექტორის აღიარებაზე, სოფლის მეურნეობაში კოლექტიური საკუთრების უარყოფაზე, მკაცრი ცენტრალიზებული დაგეგმარების სისტემისაგან განდგომაზე.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებმა არ დააგვიანა გამოვლენა, რომ ბოლო ათ წელიწადში ქვეყ-ნის მ.შ.პ ორჯერ გაიზარდა. განვითარება ჰპოვეს ისეთმა საექსპორტო წარმოებებმა, როგორიცაა სა-მთომოპოვებითი მრეწველობა (მადანი, ნავთობი), სოფლის მეურნეობა (ტროპიკული მიწათმოქ-

მედება) და განსაკუთრებით შრომატევადი ელექ-ტრონიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიისთვის მოწ-ყობილობებისათვის წარმოება; 2000წ. უკვე იქნა გამოშვებული 1 მილიარდი დოლარის ღირებულების საინფორმაციო ტექნიკა. სურსათის უქონელი ქვეყნიდან ვიეტნამი გადაიქცა (მეორე ადგილი მსოფ-ლიოში) ბრინჯის წამყვან ექსპორტიორად. ამ ქვეყ-ნის განვითარების პერსპექტივის შეფასებისას გათ-ვალისწინებული უნდა იქნეს მასში 45მლნ. ეკონო-მიურად აქტიური მოსახლეობის არსებობა. კორეის რესპუბლიკა, როგორც ახალი ინდუსტრიული განვი-თრებული ქვეყნის მაგალითი აღმოსავლეთ აზიაში.

1945წ. იაპონიის დამარცხების შედეგად მეორე მსოფლიო ომის დროს ა.შ.შ. შეიყვანა თავისი ჯარ-ები სამხრეთით, ხოლო საბჭოთა კავშირმა კი კო-რეის ჩრდილო ნაწილში. ასე აღმოჩნდა კორეა გაყო-ფილი ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად, რომ-ელთა განვითარება შემდეგში წავიდა სრულიად გა-ნსხვავებული გზებით. 1950-1953წ.წ. ჩრდილო კორ-ეასა და სამხრეთ კორეას შორის მიმდინარეობდა ომი, რომელიც ფაქტიურად მშვიდობიანად კი არ დამთავრდა, არამედ ზავით და მათ შორის გამყოფი

ხაზის დადგენით, რომელიც გადის 38-ე პარალელზე. ამ ომის დროს კორეის ორივე მხარის ეკონომიკამ დიდი ზარალი განიცადა. ამ ომის დროს სამხრეთ კორეა საკმაოდ ჩამორჩენილ, ძირითადად აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. მისი მ.შ.პ. სტრუქტურაში სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა 68%, მაშინ როდ-ესაც მრეწველობაზე მხოლოდ 15%. მ.შ.პ ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 100 დოლარსაც კი ვერ აღწევდა. მოსახლეობის უმრავლესობა გაუნა-თლებელი (წერა-კითხვის უცოდინარი იყო). მისი ბუნებრივი ნამატი შეადგენდა 3%-ს წელიწადში. უმუ-შევრობა და არასრული დასაქმება მუდმივ მოვლენას წარმოადგენდა. სავაჭრო ბალანსი დაიყვანებოდა დე-ფიციტთან. კორეის ომის შემდეგ სამხრეთ კორეის განვითარება მოიცავს რამოდენიმე თანამიმდევრულ ეტაპს.

ჯერ კიდევ 1950 წლების მეორე ნახევარში პირ-ველ ეტაპზე უწინარეს ყოვლისა ვიდრე შეუდგებ-ოდნენ უფრო რადიკალურ გარდაქმნებს, ქვეყანაში განხორციელდა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი ღო-ნისძიებები. მათ შეიძლება მიეკუთვნოს აგრარული რეფორმა, რომლითაც მიწა კერძო საკუთრებაში

გადაეცა მათ, ვინც მას ამუშავებს. ასევე უცოდინარობის ლიკვიდაცია. ამასთან გამოყენებული იქნა ნაციონალური ტრადიციები. კონფუცის სწავლების თანახმად, კორეელები ყოველთვის დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ცოდნას და აღმერთებდნენ მასწავლებლებს. უკვე 1960 წლების დასაწყისში თვითოეულ კორეელს შეეძლო წერა - კითხვა.

ნაკლები წარმატება იყო ეკონომიკაში. ამ ეტაპზე ჭარბობდა იმპორტჩანაცვლებადი განვითარების მოდელი, ორიენტირებული შიდა ბაზრის უზრუნველყოფაზე. მაგრამ მთლიანობაში მან არ გაამართლა. შიდა ბაზარი ძალიან ვიწრო აღმოჩნდა. ამასთან საკუთარი წარმოების განსავითარებლად უხდებოდათ მოწყობილობების შემოტანა, რასაც ქვეყანა ვერ აწარმოებდა. შედეგად იმპორტმა ბევრად გადააჭარბა ექსპორტს, რაც არ იყო ხელსაყრელი. ქვეყანას კიდევ უფრო გაუჭირდებოდა, რომ არა დიდი დახმარება ა.შ.შ.-სგან, რომელიც ყოველთვის მიილტვოდა დაეპირისპირებინა სამხრეთ კორეა სოციალისტურ ჩრდილო კორეასთან.

მეორე ეტაპზე 1960-იან წლებში სამხრეთ კორეამ დაიწყო ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გან-

ხორციელება, თანაც კლასიკური სქემით, ე.ი. დაიწყო იგი მსუბუქი მრეწველობიდან. ამასთან აქცენტი გაკეთებული იქნა ქვეყნისათვის ტრადიციულ საფეიქრო დარგებზე (ბამბეული, ქსოვილები, ტრიკოტაჟი), ფეხსაცმელების წარმოებაზე და ასევე ხის დამუშავებაზე. ვითარდებოდა არანაკლებად ტრადიციული კვების მრეწველობის დარგები – საფქვავი და შაქრის მრეწველობა. ორიენტაცია ამ შრომატევად წარმოებაზე მიზნად ისახავდა, როგორმე დაეკავებინა ჭარბი, იაფი მუშახელი, რომელიც გამუდმებით იზრდებოდა მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი ნამატით. მაგრამ მთავარი სიახლე მდგომარეობდა არა ამაში, არამედ იმპორტჩანაცვლებადიდან ეკონომიკის განვითარების ექსპორტორიენტირებულ მოდელზე გადასვლაში, რაც გამოწვეული იყო მოსახლეობის ჯერ კიდევ დაბალი მსყიდველობითი უნარით და სავალუტო საშუალებების უკმარისობით. კვე 1960წ.-ში საქონლის ექსპორტი რამდენჯერმე გაიზარდა, თუმცა ქვეყნის სავაჭრო ბალანსის სალდო კვლავ უარყოფითი რჩებოდა.

მესამე ეტაპზე, რომელმაც მოიცა ძირითადად 1970-იანი წლები, სამხრეთ კორეა გადავიდა ინდუ-

სტრიალიზაციის შემდეგ სტადიაზე, რომელიც ითვალისწინებდა მძიმე მრეწველობის უპირველეს განვითარებას, პირველ რიგში მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის, ქიმიური. მოკლე დროის განმავლობაში შეიქმნა მსხვილი შავი მეტალურგია, რომელმაც საშუალება მისცა საკმაოდ გაეზარდა თუჯის წარმოება. ფოლადის გამოდნობის რაოდენობით ქვეყანა გავიდა მეორე ადგილზე აზიაში იაპონიის შემდეგ, თანაც თავიდანვე ეს სფერო ორიენტირებული იყო პროგრესულ ტექნოლოგიებზე. აშენებული იქნა მსხვილი მეტალურგიული კომბინატები ფხოხანში და კვანიანში. ასევე გაიზარდა მეტალურგიის წარმოება.

მეტალურგიის საფუძველზე დაიწყეს საკუთარი მანქანათმშენებლობის შექმნა. ამ სფეროში პირველ პლანზე წამოიწია დაზგათმშნებებლობა, რომელიც ემსახურებოდა ინდუსტრიალიზაციის მოთხოვნებს და შიდა ბაზრის გაფართოებას, რომელიც ძირითადად ორიენტირებული იყო ექსპორტზე. 1980-იან წლებში წყალში ჩაშვებული გემების ტონაჟი ხუთჯერ უფრო მეტად გაიზარდა. ათვისებული იქნა სუპერტანკების, კერების წარმოება. განვითარდა აგ-

რეთვე საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა. დაჩქარებული განვითარება დაიწყო ძირითადად ქიმიამ და ნავთობქიმიამ. გამაგრებულ იქნა ენერგეტიკული ბაზა, უწინარეს ყოვლისა ატომური ენერგეტიკის წყალობით; პირველი ატომური ელექტროსადგური მწყობრში ჩადგა 1978წელს.

მძიმე მრეწველობის განვითარებაზე გადასვლა არ ნიშნავდა უარის თქმას ექსპორტზე ორიენტაციისგან. ზოგიერთ სფეროში ექსპორტი გაიზარდა კიდეც. მაგალითად 1980წ-ში ყველა წყალში ჩასაშვები საზღვაო გემების 9\10 საზღვარგარეთ გასაყიდად იყო გამიზნული. სამხრეთ კორეის ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში მძიმე მრეწველობის პროდუქცია თითქმის უკვე დაეწია მსუბუქი მრეწველობის ნაწარმს. პირველ ადგილზე ჯერ კიდევ იყო ტექსტილი, შემდეგ მას მოსდევდა ლითონები, ელექტრონიკა, სატრანსპორტო საშუალებები. ეს ნიშნავდა შრომატევადი დარგების შემცირებას და კაპიტალტევადი დარგების წილის ზრდას. სავაჭრო ბალანსის სალდო კი უკვე დადებითი გახდა. ამას შეიძლება დაემატოს, რომ კორეის საქონლის მთავარი შემსყიდველები გახდნენ აშშ, იაპონია, დასავლეთ

ევროპის ქვეყნები. კორეის იმპორტში პირველი ადგილი ეკავა იაპონიას. ამავდროულად გაიზარდა ქვეყნის დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ნავთობის იმპორტზე.

მეოთხე ეტაპზე 1980-იან წ.წ. ინდუსტრიალიზაცია გრძელდებოდა. ამასთან განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობდნენ ატომურ ენერგეტიკას, მანქანათმშენებლობას, გემთმშენებლობას. მაგრამ ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიმართულება უკვე ამაში კი არ მდგომარეობდა, არამედ ინდუსტრიალიზაციის კიდევ უფრო მაღალ სტადიაზე გადასვლაში, რომელიც უკავშირდებოდა მაღალტექნოლოგიური დარგების უპირატეს განვითარებაზე გადასვლას.

სამხრეთ კორეული ეკონომიკური მოდელის ასეთმა მოდიფიკაციამ თავის მხრივ სტიმულირება მისცა ინვესტიციებს სამეცნიერო კვლევითი და საკონსტრუქტურო საცდელი სამუშაოების სფეროში, რომლებმაც მიაღწიეს მ.შ.პ. 2%-ს, რაც შეესატყვისება ბევრ წამყვან დასავლეთის ქვეყნების დონეს.

ერთდროულად ხდებოდა მოწინავე საზღვარგარე-თული ტექნოლოგიების იმპორტის ყველანაირი წახალისება, რომლის განხორციელება დაიწყეს ჯერ

კიდევ ინდუსტრიალიზაციის დასაწყისში, სადაც ხდებოდა უახლესი ტექნოლოგიური დამუშავება.

მსგავსი მოვლენის უფრო ნათელ მაგალითს წარმოადგენს ელექტრონული მრეწველობა. დასაწყისში ათვისებული იქნა ლამპიანი მიმღებები, ტრანზისტორები, დიოდები, შავთეთრი ტელევიზორები, შემდეგ – მაგიტოფონები, ფერადი ტელევიზორები, კომპიუტერები და სხვა. ელექტრონული პროდუქციის წარმოების და ექსპორტის მოცულობით 90-იანი წლების დასაწყისში კორეის რესპუბლიკა მსოფლიოში მეექვსე ადგილზე გავიდა.

შესაბამისი ცვლილებები მოხდა ქვეყნის საგარეო ვაჭრობაშიც. 1990 წლისთვის სამხრეთ კორეის წვლილი მსოფლიოს ექსპორტში გაიზარდა 2%-მდე. ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში მძიმე მრეწვლობის პროდუქციის წილი ორჯერ და მეტად აღემატებოდა მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობის წილს. სამხრეთ კორეა შევიდა მსოფლიო ლიდერთა რიცხვში. მისი მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან იაპონია, აშშ და ჩინეთი.

მეხუთე ეტაპზე 1990-იან წ.წ. სამხრეთ კორეა საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკურად

განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანა, პოსტინდუ-სტრიული განვითარების საგრძნობი ელემენტებით. ამ ათწლეულების ბოლოს მან დაიკავა მნიშვნელო-ვანი პოზიციები მსოფლიოს ეკონომიკაში.

სამხრეთ კორეის ადგილი მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში.

| პროდუქციის სახე | ადგილი მსოფ. წარ-ში |
|---|---|
| საზღვაო გემები | პირველი |
| ტელევიზორები | მეორე |
| პლასტმასები | მეოთხე |
| სინთეტიკური ბოჭკოები | მეოთხე |
| ავტომობილები | მეხუთე |
| ფოლადი | მეხუთე |
| ელექტროენერგია,გამომუშავებული ატომური ელ.სადგურების მიერ | მეექვსე |

ქვეყნის ეკონომიკაში ერთდროულად გრძელ-
დებოდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრები.
დაიწყო 15 წლიანი გეგმის განხორციელება, რომელ-
მაც განსაზღვრა სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნი-
კური პოლიტიკა. ამ გეგმის თანახმად სულ უფრო
მეტად პრიორიტეტს ანიჭებდა მიკრო ელექტრო-
ნიკას, ვიწრო ქიმიას, ინფორმატიკას, ავტომობილიზა-
ციას. ამასთან დაჩქარდა გადასვლა საყოფა-
ცხოვრებო წარმოებიდან სამრეწველო ელექტრონი-
კის, განსაკუთრებით სატელეკომუნიკაციო მოწყობი-
ლობების, საკოპირებელი აპარატების, ფაქსების, კავ-
შირის და სხვა თანამედროვე საშუალებების, სამრე-
წველო რობოტების გამოშვებაზე. ატომური ენერ-
გიეს განვითარების დიდი პროგრამის რეალიზაციის
შედეგად 1990-იან წლებში ქვეყანაში უკვე მოქმე-
დებდა 12 ატომური რეაქტორი. ძალიან მნიშვნელოვა-
ნი ცვლილებებაა დასახული მეურნეობის მაკრო
სფეროში. ეს იმაში მდგომარეობს რომ, არასაწა-
რმოო სფერო სამხრეთ კორეაში სწრაფად ვითარდე-
ბა ვიდრე საწარმოო. შედეგად მისი წილი საერთო
შიდა პროდუქციის შექმნაში უკვე 1\2-ით გაიზარდა.

1993წ. სამხრეთ კორეის ეკონომიკურ ლექსიკონში შევიდა ცნება "ახალი ეკონომიკა", რომელიც პირ-ველ რიგში ნიშნავს მსხვილი ეკონომიკური გარდაქმნის დაწყებას.

საქმე იმაშია, რომ ქვეყნის როლი საყოფაცხოვ-რებო მექანიზმში ყოველთვის ძალიან დიდი იყო და ამან მიიყვანა მსხვილი სახელწიფო სექტორის წა-მოქმნასთან. სახელმწიფო ასევე ახორციელებდა ეკო-ნომიკის ცენტრალიზებულ დაგეგმარებას; 1962-1992წ.წ. რეალიზებულ იქნა ხუთ წლიანი გეგმა. მთა-ვრობა კი ასტიმულირებდა მსხვილი ფინანსური სამ-რეწველო ჯგუფების შექმნას – ეგრეთწოდებული „ჩებოლების", რომლებიც წარმოადგენენ უზარმაზარ საწარმოო კონგლომერატებს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მსოფლიოში ცნობილი "სამსუნგი", "ხენდე" და სხვა.

ოთხი ათეული წლის განმავლობაში ინდუსტ-რიალიზაციის და ეკონომიკური რეფორმების შედე-გად, ასევე მნიშვნელოვნად შეიცვალა სამხრეთ კორ-ეის მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურა. პირვ-ელ-მეორე ეტაპებზე ამ პროცესში წამყვან როლს თამაშობდა ქვეყნის ჩრდილო-დასავლური ნაწილი

ქალაქებით სეული, ინჩხინი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დედაქალაქის რეგიონები. მას ჰქონდა განვითარებული მსუბუქი მრეწველობა და გააჩნდა ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა. მესამე ეტაპზე, როცა ნამატი მიიღო მძიმე მრეწველობამ, სწრაფად განვითარდა ზღვისპირა რაიონები, ასეთი გადახრა ზღვისკენ განპირობებული იყო ნედლეულის და სათბობის საზღვაო გზით შემოტანით. ყველაზე მეტად იგი შეეხო ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს, სადაც ახალი სამრეწველო რაიონი ჩამოყალიბდა აგლომერაციაში კორეის უმსხვილეს საპორტო ქალაქ პუსასთან. სწორედ მისკენ იყო მიმართული საზღვაო სატრანსპორტო ხიდების დიდი ნაწილი, რომელიც აკავშირებდა სამხრეთ კორეას ავსტრალიასთან, სპარსეთის ყურის რეგიონებთან, ინდონეზიასთან და სხვა ქვეყნებთან. უმსხვილესი საზღვაო პორტების რიცხვით ეს პატარა ქვეყანა ჩამორჩება მხოლოდ იაპონიას, ჩინეთს და აშშ.ს.

მთლიანად რეგიონალური პოლიტიკა, რომელსაც ხისტად აწარმოებდა კორეის მთავრობა, მიმართული იყო დედაქალაქის უპირატესი როლის შემ-

ცირებისაკენ და სხვა რაიონების განვითარებისაკენ. ამან მიიყვანა იქამდე, რომ სეულის წილი ქვეყნის სამრეწველო წარმოებაში 21%-დან 1980 წელს შემცირდა 14%-მდე 1990 წლისთვის. მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ ქვეყნის საქალაქო მოსახლეობის წილი დედაქალაქში ამ ათწლეულში გაიზარდა 22%-დან 25%-მდე და ისიც, რომ 1980 წლების შუა ხანებში გრძელდება რიგი ქალაქების განვითარება, რომლებიც ფუნქციონალურად მჭიდროდაა დაკავშირებული სეულთან. შედეგად დედაქალაქის რეგიონის მოსახლეობამ გადააჭარბა 18 მლნ კაცს.

ამავდროულად მოხდა მთავარი სამრეწველო "კორიდორის" სეულიპუსანის ფორმირება, რომელმაც გაიარა გზა მსუბუქი და კვების მრეწველობის უპირატესი განვითარებიდან ელექტრონიკის და სხვა მეცნიერებადტევადი წარმოების პრიორიტეტამდე. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ 1990 წლების შუიდან სადედაქალაქო რეგიონში კონცენტრირებული იყო ქვეყნის მთელი მეცნიერებადტევადი საწარმოების 2\3. მაგრამ შემდგომ ამ წილმა იწყო კლება, რადგან 1991 წელს 9 ახალი ტექნოპოლისის და ტექნოპა-

რკების შექმნის პროგრამა ითვალისწინებს მათ განთავსებას სადედაქალაქო რეგიონის გარეთ. დავუმატებთ რომ “ კორედორი” სეულიპუასანი არა მხოლოდ სამრეწველოა, არამედ სატრანსპორტოც, რადგან ეს ორი ქალაქი დაკავშირებულია სატრანსპორტო პოლიმაგისტრალით. 2004წ. კი მწყობრში უნდა ჩადგეს 112კმ სიგრძის მაღალ სიჩქარიანი რკინიგზა სეულიპუასანი, რომელსაც ექნება ექვსი სადგური, გვირაბები საერთო სიგრძით 189კმ, ხიდები და რკინიგზის ყრილები. დასახული ტრანზკორეის რკინიგზის მაგისტრალის აგების შემდეგ ეს კორიდორი შეიძენს საერთაშორისო ხასიათს.

რაც შეეხება თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს, ისინი სამხრეთ კორეაში რამდენიმეა. ყველაზე დიდი დაარსდა 1970 წელს საპორტო ქალაქ მასანში ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ ზონაში მუშაობს 70-ზე მეტი საწარმოო, მათგან ნახევარი ერთობლივია იაპონიასთან და აშშ-სთან. ისინი უშვებენ კომპიუტერებს, ორგტექნიკას, საყოფაცხოვრებო ელექტრონიკას, ელექტროხმოვან სისტემებს, სამედიცინო მოწყობილობებს, ხელსაწყოებს, ოპტიკას და სხვა. ამ

ზონის ექსპორტის მოცულობა 2 მლრდ. დოლარს აღემატება წელიწადში.

## აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო ბაზარზე

მსოფლიო ბაზრის პოლიტსტრუქტურული სივრცის მოდელი არა მარტო არ გამორიცხავს, არამედ გარკვეულად ვარაუდობს კიდეც მთავარი "სიმძიმის ცენტრის" გადაადგილებას ერთი რეგიონიდან მეორეში. უკვე ნათქვამია ევროპულ და ჩრდ. ამერიკულ ძალის ცენტრზე მსოფლიო მმართველობაში. ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ და წერენ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის როლზე, რომელიც სულ უფრო აქტუალური ხდება, ამიტომაც ხშირად ჩნდება გამონათქვამები "წყნარი ოკეანის ხანის მმართველობა" და ა.შ.

მსგავსი პროგნოზები ადრეც გაკეთებულა, თუნდაც კარლ მარქსის ნაწერებში, რომელიც ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ წერდა, რომ წყნარი ოკეანე ისეთივე როლს შეასრულებდა, როგორსაც ატლანტის.

აზია–წყნარი ოკეანის რეგიონზე ისევ ალაპარაკდნენ XX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში, როდესაც მისი ქვეყნები განსაკუთრებული დინამიურობით ვითარდებოდნენ. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა. პირველ რიგში ეს იყო უზარმაზარი რაოდენობის და ამასთან ერთად ხარისხობრივად მაღალი სამუშაო რესურსების არსებობის ფაქტი. ეორე მისი მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები, ალუმინის, რკინის, ურანის უდიდესი მარაგი, რომელსაც მსოფლიო წარმოების 50-70% უკავია, ამას ემატება მისი განსაკუთრებულად მომგებიანი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა, მისი გასასვლელი საზღვაო რეგიონებში, არქიპელაგის ქვეყნებში და სხვ. აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული უნარი პრაქტიკაში განახორციელოს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის უახლესი მიღწევები და ფართოდ გამოიყენოს ის თავის საქმიანობაში. შემთხვევითი არ არის, რომ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი გახდა ახალი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის სამშობლო.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ყველა ამ რესურსის გამოყენების შედეგად, აზია–წყნარი ოკენის

რეგიონის ქვეყნები მსოფლიო ბაზრის წამყვან პოზიციებზე გადავიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რიცხობრივი მონაცემები ხშირად ცვალებადია, გამოთვლების დიდი ნაწილი მეტყველებს იმაზე, რომ 1990 წლის ბოლოს მათზე მოდიოდა მსოფლიო ვაჭრობის 40-45%, აქ იგულისხმება მანქანათწარმოების 70% , საზღვაო მიმოსვლის 60%.

აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ, ისეთი ქვეყნები, როგორიცაა შრილ-ანკა, ინდოეთი და ა.შ. ხშირია რიცხობრივი უზუსტობები, რეგიონის ქვეყნების რაოდენობასთან დაკავშირებით. ჩინეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება მითითება, რომ ამ რეგიონში 32 ქვეყანაა. ლოგიკურად ჩნდება კითხვა, საჭიროა თუ არა, ამ რეგიონს მივაკუთვნოთ მთელი რუსეთის ტერიტორია, თუ შეიძლება მხოლოდ უკიდურესი აღმოსავლეთით შემოვივიფარგლოთ? იგივე კითხვა შეიძლება დაესვას ამერიკის შეერთებულ შტატებს და კანადას.

რეგიონის ასეთი მოცულობის გამო, გამოიყოფა პუნქტები და ასევე ქვესისტემები. ესენია აზიური, ჩრდ. ამერიკული, სამხრეთ ამერიკული და ოკეანეთის სისტემები. არის შემთხვევები, როდესაც ქვეყნე-

ბის იერარქიას მისი ეკონომიური სიძლიერის მიხედვით განსაზღვრავენ, გამოყოფენ უმაღლესი ეშელონების სახელმწიფოებს - აშშ, იაპონია, ჩინეთი და რუსეთი, საშუალო ეშელონების ქვეყნებს – ავსტრალია, აზიის ნაწილი, ზელანდია და ოკეანეთის ქვეყნების უმრავლესობა, დაბალი ეშელონების ქვეყნები - ვიეტნამი, დაოსი, კამბოჯა, დათინო და ა.შ. ისტორიულ-გეოგრაფიული პოზიციიდან ასეთი მიდგომა საკმაოდ საინტერესოა, რამეთუ ომის შემდგომ პერიოდში აზია–წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიური განვითარება სინქრონულად არ მომხდარა. განვითარების პირველი ფაზა, რომელიც XX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო დაკავშირებული იყო იაპონიის ეკონომიკის სწრაფ ზრდასთან, რომელსაც " ეკონომიკური სასწაული " უწოდეს. მეორე "ტალღა", რომელმაც 1970 წელი მოიცვა, გამოიხატებოდა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების აღმავლობაში, თავისებური ნახტომი ცნობილი აზიური "ვეფხვების" – კორეის რესპუბლიკა, სინგაპური, ჰონგკონგი და ტაივანი. რეგიონის განვითარებას, ჩინეთის ტერიტორიის უზარმაზარი გაზრდა ასრულებდა.

ერთ-ერთი პროგნოზის მიხედვით, რომელიც აშშ - ში გაკეთდა 2020 წლისთვის ყველა დიდი ეკონომიკური ბაზა აზია–წყნარი ოკეანის სფეროში იქნება მოქცეული. ამასთან ერთად სიდიდის მიხედვით პირველ ადგილს დაიკავებს ჩინეთი (20ტრლ. დოლ.), მეორე ადგილზე იქნება აშშ (13.5), მესამე – იაპონია (5), მეოთხე – ინდოეთი (4.8), მეხუთე – ინდონეზია (4.2), მეექვსე – კორეის რესპუბლიკა (3.4) და მეშვიდე – ტაილანდი (2.4).

რუსეთი, აზია–ატლანტიკურ რეგიონში განსაკუთრებით ცივი ომის დამთავრებისა და სრულიად ახალი გეოპოლიტიკური გარემოს გაჩენის შემდეგ ფლობს ყველა მონაცემებს იმისათვის, რომ გახდეს უფრო მნიშვნელოვანი და საგრძნობი ყველასათვის. ვაჭრობის მხრივ აზია–ატლანტიკური რეგიონის ქვეყნებიდან რუსეთი ინარჩუნებს დადებით საფინანსო-სავაჭრო ბალანსს. ამ ქვეყნების ბაზარზე იგი ფლობს უპირატესობას ციმბირის და უკიდურესი აღმოსავლეთის რესურსების წყალობით, ღებულობს მზა პროდუქციას. ასეთი შიდაეკონომიკური ურთიერთობები და კავშირები მომავალში დიდ ყურადღებას საჭიროებს, იმისათვის, რომ მოინახოს ინფრა-

სტრუქტურის განვითარების ისეთი გზების ძიება, რომელიც ნაკლებ დროსა და ხარჯებს მოითხოვს. ამასთან უდიდესი ადგილი უკავია და ყოველთვის ექნება რუსეთის უკიდურესი აღმოსავლეთის რეგიონს მოცულობის მიხედვით, რესურსებით მდიდარს და რაც მთავარია, იგი ფლობს ბუნებრივ გასასვლელს „წყნარი ოკეანის უკიდურესობამდე" .

## საერთაშორისო გეოგრაფიული შრომის გადანაწილების ცნება

ეს ცნება იქცევდა და იქცევს მრავალი გეოგრაფის ყურადღებას, მათ შორისაა: ბარანსკი, ვიტვერი, კოლოკოვსკი, საუშკინი და სხვ. ბარანსკიმ ამ ცნებას მისცა განმარტება, რომლითაც იგი გააცალკევა ორ ნაწილად, ბუნებრივ და სოციალურ ნაწილებად. შეისწავლა მისი ისტორიული საფუძვლები, დაახასიათა ეს ცნება, როგორც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ეკონომიკური გეოგრაფიისა. იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია აწარმოოს მრავალი სახის საქო-

ნელი, რომ ეს მხოლოდ მის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს და არა მის მონაწილეობაზე საერთა-შორისო ეკონომიკაში. მისი თეორიის განხორციელება პრაკტიკაში მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ქვეყნები ერთმანეთისთვის შრომობენ, როდესაც მათი შრომის შედეგი გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში, რაც შემდეგ მსოფლიო ვაჭრობის გაზრდა-გაფარ-თოვებაზე აისახება. ვიტვერი წერდა სამ ფაქტორზე, რომელზეც ფორმირდება საერთა-შორისო ეკონომიკური შრომის გადანაწილება. პირველ რიგში მწარმოებელი ქვეყანა უნდა ფლობდეს საგრძნობ უპირატესობას სხვა ქვეყნებთან შედარებით, მეორე, გარდა კონკურენტი ქვეყნებისა, უნდა არსებობდეს ქვეყნები, სადაც წარმოდგენილი პროდუქცია უფრო მაღალ ფასად გაიყიდება და მასემე, პროდუქციის გადაადგილების ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს პროდუქციის წარმოების ფასს. ვიტვერი თავის ნაშრომებში ასევე განიხილავდა გეოგრაფიული შრომის გაფართოებას, ამ პროცესში ახალი ტერიტორიების ჩართვით.

საუშკინმა ბარანსკისა და ვიტვერისგან განსხვავებით ცნების პრობლემებზე გაამახვილა ყურადღე-

ბა. თავის ნაშრომებში იგი ახასიათებდა ამ ცნების მნიშვნელობას გეოგრაფიის მეცნიერებისთვის, განიხილავდა მის კავშირს ტრანსპორტირებასთან, ბუნებრივ რესურსებთან, გარემოსთან.

გადანაწილების ცნებას შემდგომში დიდ ყურადღებას უთმობდა ბაგამალოვი. ამავდროულად მან ზუსტად განსაზღვრა ფაქტორების მთელი ჯგუფი, რომელზეც დაყრდნობილია საერთაშორისო გეოგრაფიული შრომის გადანაწილება. ესენია:

- ბუნებრივ-გეოგრაფიული
- ეკონომიკურ-გეოგრაფიული
- სოციალურ-პოლიტიკური
- სამეცნიერო ტექნიკური ფაქტორები.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო გეოგრაფიული შრომის გადანაწილების ცნებას თან სდევს ორი განუყოფელი პროცესი. პირველ რიგში ესაა საერთაშორისო სპეციალიზირებული წარმოება, რომელსაც შეუძლია იყოს, როგორც დარგთაშორისო, ასევე შიდადარგობრივი. დარგთაშორისო წარმოების დროს ქვეყანა, როგორც წესი აწარმოებს და ექსპორტირებას უკეთებს შედარებით ნაკლები

სახის პროდუქციას, უპირველეს ყოვლისა ადვილად მისაღებ პროდუქციას, ბენზინს და ასევე სოფლის მეურნეობას.

## საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია მსოფლიოს სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოვლენაა. მას შეუძლია მიიღოს სხვადასხვა ფორმები, მიაღწიოს გარკვეულ ზღვარს, მაგრამ მისი გავლენა მსოფლიო სამეურნეო ბაზარზე დღითიდღე იზრდება, ასევე ყოველდღიურად მატულობს საინტეგრაციო ჯგუფები. გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ლიტერატურაში საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის მრავალი განმარტება არსებობს. მისი ზუსტი და სრული განმარტებისთვის, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი: საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს ინტერნაციონალიზაციის, მსოფლიო სამეურნეო ცხოვრების ახალ ეტაპს, რომელიც დაფუძნებულია სხვადასხვა ქვეყნების საერთო ადაპტაციასა და სიახლოვეზე, მათ ღრმა და

საიმედო ურთიერთობებზე. ეკონომიკურ ლიტერატურეში ასევე ხაზი ესმევა, იმასაც, რომ ეს პროცესი არა მარტო სამეურნეოა, არამედ სამეცნიერო – პოლიტიკურიც, რომელიც აერთიანებს ქვეყნებს. ამ პროცესში ჩვეულებისამებრ იკვეთება რამდენიმე შედეგობრივი ეტაპი: თავისუფალი ვაჭრობის ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, ეკონომიკური და სავალუტო კავშირი და ბოლოს პოლიტიკური კავშირი.

პროცესების ხშირ გაზრდაზე მეტყველებს ფაქტი, რომ 1990 წლისათვის არსებობდა უკვე მსგავსი სახის 90-მდე ხელშეკრულება, მაგრამ ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ამ ხელშეკრულებების უმრავლესობა დადებულია ეკონომიკური დაჯგუფებების მიერ, ამიტომ მას ძნელია უწოდო ინტერნაციონალური. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს იმაზე, რომ ასეთი დაჯგუფებები შეიძლება წარმოიქმნას მხო-ლოდ ძალიან მაღალი დონის ეკონომიურ ქვეყანაში, რომელიც ორიენტირებულია შიდა-დარგობრივი სპეციალიზაციის გაუმჯობესებაზე. აქედან გამომდინარე ეკონომიკურ რუკაზე მსგავსი დაჯგუფებები უნდა ვე-

ძებოდ ჩრდილოეთით, თუმცა ისინი უკვე სამხრეთ-შიც შეინიშნება.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია შეგ-ვიძლია გავყოთ ორ ძირითად ფორმად: რეგიონალ-ური და სადარგო ინტეგრაციები. პირველს უფრო გავრცელებული და მეტი მნიშვნელობა აქვს. XX საუკუნის დასაწყისში ეკონომიური ინტეგრაცია წა-რმოდგენილი იყო რამდენიმე დიდი და საშუალო ზომის დაჯგუფებებით. როგორც მოსალოდნელი იყო ორი მთავარი დაჯგუფება განლაგდა ორ წამყან რე-გიონში - დას. ევროპა და ჩრდ. ამერიკა. დას. ევროპა – ევროკავშირი, რომელმაც განვითარების რამო-დენიმე ეტაპი გაიარა 25 ქვეყნით და მთლიანი მო-სახლეობით 455 მლნ. კაცი (2004 წე-ლი). ჩრდ. ამერიკა – შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შეს-ახებ, რომელიც ორ ეტაპად ფორმირდება, მთლიანი მოსახლეობით 440 მლნ.კაცი აშშ, კანადა და მექ-სიკა. ყველა დაჯგუფების საბოლოო მიზანი ერთი იყო, ისინი ისახავდნენ რაც შეიძლება სწრაფად გასულიყვნენ თავისუფალი ვაჭრობის ზონაში.

# მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაცია

ტრანსნაციონალურ კორპორაციას მიაკუთვნებენ მსხვილ საფინანსო-სამრეწველო, ნაციონალურ ან, იშვიათად ინტერნაციონალურ კაპიტალს, რომელიც მოქმედებს ორ ან მეტ ქვეყანაში და აქვს გადაწყვეტილების მიღების ისეთი სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს მას მიუსადაგოს რესურსების გადანაწილების საერთო სტრატეგია და პოლიტიკა, ტექნოლოგიები და პასუხუსმგებლობა. გაზარდოს თავისი პოზიციები მსოფლიო მეურნეობაში და მიიღოს მაქსიმალური მოგება. მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაცია ჩვეულებრივ შეიცავს სათაო კომპანიას და მის ფილიალებს. აგრეთვე ასოცირებულ კომპანიებს, განყოფილებებს და სხვ.

პირველი მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაცია, როგორც საერთაშორისო კარტელი გაჩნდა ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე. ომის პერიოდში მათი რიცხვი გაიზარდა და ფორმების მრავალფეროვნებაც გადიდდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა მსოფლიო მეურნეობის ტრანს-

ნაციონალიზაციის საზღვარგარეთული ფილიალებიც. და ბოლოს 1980-იან წლებში წარმოიქმნა თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაცია, რომელიც გამოირჩეოდა დიდი ეკონომიკური ძალით და თავისი სტრუქტურული განშტოებებით. მსგავსი სახის  პროცესი წარმოადგენს საერთაშორისო წარმოების კომპლექსს, რომელიც არა მხოლოდ საბაზროა, არამედ საწარმოო ხასიათსაც ატარებს. მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაცია აქცენტს აკეთებს არა მარტო სათაო საზღვარგარეთის ქვეყნებში საქონლის გატანაზე, არამედ ახალ ადგილებში კაპიტალის დაბანდებას, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ადგილობრივ წარმოებასთან. საერთო ჯამში ყოველ მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაციის საზღვრებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად შევხვდებით ციფრებს ანუ  მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაციის რაოდენობას, საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით 1970წელს მსოფლიოში ირიცხებოდა 7000 მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაცია. 1980 წელს მათი რიცხვი გაიზა-

რდა 10000 მდე. 2000 წლისთვის კი ჩვენება იყო დაახლოებით 60000 დან 600000 მდე.

რიცხობრივ ზრდასთან ერთად იზრდება და ხდება მათი ხარისხობრივი ცვლილებები. პირველ რიგში დიდ როლს თამაშობს უდიდესი მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაციები, რომლებიც იმორჩილებენ ნაკლები ძალაუფლების მქონე კომპანიებს. მეორეს მხრივ ადრე მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაციის ფირმები თავიანთ შვილობილ კომპანიებს გარკვეულ დამოუკიდებლობას აძლევდნენ, ეხლა კი უფრო მჭიდროდ იკვრებიან და ძლიერდებიან მათი ინტეგრაციული კავშირებით. სხვა მხრივ დაიწყო საზღვარგარეთ შერეული კომპანიების ფორმირება ადგილობრივი ნაციონალური კაპიტალის მონაწილეობით, რაც მათ კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს. ასევე სულ უფრო ხშირი ხდება სხვა ქვეყნებში ექსპორტის პრაქტიკა არა საქონლის, არამედ კაპიტალის პირდაპირი ინვესტიციების სახით. მსგავსი ინვესტიციები მიდის ისეთ სამეცნიერო დარგებში, როგორიცაა ელექტრონიკა, ინფორმატიკა, ბიოტექნოლოგია, ქარხნების შექმნა, რათა განხორციელდეს დიდი სამეცნიერო-ტექნიკური

პროექტები საწარმოების მშენებლობასა და მომსახურების სფეროში.

კლასიკურ მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაციასთან ერთად ჩნდება უკვე გლობალური მეურნეობის სფეროები, რომლებიც ავიწროვებენ სხვადასხვა დარგებს, არა რეგიონალურ, არამედ გლობალურ დონეზე და თან ატარებენ შესაბამის სტრატეგიას. და ბოლოს მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაცია ხდება უფრო სპეციალიზირებული სახის პროდუქციაზე და იქცევა კონგლომერატად, რომელიც უშვებს სხვადასხვა დანიშნულების საქონელს და ორიენტაციას აკეთებს მომსახურების სხვადასხვა სფეროზე.

მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაციის როლი თანამედროვე მსოფლიოში გამოიხატება შემდეგი ციფრობრივი მაჩვენებლებით. 2000 წლის გაყიდვების საერთო ჯამმა გადააჭარბა 10 ტრილიონ დოლლარს, რომელიც აჭარბებს ამერიკის და დასავლეთ ევროპის მაჩვენებლებს. მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაცია ამჟამად აკონტროლებს მსოფლიო მრეწველობის წარმოების 1/2-ს, ვაჭრობის და მომსახურების 1/3-ს. ეს ყველაფერი

მოწმობს იმას, რომ მსოფლიო მეურნეობის ტრანს-ნაციონალიზაცია ასრულებს მთავარ როლს თანა-მედროვე მსოფლიო მეურნეობაში. აკადემიკოს მოი-სეევის აზრით თანამედროვე მსოფლიო თავად არის ეს პროცესი.

ინგლისური გაზეთი " ინანციალ თიმესი" აქვე-ყნებს მსოფლიოს 500 უდიდესი კომპანიების სიას. 1990 წლის ბოლოს მსოფლიოს ძირითადი რეგიონები ასე გადანაწილდა : ჩრდ. ამერიკა - 235, ევროპა - 145, იაპონია - 71, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი (იაპონიის გარეშე) - 35, ლათინური ამერიკა - 8, აფრიკა - 4, ახლო აღმოსავლეთი - 1, ავსტრალია - 1. სხვა ქვეყნებს შორის ლიდერებია აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, კანადა. ეს ციფრები დიდ სივრცეზე მიუთითებს, მათი 90% მდებარეობს დასავლეთის ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში, უფრო ზუსტად მსოფლიო მეურნეობის 3 დიდ ცენტრზე ( აშშ, ევროპა და იაპონია), 10 % კი განვითარებად ქვეყნებზე მოდის.

დიდ ინტერესს იწვევს 10 უდიდესი მსოფ-ლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაცია მსოფ-ლიოში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ათეულის

შემადგენლობა სხვადასხვა წყაროებში მოცემულია სხვადასხვა მონაცემების ბაზაზე დაყრდნობით, წლიური გაყიდვების მოცულობით ან დამოკიდებულია საბაზრო კაპიტალიზაციაზე, ასევე საზღვარგარეთული ინვესტიციების სიდიდეზე. ამის გამო მათი რეიტინგი იზრდება, მიუხედავად ამისა პირველ ათეულში ყოველთვის შედის ტრანსნაციონალური ზეგიგანტები: " ჯენერალ მოტორსი", "ფორდ მოტო-რი", "ექსონი", "აი ბი ემი" (აშშ), "ტოიოტა მოტორსი" (იაპონია), " როიალ დაჩ შელი" ( დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია) . 1990 წლის მონაცემებით "ჯენერალ მოტორსის" გაყიდვების წლიური მოცუ-ლობა მერყეობდა 150 მილიარდ დოლარიდან 200 მილიარდ დოლარამდე. მან გადააჭარბა მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაციის ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ნორვეგია, დანია, პორტუგალია, საბერძნეთი, ჩეხეთი, რუმინეთი და ინდონეზიაც კი.

მიუხედავად ასეთი მაჩვენებლებისა მსგავსი კომპანიების მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაციის საქმიანობა ძირითადად კონცენტრირებულია სათაო ქვეყნებთან ურთიერთობაზე, მაშინ როცა საზღვარგარეთული ფილიალების პროდუქცია

შეადგენს 20-25%-ს. სხვა კომპანიებისათვის კი კორპორაციული წელი იზრდება 50 % -ით, გაყიდ-ვების მაჩვენებლები იწევს 47-80% მდე. ამ მხრივ რეკორდსმენები არაინ შვედური "ელექტროლუქსი" ( 89%) , ჰოლანდიური "ფილიპს ელექტრონი-ქსი" ( 93%) და რა თქმა უნდა შვედური ფირმა "ნესტლე" (98%).

სხვა ქვეყნების გარეთ პირდაპირი ინვესტიციების დახმარებით მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონა-ლიზაცია ქმნის **მეორად ეკონომიკას**. ამის მაგალითია აშშ. ჯერ კიდევ 1980-იან წლებში ამერიკულ კაპიტალზე აშენებულ საზღვარგარეთის საწარმოებში დასაქმებული იყო 6.5 მილიონზე მეტი ადამიანი, ხოლო მოგების წილმა შეადგინა მისი 1/3. თავისი მეორადი ეკონომიკის ზომებით აშშ ბევრად უსწრებს იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და საფრანგეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

უკვე განიხილება საკითხი მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაციის შესაძლო შექმნისა რუსეთში. მოისეევის აზრით იმისათვის, რომ რუსეთი შევიდეს მსოფლიო მეურნეობის ტრა-ნსნაციონა-ლიზაციაში, როგორც პარტნიორი მას უნ-

და ჰქონდეს თავისი ძლიერი კორპორაციები, კონ-კურენტუნარიან მსოფლიო ბაზარზე, ხოლო ეს ხდე-ბა ქვეყანაში არსებული მონოპოლიების საფუძველზე. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი გეოგრა-ფის აზრით 1990 წლისთვის რუსეთში არ-სებობდა 30-40 უდიდესი საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი, რომლებიც შეიძლებოდა ყოფილიყო საფუ-ძველი მს-გავსი მსოფლიო მეურნეობის ტრანსნა-ციონალიზაციის ფორმირებისა. ეს ეხება უპირვე-ლეს ყოვლისა გაზნავთობის კომპლექსს, ქიმიურ და მეტა-ლურგიურ მრეწველობას, ასევე ავიაციის, რაკ-ეტმშენებლობის და ენერგო მანქანათმშენებლობის წარმოებას. "გაზპრომი"- გაზის მრეწველობაში, "ლუკოილი" – ნავთობის, "ალროსა"- უკვე გახდნენ ტრანსნაციონალური კორპორაციები. 2005 წლისა-თვის მსოფლიოს 500 უდიდესი კომპანიების სიაში პირველად შევიდა "რაო ეიეს რასია" ( 248 ადგილი).

# ტერიტორია როგორც განთავსების ფაქტორი

ტერიტორიის განთავსებაზე, როგორც ფაქ-ტორზე უკვე წერდნენ ბარანსკი, საუშკინი, მაიერ-გოიზი, პოკშიშევსკი, რომელებმაც ხაზი გაუსვეს ჩვენი მეცნიერებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელ-ობას ტერიტორიული მიდგომის საკითხში. მაშბიცმა ტერიტორიულობა შეიტანა გეოგრაფიის პარადიგმის მნიშვნელოვან სიათა რიცხვში. მართლაც, ტერიტო-რიულობა უნდა გავიგოთ, როგორც ერთ-ერთი მთა-ვარი პრინციპი და მიდგომა ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიისა.

ტერიტორია – ეს არის სახელმწიფოს წარ-მოების სიძლიერის ელემენტი. ისეთი შემადგენელი ელემე-ნტები, როგორიცაა ბუნებრივი რესურსები და მათი ათვისების პირობები, რომლებიც ხელს უწყ-ობენ მეურნეობის ათვისებას. ზოგიერთმა გეოგ-რაფებმა წამოაყენეს თეზისები იმის შესახებ, რომ ნებისმიერ ტერიტორიას აქვს თავისი "მოცულობა" ე.ი. შეუძლია დაიტიოს მოსახლეობის გარკვეული

რაოდენობა და სამრეწველო და სხვა ობიექტები. ასეთი მოცულობა დამოკიდებულია მის სიდიდეზე, სივრცის სამეურნეო ორგანიზებულობაზე, ეკოლოგიურ სიტუაციაზე და სხვ. როგორც წესი, რაც უფრო ვრცელია ქვეყანა, მით უფრო მრავალფეროვანია მისი ბუნებრივი რესურსები და მას აქვს შესაძლებლობა ტერიტორიული მანევრირების, ახალი მიწების ათვისების, სივრცითი ძვრებისა, შრომის რაიონთაშორისო ფორმირების.

ტერიტორიების სიდიდე პრობლემებსაც ქმნის. ეს არის მანძილის დაფარვა, გადატანის სიშორე, საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა და მისი "მომწიფების" მიღწევა. ეს პრობლემა დგას რუსეთის, კანადის, ავსტრალიის, ბრაზილიის, ჩინეთის და ინდოეთის წინაშე. როგორც მოსალოდნელი იყო რუსეთი ამ მიმართებაში ძალიან ჩამორჩება სხვა ქვეყნებს, მიუხედავად იმისა, რომ მან საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით მიიღო ძალიან ძლიერი ნავთობენერგეტიკული კომპლექსი. XX საუკუნის 90-იან წებში პირველადი ენერგორესურსების წარმოება შემცირდა 1/4-ით. ერთდროულად შეიცვალა ენერგიის წაყროების წარმოების სტრუქტურა, რომელშიც შემ-

ცირდა ქვანახშირის და ნავთობის წილი და გაიზარდა ბუნებრივი აირი 50%-ით.

## მსოფლიო ნავთობმრეწველობა

ნავთობმრეწველობა მსოფლიო ნავთობენერგეტიკული მრეწველობის წამყვანი დარგია. იგი ძლიერ გავლენას ახდენს მთელ მსოფლიო მეურნეობაზე და ასევე მსოფლიო პოლიტიკაზე. ნავთობმრეწველობა გამოირჩევა დიდი კაპიტალ მოცულობით და დღეს არსებული მსოფლიოს ექსპლოატაციის ნავთობ ჭაბურღილები მილიონს აღწევს. ნავთობ სამრეწველო მოპოვება XIX საუკუნის შუაში ერთდროულად სამ ქვეყანაში დაიწყო: რუსეთში, რუმინეთში და აშშ-ში. XX საუკუნის დასაწყისში უკვე 20 ქვეყანა მოიპოვებდა ნავთობს, მაგრამ ყველაზე მეტს აშშ, ვენესუელა და რუსეთი. 1940 წლისთვის ნავთობმომპოვებელ ქვეყანათა რიცხვი გაიზარდა 40-მდე და წამყვანი როლი შეინარჩუნეს აშშ-მ, რუსეთმა, ვენესუელამ და ირანმა. 1970 წელს უკვე 60 - მდე

მიაღწია, 1990 წელს - 80. ხოლო 1990 წლის ბოლოს 95-მა. ჯერ კიდევ 1960 წლებში ნავთობის მსოფლიო მოპოვების ნახევარი მოდიოდა დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებზე, ხოლო შემდეგ პირველობა გადავიდა აღმოსავლეთ ქვეყნებზე. შესაბამისად გაიზარდა ნავთობის მსოფლიო მოპოვება. 1980-ანი წლების შემდეგ დაიწყო კრიზისი და ნავთობის ფასი მკვეთრად გაიზარდა მსოფლიო ბაზარზე.

მსგავსმა სიტუაციამ იმოქმედა ნავთობის მოპოვების გეოგრაფიულ სურათზე, რამაც იგი გახადა არარენტაბელური, ექსტრემალური ბუნებრივი პირობების მქონე ძნელად მისაწვდომ ადგილებში. 1990 წლების დასაწყისში ნავთობის მსოფლიო მოპოვება ასე თუ ისე დასტაბილურდა. ეს არ მომხდარა რესურსების შეზღუდვით, არამედ ნავთობმომპოვებელი ქვეყნების პოლიტიკით, პირველ რიგში კი ოპეკის წევრი ქვეყნებისა. ასეთი პოლიტიკა ითვალისწინებდა მოპოვების მკაცრ ნორმირებულ კვოტას, იმისათვის, რომ ფასი არ დავარდნილიყო. ასეთივე პოლიტიკას ატარებდა ის ქვეყნებიც, რომლებიც არ შედიოდნენ ოპეკის შემადგენლობაში. მხოლოდ 1990-იანი წლების ბოლოს მოხდა დიდი აღმასვლა, 2004 წლისთვის

კი 3.8 მილიარდ სახელმწიფოთა მესამე ჯგუფებს შორის ნავთობის მოპოვების განაწილება შეიცვალა; შეიცვალა 2 ჯგუფს შორის; კაპიტალისტურსა და სოციალისტურს შორის, რადგანაც დასავლეთში და განვითარებად ქვეყნებში მოპოვებული ნავთობის მთელი წილი ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-30-იან წლებიდან მოყოლებული იმყოფებოდა საერთაშორისო ნავთობის კარტელის კონტროლის ქვეშ, რომელშიც შედიოდა 7 უდიდესი კომპანია, ამერიკული "სტანდარტ ოილის" მეთაურობით. მაგრამ, მალე გააქტიურდნენ ოპეკის ქვეყნებიც და ნავთობის მოპოვების 40%-ს ისინი აკონტროლებდნენ. რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს 1990 წლის ბოლოს 60% ავიდნენ მსოფლიო ნავთობის მოპოვებაში, მაშინ როცა დასავლეთის მთელი წილის მაჩვენებლები 24% იყო.

# მსოფლიო ფინანსური ბაზარი

მსოფლიო მეურნეობის შემადგენლობაში მსოფლიო საქონლის და მომსახურების ბაზრებს შორის განთავსდა მსოფლიო ფინანსური ბაზარი, რომელსაც საკმაოდ რთული სტრუქტურა აქვს. ამ ბაზრის საფუძველია კაპიტალის მოზიდვა მდიდარი ქვეყნებიდან იმ ქვეყნებში, სადაც მცირე კაპიტალია.

კაპიტალის მოზიდვა ხდება ორი ძირითადი ფორმით: სამეწარმეო და სესხით, ანუ სასესხო კაპიტალით. სამეწარმეო კაპიტალის გამოწვევა სთავაზობს ორგანიზაციებს საზღვარგარეთ ფილიალებში, შვილობილ საწარმოებში, შერეული საწარმოების კაპიტალს, რომელსაც ითვისებენ წარმოებით, ვაჭრობით და ეკონომიკის სხვა დახმარებებით. ეს ხდება ორი ფორმით: პირდაპირი და "პორთფელის" ინვესტიციით. პირდაპირი კაპიტალდაბანდება უზრუნველყოფს საზღვარგარეთული საწარმოების მთლიან ან ნაწილობრივ ( დაახ. 25% ) ფლობას აქციონალური კაპიტალით, რომელიც საშუალებას აძლევს ინვესტორს აკონტროლოს იგი. "საპორთფელე" ინვ-

ესტიცია – ეს ისეთი კაპიტალდაბანდებაა, რომელიც ხორციელდება აქციების, ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვით.

მსოფლიო ფინანსური საქმიანობის სამი ძირითადი არეალია:

- ✓ – **აშშ.** კაპიტალის ექსპორტით იგი პირველ ადგილზეა. ამერიკული კაპიტალის მთავარი მომხმარებელია დასავლეთ ევროპა, ასევე კანადა, ლათ.ამერიკა და სხვ.
- ✓ – **დასავლეთ ევროპა**. საზღვარგარეთული ინვესტიციების მასშტაბით იგი მნიშვნელოვნად უსწრებს აშშ-ს. თუმცა კაპიტალის გადიდება ხდება თვით ევროპის ქვეყნებს შიგნით, რაც აისახება მჭიდრო ინტეგრაციით ევროკავშირის ქვეყნებს შორის. კაპიტალის ექსპორტით მეორე ადგილზე აშშ-ა.
- ✓ – **იაპონია**. მან გაუსწრო დიდ ბრიტანეთს, იაპონიის ძირითადი კაპიტალი გადის დას. ევროპაში. მიუხედავად ამისა იგი კაპიტალის 1/4 გზავნის განვითარებად ქვეყნებში. ( კორეა, ბრაზილია, მალაიზია, ფილიპინები ).

მსოფლიო ფინანსური სტრუქტურა საკმაოდ რთულია. სამეწარმეო და სესხობრივი კაპიტალდაბანდებები, ოქროს ბაზრის გაფართოება, კრედიტები, ვალუტა, ფასიანი ქაღალდები და სხვ. ამან შექმნა მთელი რიგი ფინანსური ორგანიზაციები. ესენია სახელმწიფო და კომერციული ბანკები, სავალუტო და საფინანსო ბირჟები, საკრედიტო დაწესებულებები, საინვესტიციო ფონდები, ფინანსური კომპანიები .ეს ყველაფერი კი ქმნის მსოფლიო ფინანსური სისტემის ინფრასტრუქტურას. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბირჟებს და ბანკებს.

ბანკები, რომლებიც ჯერ კიდევ კაპიტალ დაგროვების ეპოქაში შეიქმნა ევროპაში, დიდი განვითარება ჰპოვა ახლანდელ დროში, როცა მათ მმართველი პოზიცია დაიკავეს კაპიტალის სესხით ბაზარზე. გარდატეხა მოხდა XXს-ის 60-იან წლებში, რადგან ამ დროს გაჩნდა ორი ტენდენცია: 1) ნაციონალური ბანკების შერწყმა და ბანკიგიგანტების შექმნა; 2) სხვადასხვა ქვეყნების ბანკების შერწყმა და საზღვარგარეთული საბანკო კონსორციუმების შექმნა, რომლებმაც უფრო დიდ მონოპოლი-

ზაციამდე მიიყვანა საბანკო სისტემა და ტრანს-ნაციონალური ბანკების შექმნა.

ეხლა მსოფლიოში ფუნქციონირებს იმდენი ბან-კი, რომ მათი დათვლა შეუძლებელია. 1990-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს 40 უდიდესი ბანკებიდან 10 იყო – იაპონური, 8 - ამერიკული, 6 - ფრანგული, 4 - ინგლისური და გერმანული, 3 - შვეიცარული, 2 - ჰოლანდიური და ჩინური, 1 – ავსტრალიური.

ძალიან გავრცელდა საფონდო ბირჟები, რომ-ლებიც ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობენ. ასეთ ბირ-ჟებზე იყიდება აქციები, რომლის პროცესშიც დგი-ნდება მათი საბაზრო ფასი. აქციების კურსის ცვლილებით იზომება ამა თუ იმ დარგის მონაცემები და ქვეყნის მთელი ეკონომიკის მონაცემებიც კი, ამიტომ მათ ყურადღებით აკვირდებიან სახელმწიფო ორგანოები და კერძო მეწარმენი. უცხო ვალუტის ვაჭრობისას არსებობს სპეციალიზირებული სავა-ლუტო ბირჟები.

ბანკების ზრდასთან და ფინანსური საქმი-ანობის კონცენტრაციასთან ერთად შეიქმნა ფინან-სური ცენტრები – ჯერ ნაციონალური, შემდეგ საერ-

თაშორისო და ბოლოს მსოფლიო. სწორედ ისინი აგროვებენ და აგზავნიან მთელს მსოფლიოში უდიდეს სასესხო კაპიტალს, მათ ხელშია მნიშვნელოვანი სავალუტო, საკრედიტო, სადაზღვეო და სხვა ფინანსური ოპერაციები. ასეთი ფინანსური ცენტრები სულ 10-15-ია.

მსოფლიოს საფინანსო ცენტრებს შორის პირველ ადგილზეა დასავლეთ ევროპა. პირობითად ის შეიძლება დაიყოს ძველ და ახალ ცენტრებად. ყველაზე ნათელი მაგალითია ლონდონი, ამ ქალაქშია მსოფლიოში წამყვანი სავალუტო ბირჟა, ( თავისი დღიური ბრუნვით უტოლდება ნიუ-იორკის და ტოკიოს ბირჟებს ერთად ). ევროპაშია უდიდესი საფონდო ბირჟა ფასიანი ქაღალდებისა, აქ აგრეთვე ხდება ოქროს ოპერაციები და კრედიტები. ლონდონის ყოველი მე-5 ადამიანი ფინანსებითაა დაკავებული, უმეტესობა კი მუშაობს ქალაქის საქმიან ფინანსურ ცენტრში - <u>სიტიში.</u> ასევეა პარიზიც , იგი მთავარ ნაციონალურ საფინანსო ცენტრიდან გადაიქცა მსოფლიოს მნიშვნელოვან ფინანსურ ცენტრად. თუმცა მისი სპეციალიზაცია უფრო ვიწროა და შემოიფარგლება მხოლოდ საბანკო კრედიტების ბაზრით.

ლონდონს და პარიზს კონკურენციას უწევს ციურიხი, რომლესაც შვეიცარიის ფინანსურ დედაქალაქს უწოდებენ, იგი ქვეყანა – ბანკირის რეპუტაციით სარგებლობს. ციურიხი , როგორც მსოფლიო საფინანსო ცენტრი გამოირჩევა ოქროს და ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე.

ბოლო წლებში დასავლეთ ევროპაში დაფუძნდა კიდევ სამი მსოფლიო რანგის საფინანსო ცენტრი. ეს არის ლუქსემბურგი, რომელიც ევროკავშირის ფინანსურ დედაქალაქად ითვლება და სპეციალიზირებულია გრძელვადიანი კრედიტების გაცემით. ამ პატარა ქვეყანაში 200 - მდე ბანკია, რომელიც ათასობით საინვესტიციო ფონდის საქმეს განაგებს. კიდევ ერთი „საგადასახადო სამოთხეა" ლიხტენშტაინი, სადაც ათასობით ოფშერული კომპანიაა დარეგისტრირებული. ასევე მაინის ფრანკუთხედი, რომელიც II მსოფლიო ომის შემდეგ გახდა უცხოური ინვესტიციების იმპორტის ცენტრი და შემდეგ მათი უდიდესი ექსპორტიორი. იგი გამოირჩევა გრძელვადიანი საბანკო კრედიტებით და ფასიანი ქაღალდებით. აშშ-ში მსოფლიოს უდიდესი საფინანსო

ცენტრი იყო და არის ნიუ-იორკი, სადაც მსოფლიოში ყველაზე დიდი საფონდო ბირჟაა.

## სინგაპური, როგორც ახალი ინდუსტრიალური განვითარების ქვეყნის მაგალითი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში

სინგაპური (პირდაპირი თარგმანით "ლომის ქალაქი") – აზიის კიდევ ერთი ინდუსტრიული ქვეყანაა. ბევრი რამ მასში ტიპიურია ამ ჯგუფის სხვა ქვეყნებისთვისაც, მაგრამ ბევრი რამ მკვეთრად განსხვავებული. დავიწყოთ თუნდაც ამ ქვეყნის სიდიდით, ზომით, რომლის ფართობი შეადგენს მხოლოდ 650 კვ. კმ. ეს მოსკოვის ფართობზე ნაკლებია და ევროპის ყველაზე "მსხვილ" მიკროსახელმწიფოზე ანდორაზე ოდნავ მეტი. რადგან, საზღვარგარეთ აზიის ტერიტორიული მასშტაბები სულ სხვაგვარია, მათი რაოდენობიდან გამომდინარე, სინგაპურიც სავსებით შესაძლებელია, მიეკუთვნოს მიკროსახელმწიფოების კატეგორიას და მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსახლეობა უკვე 39 მლნ. ადამიანზე მეტია, აზიური მასს-

ტაბებით ის არ არის დიდი რაოდენობის. რაც შეეხება მოსახლეობის სიმჭიდროვეს, ძნელი არ არის გამოსათვლელად, ის უახლოვდება შემდეგ მაჩვენებელს 6100 ადამიანი 1 კვ.კმ-ზე. ე.ი. (მონაკოსთან ერთად) არის რეკორდული მთელს მსოფლიოში. სინგაპურის ეთნიკურ შემადგენლობაში კი მკვეთრად გამოიყოფა სამი ჯგუფი: ჩინელები (77%), მალაიზიელები (14%), ინდოელები (7%). მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს შეადგენენ ძირითადად ევროპელები და მათი შთამომავლები.

მიუხედავად იმისა რომ სინგაპურის ისტორია შუა საუკუნეებიდან იწყება, მისი წარმომავლობის ისტორიას განიხილავენ 1819 წლიდან. ზუსტად ამ წელს ინგლისელებმა დაარსეს აქ თავისი სავაჭრო ფაქტორია, რომელიც თავდაპირველად ეკუთვნოდა პოსტინდურ კომპანიას, შემდეგ კი სტრეიტსსეტლმენტის (დასახლება სრუტესთან) პროტექტორატის შემადგენელი ნაწილი გახდა, უფრო მოგვიანებით კი ჩამოყალიბდა ინგლისური კოლონია.

მისი ბირთვი გახდა საზღვაო პორტი სინგაპური, რომელიც მდებარეობს დაახლოებით კალკუტასა და

კანტონის შუაში (ახლანდელი გუანჩჟოუ). თავიდან მისი სპეციალიზაცია იყო სანელებლების ექსპორტი მცირე ვონდის კუნძულებიდან, შემდეგ კი კაუჩუკისა და კალას ექსპორტი მალაიდან.

XIX საუკუნის შუა წლებში ეს კუნძული ფრეგატ "პალადაზე" მოგზაურობისას მოინახულა რუსმა მწერალმა ი.ა. გონჩაროვმა. მან ასე დაახასიათა ეს კუნძული (პორტი).

"სინგაპური–ერთ-ერთი მსოფლიო ბაზარია, სადაც ჯერ კიდევ ყველაფერი შემოდის, რაც საჭიროა და არ არის საჭირო, რაც სასარგებლოა და მავნეა ადამიანისათვის. აქ ნახავთ აუცილებელ ნივთებს: პურს, ქსოვილებს, საწამლავს, სამკურნალო ბალახებს. გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, სომხები, სპარსელები, ინდოელები, ჩინელები – ყველა ჩამოვიდა აქ, რათა იყიდონ და გაყიდონ. სხვაგვარი მოთხოვნები და მიზნები აქ არ არის.

შემდეგში ინგლისელებმა დაარსეს აქ თავისი ერთ-ერთი უმსხვილესი სამხედრო-საზღვაო ბაზა. პირველი მსოფლიო ომი არ შეხებია სინგაპურს, მეორე

მსოფლიო ომის წლებში კი ის იყო დაპყრობილი იაპონიის მიერ.

ომის შემდეგ სინგაპურმა მიაღწია ჯერ ფორმალურ თვითმმართველობას ბრიტანული თანამეგობრობის ჩარჩოებში (1959წ), შემდეგ კი ის ცოტა ხნის განმავლობაში შედიოდა მალაიზიის ფედერაციაში, მაგრამ 1965 წელს გამოვიდა მისი შემაგდენლობიდან და გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო - რესპუბლიკა სინგაპური.

სინგაპურის გეგრაფიული მიკრომდებარეობის თავისებურება მდგობარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს კუნძულოვან სახელმწიფოს, რომელიც განლაგებულია იმავე დასახლების დაბლობიან კუნძულზე და მასთან ახლო მყოფ პატარა კუნძულებზე. სამხრეთით ის სინგაპურის სრუტით გამოყოფილია ინდონეზიურ კუნძულ სემატრისგან, ჩრდილოეთით კი ვიწრო ჯოხორის სრუტით – მალაიზიისგან. სარკინიგზო მაგისტრალი აკავშირებს სინგაპურს ჯოხორის სრუტის მეორე მხარეს განლაგებულ მალაიზიურ ქალაქ ჯოხორბარუსთან (შემდეგ ის მიდის კუალალუმპურში და ბანგკოკში). სარკინიგზო მაგის-

ტრალისთვის სპეციალურად აგებული იყო დამბა სრუტეზე, რომელზედაც გადის მრავალმხრივი საავტომობილო მაგისტრალი და წყალსადენის სამი მილი (სინგაპური იღებს სასმელ წყალს მალაიზიიდან).

სინგაპურის ისტორიული ბირთვი ჩამოყალიბდა კუნძულის ცენტრალური ნაწილის სამხრეთ ზღვისპირეთში, სადაც სინგაპურის სრუტეში ჩაედინება პატარა მდინარე სინგაპური. აქ ჯერ კიდევ შემორჩენილია კოლონიალური პერიოდის სახლები, მაგრამ დღეს ქალაქის ცენტრალური არეალის იერსახე ულტრათანამედროვეა, სამთავრობო შენობებით, ოტელებით, საცხოვრებელი სახლებით, მაღაზიებით, გართობის ადგილებით.

მათი უმრავლესობა განლაგებულია მაღლივ შენობებში და ცათამბჯენებში. ყველაზე დიდი ცათამბჯენები 60 და 65 სართულიანია. ცენტრალური არეალი გარშემორტყმულია საცხოვრებელი შენობებით, ესენიც მრავალსართულიანია (იგრძნობა მიწის უკმარისობა). საცხოვრებელი შენობები 3 და 5 ოთახიანია და საკმაოდ კეთილმოწყობილი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ცენტრალური არეალი მიმდებარე საცხოვრებელი რაიონებით გახლავთ ქვეყნის დედაქალაქი სინგაპური, რომლის მოსახლეობა შეადგენს 2 მლნ. ადამიანს. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი კი ცხოვრობს ე.წ. ახალ ქალაქებში, გარეუბნებში, ყველაზე დიდი მათგან – ქალაქი ჯურონგია. ყველა გარეუბანი დაკავშირებულია ავტობუსების მარშრუტებით და მეტორპოლიტენის რამდენიმე ხაზით;

სინგაპურის სამრეწველო პროფილი მისი ისტორიის მანძილზე იცვლებოდა რამდენიმეჯერ. თავიდან, მრავალი ათწლეულის მანძილზე სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია იყო საერთაშორისო ვაჭრობა, რომელიც დაყრდნობილი იყო რეექსპორტზე. ეს ნიშნავს იმას, რომ სინგაპურის გავლით მსოფლიო ბაზარზე იგზავნებოდა  პროდუქცია, წარმოებული მეზობელ ქვეყნებში. ჯერ კიდევ 1960 წელს რეექსპორტის წილი მთელს ექსპორტში შეადგენდა 95%-ს. შემდეგ კი ინდუსტრიული განვითარების წარმატებების წყალობით, ეს წილი შემცირდა და წინა პლანზე წამოიწია მზა პროდუქცია, წარმოებული სინგაპურში.

2000 წელს სინგაპურის ექსპორტმა შეადგინა 140 მლრდ. დოლარი (2,2% მსოფლიო), მათ შორის ადგ-ილობრივი პროდუქციის – 80 მლრდ დოლარი (1.2%). პირველი შეხედვით ეს წილობრივი მაჩვენებლები შე-იძლება არც ისე მაღალი მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ასე არ არის. მეორე მაჩვენებლის მიხედვითაც კი პა-ტარა სინგაპური უსწრებს ისეთ გიგანტ ქვეყნებს როგორიც არიან რუსეთი, ავსტრალია, ბრაზილია, სხვა ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ. მისი სავაჭრო პარტნიორები არიან: იაპონია, აშშ, მალაიზია და ტაილანდი, ევროკავშირის ქვეყნები.

სინგაპურის მთელი სავაჭრო ქსელი იყო, და ას-ეთია ახლაც, მჭიდროდ დაკავშირებული საზღვაო პორტთან, რომელიც თავდაპირველდ დაარსდა მდი-ნარე სინგაპურის შენაკადში. ახლა კი მას უჭირავს თითქმის მთელი სანაპირო ზოლი, რომელიც უკავშ-ირდება სინგაპურის სრუტეს, სადაც განლაგებულია სპეციალიზირებული საპორტო ტერმინალები. 1990-იან წლებში ტვირთბრუნვით (330 მლნ. ტონა წელი-წადში) სინგაპურის პორტმა გაუსწრო როტერდამს და გავიდა პირველ ადგილზე მსოფლიოში. მისი გე-მთბრუნვა შეადგენს 130 ათას გემს დღე-ღამეში. 400-

ზე მეტი სანაოსნო ხაზი აკავშირებს სინგაპურს მსოფლიოს 740 პორტთან. ჩვეულებისამებრ თავად პორტში და მის რეიდზე სრუტეში ერთდროულად იმყოფება 700-800 გემი ათეულობით ქვეყნიდან. კონტეინერულ გადაზიდვებში კი სინგაპური ინაწილებს 1-2 ადგილებს სიანგანთან.

სინგაპურის ინდუსტრიალიზაციის აჩქარების განხორციელების დასაწყისშივე 1960-იან წლებში სწრაფად განვითარდა „საპორტო მრეწველობა“, რომელიც ორიენტირებული იყო იმპორტული ნედლეულის გადამუშავებაზე. პირველ რიგში ეს ეხება ისეთ „ბინძურ“ წარმოებას, როგორიც არის ნავთობგადამუშავება და ნავთობქიმია, რომელიც 1970-იან წლებში გახდა აქ საკვანძო მრეწველობა. სინგაპურის ხუთი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სიმძლავრემ მიაღწია თითქმის 60 მლნ. ტონას და ამ მაჩვენებლის მიხედვით იგი გავიდა მესამე ადგილზე მსოფლიოში ამერიკული ჰიუსტონისა და ჰოლანდიური როტერდამის შემდეგ. საინტერესოა ისიც, რომ ეს ნავთობის მარაგი ნავთსაცავებთან ერთდ გადატანილი იქნა შვიდ პატარა კუნძულზე, რომლებიც მდებარეობს ქალაქ ჯურონგის სამხრეთით. ეს პატარა კუნძულები

ფაქტიურად გააერთიანეს ერთ დიდი კუნძულად, რამაც ხელი შეუწყო დიდი სამრეწველო ზონის შექმნას. ამ ზონის ბაზაზე იაპონურმა და გერმანულმა კონცერნებმა უკვე დაიწყეს თანამედორვე მსხვილი ნავთობქიმიური წარმოების განვითარება. პროექტი ითვალისწინებს დამბის აგებას, რომელიც დააკავშირებს კუნძულ ჯურონგს ამ სამრეწველო რაიონის მთავარ ნაწილთან.

„საპორტო მრეწველობის“ დარგს უნდა მივაკუთვნოთ გემთმშენებლობაც. აქ აშენებენ სუპერტანკერებს 500 ათას ტ. ტონაჟით და ნავთობსაბურღ ბაქნებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე გემების შეკეთებას.

1980-1990 წლებში სინგაპურის ინდუსტრიული პროფილი შეიცვალა. მისი მთავარი მიმართულება გახდა ელექტრონიკა, რომელზედაც ახლა მოდის მთელი სამრეწველო წარმოების ნახევარი. ჯერ კიდევ 1970-იან წლებში დაარსებული ეს დარგი თავდაპირველად დაფუძნებული იყო ამწყობ ოპერაციებზე და აგრეთვე ორიენტირებული იყო მცირეკვალიფიცირებულ სამუშაო ძალაზე. მაგრამ 1980-იან წლებში

განხორციელებული იყო სწრაფვა მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე, რომლებიც ჩვენს დროში წარმოდგენილია საყოფაცხოვრებო და საწარმოო ელექტრონიკით. ელექტრონული მრეწველობა ამჟამად დომინირებს, კერძოდ ქალაქ სინგაპურში და ახალი ქალაქების დიდ ნაწილში.

არ არის გასაკვირი, რომ თავად სინგაპურიც ახდენს ელექტრონიზაციის, წარმოების საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის მკვეთრი მაგალითების დემონსტრირებას. ის უკვე შევიდა კომპიუტერების მომხმარებელი ქვეყნების პირველ ხუთეულში, აშშ, შვეიცარიისა და შვედეთის შემდეგ. სინგაპურის პორტის კონტეინერულ ტერმინალზე მუშაობს ელექტრონულ-გამოთვლითი ცენტრი, რომელიც ირჩევს ყოველი ოპერაციისათვის ოპტიმალურ ვარიანტს და აგრეთვე აკონტროლებს ჩამოტვირთვის და დატვირთვის პროცესს.

ჩანგის საერთაშორისო აეროპორტში კი რომლის მგზავრთბრუნვა შეადგენს 28 მლნ. მგზავრს წელიწადში, თვითმფრინავების გამგზავრებისა და ჩამოსვლის პროცესი კონტროლდება კომპიუტერების მე-

შვეობით ერთ წუთამდე სიზუსტით. კომპიუტერიზაციამ მოიცვა მთელი სასაზღვრო და საბაჟო კონტროლი, საქალაქო ტრანსპორტი, განათლების სისტემა, მაგრამ სინგაპურის მომავალს ამჟამად უკავშირებენ არა მარტო საწარმო, მწარმოებელ, არამედ არასაწარმოო სფეროს. ჯერ კიდევ 1990-იან წლებში სინგაპურის ეკონომიკური სტრატეგია მიმართული იყო, პირველ რიგში, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რათა ის გამხდარიყო ინფორმაციის დამუშავებისა და გამოყენების მთავარ რეგიონალურ ცენტრად, აგრეთვე საინფორმაციო პროგრამების დამუშავების სფეროს განვითარების მიზნით. ამისთვის საჭირო გახდა სათანადო ინდუსტრიის შექმნა.

მომავალში მსხვილი რეგიონალური და მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ფუნქციის შენარჩუნებით სინგაპური გახდა მომსახურეობის სფეროს, მარკეტინგისა და ფინანსური საქმიანობის მნიშვნელოვანი ცენტრი. აქ მდებარეობს 3000 მეტი ტრანსნაციონალური კომპანია, ზოგი მათგანი შედის „მილიარდელების მსოფლიო კლუბში". სინგაპურის სავალუტო ბირჟა ყოველწლიური ბრუნვით ჩამორჩება მხოლოდ ლონდონს,

ნიუ-იორკსა და ტოკიოს. მისი საფონდო ბირჟა ემსახურება მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას. ქალაქის ცენტრალურ არეალშიც კი, ალბათ, ყველა მაღლივი შენობის ნახევარში განთავსებულია ბანკების და სხვა მსგავსი დაწესებულებების სამმართველოები. და კიდევ ერთი სინგაპურისათვის პერსპექტიული საქმიანობის სფერო – საერთაშორისო ტურიზმია. უკვე ახლა სინგაპურში ჩადის 5-6 მლნ ტურისტი წელიწ-ადში. მათ იზიდავს არა მხოლოდ ულტრათანამედროვე არქიტექტურა, არამედ სერვისის მაღალი დონე – მშვენიერი ოტელები, გართობების კარგად განვი-თარებული ინდუსტრია, სავაჭრო ცენტრების სიმრავლე. სინგაპურის აეროპორტი ჩანგი, მეტრო, 73 სართულიანი სასტუმრო „შანგრილა“ აღიარებულია საუკეთესო ობიექტებად მსოფლიოში.

შეიძლება დავამატოთ, რომ სინგაპურმა დაიმსახურა აგრეთვე მსოფლიოში ყველაზე სუფთა ქალაქის სტატუსი, არა მარტო ჯარიმების მთელი სისტემის წყალობით (500-დან-1000 სინგაპურულ დოლარამდე), არამედ კულტურის საერთაშორისო დონის წყალობით. აქ არსებობს თავაზიანობის ეროვნული კომი-

ტეტიც კი. ამჟამად სერიოზულად განიხილება აგ-
რეთვე სინგაპურის, რომელიც მდებარეობს 127 კმ-ით
ეკვატორიდან ჩრდილოეთით, მსხვილ საკურორტო
ცენტრად ჩამოყალიბების პერსპექტივა. ამასთანავე
უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამრეწველო საქ-
მინობის სფეროს უკავია ტერიტორიის ნახევარი,
დანარჩენი მისი ნაწილი კი უჭირავს ტყეებს, სასო-
ფლო სამეურნეო კულტურებს (ისინი ძალიან მცირე
რაოდენობითაა წარმოდგენილი) და აუთვისებელ მი-
წებს. ამჟამად მთავარ საკურორტო ფუნქციებს ასრ-
ულებს სენტოსის პატარა კუნძული სინგაპურის სრ-
უტეში. აქ შეგვიძლია ვიხილოთ პირველი მოსახლე-
ობის დასახლება, ძველი პორტი, პეპლების ეგზოტი-
კური პარკი, ორქიდეების პარკი (ორქიდეა–სინგაპუ-
რის ნაციონალური ყვავილია), აზიის უმსხვილესი
ოკეანარიუმი – „წყალქვეშა“ სამყარო, აგრეთვე წყ-
ლის კუნძული, შადრევნების კუნძული, ე.წ. ვულკა-
ნოლენდი. ბუნებრივი პარკი არის კუნძულის აღმოსა-
ვლეთ სანაპიროზეც. მის დასავლეთ ნაწილში კი
მდებარეობს ბუნებრივი რეზერვუარი ტროპიკული
ფლორის ნაირსახეობით, ფრინველებისა და ყველა
სახის პეპლების საოცარი სამყაროთი. მეორე ბუნე-

ბრივ რეზერუარში მდებარეობს გადამფრენი ფრინველების დასვენების ადგილი მათი მიგრაციის დროს აღმოსავლეთ აზიიდან. მთელი წლის განმავლობაში მუშაობს ტურისტებისთვის ნიანგების საცავი.

ქვეყნის ეროვნულ გერბზე გამოკვეთილი დევიზია: „დაე აყვავდეს სინგაპური" და ყველა ამბობს, რომ ეს დევიზი წარმატებით ხორციელდება. ძალიან პატარა ქვეყანას საბაზრო და ღია ეკონომიკით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია „ეკონომიკური თავისუ-ფლების დონით" და მეორე – აშშ-ს შემდეგ საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობით. სინგაპური ეკონომიკური სტაბილურობის კარგი მაგალითია – 1997-1998 წლების კრიზისიც კი მას არ შეხებია. ამასთანავე სინგაპური გამოირჩევა შესაშური პოლიტიკური სტაბილურობით, მაგრამ როგორც ხშირად, იგი ძირითადად დაფუძნებულია ქვეყნის მართვის ავტორიტარულ მეთოდებზე.

# ნავთობისა და გაზის საბადოები - გიგანტები სპარსეთის ყურის ზონაში

საყოველთაოდ ცნობილია როგორ დიდ როლს თამაშობს სპარსეთის ყურის ქვეყნების ეკონომიკაში ნავთობის როლი. საკმარისია ითქვას რომ ნავთობის წილი საუდის არაბეთის, ქუვეითის და ირანის საექ-სპორტო შემოსავლებში შეადგენს 90-95%, ერაყის, კატარის და გაერთიანებული არაბეთის ემირატების წილი კი 95-100%-საც. ნავთოდოლარების შემოდინე-ბის წყალობით ამ ქვეყნებმა შედარებით მოკლე დროში შეძლეს თავისი ეკონომიკის რეკონსტრუქცია და შემოსავლების ძალიან მაღალი დონის უზრუ-ნველყოფა ერთ სულ მოსახლეზე (გაერთანებულ არაბეთის ემირატებში და კატარში 15-20 ათასი დო-ლარი). ზუსტად ნავთობით სიმდიდრე განაპირობებს სპარსეთის ყურის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას აზიაში და მსოფლიოში. მაგრამ ეს სიმდიდრე უშუ-ალოდ არის დაკავშირებული ნახშირწყალბადის სა-ბადოებთან, რომლებიც მიეკუთვნება გიგანტურ კატ-ეგორიას.

სპეციალისტები ნავთობის გეოლოგიის დარგში საწყისი მარაგების მაჩვენებლებით ყოფენ ნავთობის საბადოებს ხუთ ჯგუფად:

1. მცირე (10 მლნ.ტონამდე)
2. საშუალო (10-50 მლნ)
3. მსხვილი (50-500 მლნ)
4. გიგანტური (500-1000 მლნ)
5. უნიკალური (1 მლრდ ტონაზე მეტი)

ზოგი შეფასებით 1980-იანი წლების დასაწყისში 25 ათას ნავთობის საბადოებიდან გიგანტურ და უნიკალურ კატეგორიას მიეკუთვნებოდა მხოლოდ 45 (0,18%), მაგრამ საერთო მარაგში მათი წილი აღემატებოდა 80%-ს. ასეთ საბადოებში ყველაზე დიდი კონცენ-ტრაციით გამოირჩევა ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონი. შემთხვევითი არ არის, რომ ნავთობის მარაგით მას უკავია კონკურენციის გარეშე პირველი ადგილი მსოფლიოში. ამ რეგიონის ფარგლებში კი პირველობა ეკუთვნის სპარსეთის ყურის ნავთობაირის აუზს. ამ აუზს უკავია მიწის ქერქის დიდი ტერიტორია. აუზის ტექტონურ რუკაზე გამოიყოფა ორი მთავარი ნაწილი: არავიის ფილა და მესოპოტამიის გვერდული.

საძირკველი ჩაწოლილია 5-8 კმ სიღრმეზე და ამ უზარმაზარ ნალექიან სისქეში წარმოქმნილია უამრავი ამობურცულობები და ნაოჭები, რომლებთანაც დაკავშირებულია ნავთობაირის წარმოქმნა. ყველაზე მეტი საბადოები არის საუდის არაბეთში და ირანში, შემდეგ კი ერაყში.

ნავთობის საბადო გავარი ითვლება ყველაზე მსხვილ საბადოდ არა მხოლოდ ახლო და შუა აღმოსავლეთში, არამედ მსოფლიოში. ის აღმოჩენილია 1949 წელს. მისი სიგრძე შეადგენს 250 კმ და სიგანე 15-25 კმ-დე. სხვადასხვა წლებში ამ საბადოზე ნავთობის მოპოვება აღემატებოდა 100 მლნ ტონას, სულ კი ექსპლუატაციის განმავლობაში აქ მოპოვებული იყო რა-მდენიმე მლრდ. ტონა ნავთობი.

საბადო აღაჯარი აღმოჩენილი იყო ჯერ კიდევ 1937 წელს, მაგრამ მისი დამუშავება დაიწყო 1948 წელს. ისიც წარმოადგენს მსხვილ ამობურცულობას სიგრძით 50 კმ და სიგანით 6-7 კმ. შემდგარი კირქვის ნაპრალებისაგან. საბადო დიდი ბურგანი (ელ-ბურქანი) აღმოჩენილი იყო 1938 წელს, მისი დამუშავება კი დაიწყო 1946 წელს.

საბადო ეს საფანია, აღმოჩენილი 1953 წელს, გენეტიკურად დაკავშირებულია ანტიკლინალურ ნაოჭთან, რომლის სიგრძე შეადგენს 60 კმ სიგანე კი 20 კმ. პროდუქტიული ფენების საშუალო სიღრმე აქ შეადგენს 1,5 კმ. აუზის უნიკალური საბადოებისგან განსხვავებით ეს საბადო მდებარეობს სპარსეთის ყურეში და ითვლება თითქმის ყველაზე მსხვილ საზღვაო საბადოდ მსოფლიოში. ნავთობის საწყისი მარაგით ესსაფანია ყველაზე მდიდარია ჩრდილოეთ ზღვის საბადოებში.

საბადო კირკუტი მდებარეობს ერაყის ჩრდილოეთში, ერაყის ქურთისტანში და აღმოჩენილი იყო 1927 წელს. ესეც ანტიკლინალური ნაოჭია, რომლის სიგრძე თითქმის 100 კმ-ია, სიგანე კი 5 კმ.

სპარსეთის ყურის აუზი გამოირჩევა არა მხოლოდ საბადო გიგანტების დიდი რაოდენობით არამედ ნავთობის ხარისხით. უმრავლეს შემთხვევაში იგი რბილია და ნაკლებგოგირდოვანი.

იმის წყალობით, რომ მათი უმრავლესობა შადრევნულია, მათი საშუალო პროდუქტიულობა შეადგენს საუდის არაბეთში, ირანში, ერაყსა და ქუვე-

ითში 800ტ. დღე-ღამეში, მაშინ როდესაც მსოფ-ლიოში საშუალოდ ეს მაჩვენებელი 3ტ. უდრის. მაგ-რამ მსოფლიო რეკორდსმენი გახლავთ საბადო აღა ჯარი, სადაც ჭაბურღილების უმრავლესობა იძლევა 700-800 ტ. ნავთობს.

**პეკინი** და **შანხაი** - ჩინეთის უდიდესი ქალაქებია. ისინი შედიან აგრეთვე მსოფლიოს უდიდესი ქალაქ-ების ათეულში. პეკინი ქვეყნის ადმინისტრაციული დედაქალაქია. შანხაის კი შეიძლება ვუწოდოთ ეკო-ნომიკის დედაქალაქი. ამ ქალაქებს ბევრი საერთო აქვთ, ამასთანავე ისინი ძალზე განსხვავდებიან ერ-თმანეთისაგან. მიუხედავად ყველაფრისა, თითოეული მათგანი თავისებურად ასრულებს მსოფლიოში მოსა-ხლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი ქვეყნის "სავ-იზიტო ბარათის" ფუნქციას.

ჩინეთის დედაქალაქი პეკინი ქვეყნის უმნიშვნელ-ოვანესი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურუ-ლი ცენტრია. ის განლაგებულია დიდი ჩინური დაბ-ლობის ჩრდილოეთ ნაწილში, 120კმ-ით ზღვიდან. უძველესი დროიდან დაარსებულ სავაჭრო გზებზე, რომლებიც აკავშირებს ქვეყნის ჩრდილოეთ-აღმოსა-

ვლეთ და აღმოსავლეთ რაიონებს, აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ რაიონებთან. დასავლეთ და ჩრდილოეთ მხრიდან პეკინი გარშემორტყმულია მთებით და მხოლოდ მისგან 50 კმ. დაცილებით გადის დიდი ჩინეთის კედლის ერთ-ერთი ნაწილი. სამხრეთის მიმართულებით კი მას არ გააჩნია მკვეთრად გამოკვეთილი საზღვრები.

ცნობილია რომ პეკინის ისტორია ითვლის 3000 წელს. ამ ადგილზე დაარსებულ პუნქტებზე პირველი ხსენება მიეკუთვნება ძვ.წ. II ათასწლეულს. შემდეგ ქალაქი იზრდებოდა, მას ჰქონდა სხვადასხვა სახელწოდება, იგი იყო სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების დედაქალაქი. მონღოლური დინასტია იუანის მართვის დასაწყისიდან XIII ს-ში პეკინი (სახელწოდებით ხანბალიკი, ე.ი. "ხანის ქალაქი") ხდება ჩინეთის დედაქალაქი. შემდეგ მინის დინასტიის გამეფებიდან იგი კარგავს თავის "დედაქალაქურ" ფუნქციებს, მაგრამ 1421 წლიდან კვლავ ხდება დედაქალაქი. იმ დროიდან დღემდე პეკინი რჩება ჩინეთის დედაქალაქად. 1949 წელს პეკინი აღიარეს დედაქალაქად.

1949 წლამდე, დედაქალაქის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ პეკინი ნელი ტემპებით ვითარდებოდა, მისი განვითარება ძირითადად წარმოადგენდა სავაჭრო გამანაწილებელ ცენტრს. მრეწველობა აქ შედარებით მცირე იყო, ჭარბობდა ისეთი დარგები, როგორიცაა კვების და საფეიქრო მრეწველობა, ფართოდ იყო გავრცელებული კუსტარული დარგები. 1949 წლის შემგედ პეკინმა გაცილებით სწრაფი ტემპებით დაიწყო განვითარება. რადიკალურად შეიცვალა მისი ფუნქციებიც:

1. პეკინი ასრულებს მნიშვნელოვან დედაქალაქურ-ადმინისტრაციულ ფუნქციას, რადგან აქ განლაგებულია სახელწიფო ხელისუფლების ყველა უმაღლესი ორგანო.

2. მის მთავარ ფუნქციათა რიცხვს მიეკუთვნება სამრეწველო ფუნქცია. სახალხო მმართველობის წლებში პეკინი გადაიქცა ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს ინდუსტრიალ ცენტრად. ახლა მის სამრეწველო პროფილს განსაზღვრავს მძიმე მრეწველობა, მასში კი იგულისხმება ისეთი დარგები როგორიცაა მანქანათმშენებლობა, შავი მეტალურ-

გია, ქიმიური მრეწველობა, ენერგეტიკა. მთელი მათი პროდუქცია წარმოებულია წარმოებებში, რომელიც აშენებულია სახალხო მმართველობის პერიოდში.

3. ძალზე მნიშვნელოვანია პეკინის სავაჭრო სატრანსპორტო ფუნქცია. ის გახდა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო კვანძი. პეკინიდან გადის 4 სარკინიგზო მაგისტრალი, რომლებიც აკავშირებს დედაქალაქს ქვეყნის სხვა რაიონებთან. მაგრამ ბოლო დროს უფრო პოპულარულია საგზაო და საჰაერო ტრანსპორტი. პეკინში წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი მიემართება ექსპორტში, ძირითადად იაპონიაში, აშშ-ში და ევროპის ქვეყნებში.

4. ბოლო წლებში უფრო მნიშვნელოვანი ხდება ჩინეთის დედაქალაქის არაწარმოებითი ფუნქციები. ამ სფეროში დასაქმებული პეკინელების რიცხვმა მიაღწია 30%. ამ ფუნქციებს მიეკუთვნება მომსახურება, საბანკო საქმე, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, მმართველობა. პეკინში მდებარეობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, ათეული უმაღლესი სასწავლებელი და კვლე-

ვითი ინსტიტუტი, 20-ზე მეტი თეატრი, ამდენივე მუზეუმი.

ბუნებრივია, რომ პეკინის ასეთმა სწრაფი ტემპით განვითარებამ განაპირობა მისი მოსახლეობის რაოდენობის ზრდაც. 2000 წელს პეკინში ცხოვრობდა 10,8 მლნ ადამიანი. 1980 წლიდან ქალაქის მოსახლება იზრდებოდა ძირითადად სოფლებიდან ჩამოსახლებული ადამიანების და მაღალი შობადობის წყალობით. მაგრამ შემდეგ დემოგრაფიული პოლიტიკის ზემოქმედებით მოსახლეობის ზრდა შემცირდა. სამაგიეროდ ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად გაიზარდა ქალაქის ფართობი, მას შემოუერთდა რამდენიმე ახლო მდებარე სოფლების მაზრა. სამომავლო პროგნოზი მეტყველებს იმას, რომ 2010 წლისათვის დიდი პეკინის მოსახლეობამ შეიძლება შეადგინოს 18 მლნ კაცი.

არქიტექტურის დაგეგმარების მხრივ პეკინი ასახავს შუა საუკუნეების ჩინეთის ძირითად ტრადიციებს, როდესაც ხუროთმოძღვრები მიმართულნი იყვნენ მკვეთრი მართკუთხული ქალაქური სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე.

ძველი პეკინი შედგება 2 ნაწილისაგან – შიდა და გარე ქალაქისაგან. შიდა ქალაქს აქვს კვადრატის ფორმა, რომლის ცენტრში განლაგებულია კედლით გარშემორტყმული ე.წ. აკრძალული ქალაქი, არქიტექტურული კომპლექსებით, რომელიც აშენებულია დინასტია მინის მმართველობისას. აქ განლაგებულია მრავალი სასახლე და პავილიონი, რომლებსაც გააჩნიათ თავისი დასახელება ტიპიურ ჩინურ სტილში. აქ მთავარი სასახლე არის გუგუნი, რომლის შესასვლელთან არის მოედანი სახელწოდებით ტიანანმენი. ის ყველაზე დიდია მსოფლიოში. ტიანანმენი იშიფრება როგორც "სულიერი სიმშვიდე",

გარე ქალაქი ჩამოყალიბდა მინის ეპოქაში, როგორც ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრი. აქ დღემდე შემორჩენილია ვიწრო ქუჩები ერთსართულიანი თიხის სახლებით. ქალაქის ამ ნაწილის მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს ცნობილი ზეცის ტაძარი, რომელიც აგებულია 1420 წელს და ხანძრის შემდეგ აღდგენილი იყო XIX საუკუნის ბოლოს.

ნაამბობი არ გვიჩვენებს რომ პეკინი უპრობლემო ქალაქია. არა, პეკინის მძლავრმა განვითარებამ გამ-

ოიწვია მთელი რიგი რთული პრობლემების წარმოშობა. ეს გახლავთ მოსახლეობის სიმჭიდროვე. ქალაქში მუდმივად არის საცობები, მიუხედავად არსებული მეტროპოლიტენის ქსელისა და 300-ზე მეტი საავტობუსო მარშრუტისა. აღსანიშნავია რომ ჩინელთა უმრავლესობა პირად სატრანსპორტო საშუალებად იყენებს ველოსიპედებს, რომელთა რიცხვი 8 მლნს. შეადგენს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური დედაქალაქია **შანხაი** – ქვეყნის უსხვილესი სავაჭრო, სატრანსპორტო, ფინანსური და კულტურული ცენტრი. ის განლაგებულია მდინარე ხუანპუზე. ჩინურიდან თარგმანში შანხაი ნიშნავს „ზღვის ზემოთ". შანხაის ეკონომიკური და გეოგრაფიული მდებარეობა ძალზე ხელსაყრელია. აქ ფორმირებულია ხმელეთისა და მდინარეების საზღვაო სატრანსპორტო გზების მთავარი კვანძი. შანხაის ისტორია იწყება IV საუკუნიდან, როდესაც ზღვის სანაპიროზე შეიქმნა მეთევზეთა დასახლება.

ისტორიული დოკუმენტები მეტყველებენ იმაზე, რომ ახლანდელი დასახლება მართლაც მდებარე-

ობდა აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის სანაპიროზე, მაგრამ შემდეგ მდინარე იანძის დელტის გაფართოების შედეგად შანხაი აღმოჩნდა მისგან დაშორებული 50 კმ-ით.

დიდი ხნის განმავლობაში ეს ადგილი ითვლებოდა ნაკლებად მიმზიდველად. ცვლილებები მოხდა მას შემდეგ რაც დაიწყეს მდინარე იანძის შესართავში გემების მშენებლობა. მაგრამ მთავარი გარდატეხა მოხდა უკვე XIX საუკუნის შუა წლებში. "ოპიუმის პირველი ომის" შემდეგ (1840-1842). ინგლისელებმა შეძლეს ჩინელებისთვის თავს მოეხვიათ ხელშეკრულება, რომლის თანახმად შანხაი ხდებოდა უცხოური გემებისათვის ღია საზღვაო პორტი. მოკლე ხანში ის გადაიქცა ჩინეთის მთავარ საპორტო ქალაქად და ასევე ქვეყნის სამრეწველო, სავაჭრო და ფინანსურ ცენტრად.

გარდა იმისა რომ შანხაი შევიდა მსოფლიოს დიდი ქალაქების რიცხვში აქ ყვაოდა უსამართლობა, ექსპლუატაცია, დანაშაულობები. მისთვის დამახასიათებელი იყო ძალზე მკვეთრი სოციალური კონტრასტები. აქ ევროპული ფეშენებელური დასახლე-

ბების გვერდით არსებობდა ღარიბი და მჭიდროდ დასახლებული რაიონები.

შანხაი რჩება ჩინეთის მთავარ სამრეწველო ცენტრად: მასში განლაგებულია 13000 საწარმო, რომლებიც აწარმოებენ მთელი ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის 7%. შანხაი კონკურენციას უწევს არა მარტო ცალკეულ რეგიონებს არამედ მთელ რიგ ქვეყნებს. ბოლო წლებში შანხაიში დიდი ყურადღება ექცევა მეცნიერულ წარმოებებს საექსპორტო ორიენტაციით.

განვითარდა შანხაის სავაჭრო-სატრანსპორტო ფუნქციაც. ჯერ იმიტომ, რომ ის მზარდი ჩინური ეკონომიკის ლიდერის როლს ასრულებდა და აგზავნიდა თავის პროდუქციას ქვეყნის სხვა რეგიონებში. მეორე იმიტომ რომ დროთა განმავლობაში მისმა პროდუქციამ უფრო მეტად მიიღო საექსპორტო მიმართულება. საერთო ჯამში, შანხაი უზრუნველყოფს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის 0,25%.

სრულიად ახალი მოვლენა იყო შანხაისათვის არაწარმოებითი სფეროს განვითარება. სახალხო ხე-

ლისუფლების წლებში ქალაქი გადაიქცა კულ-ტურისა და მეცნიერების მსხვილ ცენტრად, სადაც ფუნქციონირებს 45 უმაღლესი სასწავლებელი და მრავალი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. აქ მუშაობს 800 000 სპეციალისტი, მათ შორის წამყვანი სპეციალისტები ისეთ დარგებში, როგორიცაა მიკროელექტრონიკა, ბიოტექნოლოგია, რობოტექნიკა, ხელოვნური მასალები, ოპტიკა, ოკეანოლოგია.

ბოლო დროის განმავლობაში შანხაის "სავიზიტო ბარათი" ხდება ჭაობისა და სასოფლო-სამეურნეო ფართობზე გაშენებული ახალი რაიონი პუდუნი, რომელიც ლიდერი გახდა ახალი ტექნოლოგიების დარგში და ნოუჰაუში.

1990-იანი წლების მიწურულს პოდუნში უკვე არ-სებობდა თავისუფალი ვაჭრობის ზონა, სამრეწველო, სავაჭრო, სამეცნიერო სპეციალიზაციის რაიონები, საზღვაო პორტი კონტეინერული ტერმინალით. აქ რეგისტრირებულია 400000 მეტი საწარმო უცხოური მონაწილეობით. აქ დაფუძნებულია რამდენიმე ტრა-ნსნაციონალური კორპორაციის შტაბბინები და წარ-

მომადგენლობები. 2000 წლისათვის პუდუნის საერთო პროდუქციამ გადააჭარბა 20 მლრდ. დოლარს.

შანხაის ეკონომიკურ ზრდასთან ერთად იზრდება მისი მოსახლეობაც. 2000 წლისათვის მისი მოსახლეობა შეადგენდა 14,2 მლნ კაცს.

შანხაის არქიტექტურულ-გეგმიური იერსახეც შეიცვალა. უწინდებურად მის მთავარ ფასადს წარმოადგენს ხუანპუს სანაპირო. ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში შანხაი არ ჩამოუვარდება პეკინს, აქ შენარჩუნებულია ძველი ქალაქიც. XX საუკუნეში აქ აშენდა ცათამბჯენები, რომელთა სიმაღლეა 380-460 მ. ამის გამო მას უწოდებენ "აზიის მანჰეტენს".

როგორც პეკინში ასევე შანხაიშიც ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემაა, ყველაზე მთავარი აქაც მოსახლეობის დიდი მატებაა. ქალაქში არსებობს როგორც სატრანსპორტო, ასევე ფეხით მოსიარულეთა საცობები. პეკინისა და შანხაის განვითარების პერსპექტიული გეგმები ითვალისწინებენ ამ მწვავე პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობას.

# ჩინეთის საგარეო ეკონომიკური კავშირები

ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი დერჟავაა. ჯერ კიდევ უძველეს დროში არსებობდა დიდი აბრეშუმის გზა, რომელიც აკავშირებდა ზეციურ იმპერიას ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან. შუა საუკუნეებში იგი შეცვალა სხვა ზღვის გზამ, რომელიც გადიოდა აზიის სამხრეთ სანაპიროზე. ჩინეთიდან გამოჰქონდათ აბრეშუმი, ფაიფური, ქაღალდი და რკინის ნაკეთობები. საზღვაო ვაჭრობა ჰყვაოდა ჩინეთში ადრინდელ, ახალ დროშიც და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდშიც, მაგრამ შემდეგ ჩინეთი გადავიდა "ჩაკეტილი კარის " პოლიტიკაზე, რომელიც გრძელდებოდა XIX ს-ის შუამდე, ე.წ. ოპიუმის ომამდე.

1949 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნამდე ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირები მკვეთრად ასახავდა მისი ეკონომიკის მდგრადობას. ჩინეთს გაჰქონდა თავისი სოფლის მეურნეობის ტრადიციული პროდუქტები: ჩაი, ბამბა, აბრეშუმი, სოიო და სამთო მადანის ნედლეული. შემოჰქონდა სურსათი და სხვა სამრეწველო საქონელი.

ახალ ჩინეთშიც კი "დიდი ნახტომისა" და "კულ-ტურული რევოლუციის" დროს საგარეო ეკონომიკუ-რი კავშირები მეორეხარისხოვანი იყო. მაგრამ "ღია კარის" პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. საგარეო ეკონომიკურ კავშირებს მიენიჭა დიდი მნიშვნელობა, რაც გახდა ეკონომიკური აღმავ-ლობის მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო ჩინური ეკონომიკის საბაზრო რელსე-ბზე გადაყვანას და მის შეზრდას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამ ცნობილი ურთიეთ-ობების ფორმებიდან ჩინეთისათვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ორს: საგარეო ვაჭრობას და უცხ-ოური კაპიტალის მოზიდვას.

საგარეო ვაჭრობა – ეს ეკონომიკური ურთიერთობ-ების ის ტიპია, რომელშიც ჩინეთმა შთამბეჭდავ წა-რმატებებს მიაღწია. საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონ-ომიკა რომელიც 2-3 ათასწლეულის წინ ითვლებოდა ყველაზე დახურულად მსოფლიოში, გახდა ყველაზე ღია.

საგარეო ვაჭრობის განვითარების მაღალმა ტემპე-ბმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები ჩინეთის

მდგომარეობაში მსოფლიო “ტაბელის” რანგებში. ექ-სპორტის მოცულობით ჩინეთს უკავია მეშვიდე ადგი-ლი მსოფლიოში, ხოლო იმპორტის მოცულობით – მეცხრე. მუდმივად იზრდება ექსპორტი იმპორტთან შედარებით, რაც ზრდის ქვეყნის შემოსავალს.

1980-იანი წლების დასაწყისიდან შედარებით ძლი-ერ შეიცვალა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგა-რეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურაც, ამ გარდა-ქმნის ძირითადი მიმართულება მდებარეობდა ექსპო-რტის გაკეთილშობილებში, რაც ნიშნავს მზა საწარ-მოო პროდუქციის რაოდენობის გაზრდას პირველადი გადამუშავების პროდუქციასთან ერთად და ნედლეუ-ლთან შედარებით.

ჩინეთი მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ტრად-იციული მიმწოდებელია საგარეო ბაზარზე. ამ პროდ-უქციას მიეკუთვნება ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილ-ები, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი, სათამაშოები, სპორტ-ული და ტურისტული საქონელი. პლასტმასისა და მანქანათმშენებლობის საექსპორტო პროდუქციას მი-ეკუთვნება: დაზგები, გემები, შეიარაღების სხვადასხ-ვა ნივთები, მაგრამ ამ პროდუქციაში ჭარბობს საო-

ჯახო ელექტრონიკის ნაწარმი. როგორც მსუბუქი მრეწველობის პროდუქციაც, ისინი დიდი მოთხოვნებით სარგებლობენ მსოფლიო ბაზარზე. ამავდროულად წარმოებს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ნედლეულის ექსპორტიც. მათში ჭარბობს ბოსტნეული, ხილი, თევზი, ზღვის პროდუქტები და აგრეთვე ბამბა. ჩინეთი აგრძელებს აგრეთვე ქვანახშირის, ფერადი და შავი ლითონების ექსპორტს.

ჩინეთის ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციამ და მოდერნიზაციამ განაპირობა მისი იმპორტის ხასიათიც, რომელშიდაც ჭარბობს მანქანები, სატრანსპორტო საშუალებები, სამრეწველო ელექტრონიკა. სამრეწველო აღჭურვილობის ფორსირებული იმპორტის ძირითადი მიზანია ჩინური მრეწველობის ტექნოლოგიური დონის ამაღლება, ასევე მისი პროდუქციის ხარისხის ამაღლებაც, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დღემდე ნივთები მარკით "მადე ინ ჩინა" განსაკუთრებით მაღალი ხარისხით არ გამოირჩევიან. ასევე ჩინეთს უწევს ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, რკინისა და ქიმიკატების იმპორტიც. შეიძლება დავამატოთ რომ ჩინეთი არის შეიარაღების მსხვილი იმპორტიორი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული განაწილება ასახავს ორ საწინააღმდეგო ტენდენციეს – კონცენტრაციისკენ და დეკონცენტრაციისკენ. ქვეყანა ვაჭრობს 160 ქვეყანასთან, მაგრამ მათგან მხოლოდ ათეული მიეკუთვნება მათ მთავარ სავაჭრო პარტნიორთა რიცხვს.

პირველ რიგში ესენი არიან მისი მეზობელი ქვეყნები: იაპონია, კორეა, მალაიზია, ინდონეზია, რომლებთანაც სავაჭრო კავშირების განვითარებას ხელს უწყობს ჩინეთის სატრანსპორტო და გეგორაფიული მდებარეობა.

მეორე რიგში დგას აშშ, ვისთან ვაჭრობაშიც ჩინეთს ყოველთვის აქვს სავაჭრო ბრუნვის დადებითი სალდო.

მესამე ადგილზე არიან ევროკავშირის ქვეყნები: გერმანია, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და ა.შ.

მეოთხე პარტნიორი კი რუსეთია. მაგრამ ვაჭრობის მოცულობა ქვეყნებს შორის 1990-იან წლებში იყო დაბალი და არ შეესაბამებოდა მათ მოთხოვნებსა და

შესაძლებლობებს. საერთო საქონლის ბრუნვის მოცულობით რუსეთი იყო მხოლოდ მეათე ადგილზე.

2002 წლის ბოლოს ჩინეთი მიღებული იყო საგარეო სავაჭრო ორგანიზაციაში. ჩინეთის საგარეო ეკონომიკური კავშირების მეორე მთავარი ფორმა დაკავშირებულია სავალუტო-ფინანსურ სფეროსთან და გამოისახება უპირველეს ყოვლისა კაპიტალის იმპორტში, რომელიც ფართოდ გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტემპების დაჩქარებისთვის.

ჩინეთი იყენებს საზღვარგარეთიდან ინვესტიციების მოზიდვის სხვადასხვა ხერხებს. ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სესხებს და კრედიტებს, რომლებსაც ქვეყანა იღებს უცხოური ქვეყნების მთავრობებიდან და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებიდან, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მაგრამ ჩინეთისთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა პირდაპირი ინვესტიციები, რომლებიც მოზიდვის მოცულობით ჩამორჩება მხოლოდ აშშ-ს.

საგარეო ეკომომიკური კავშირების სხვა ფორმებს შეიძლება მიეკუთვნოს საწარმოო თანამშრომლობა. 1990-იანი წლების ბოლოს ქვეყანაში იყო 300 ათასამდე ერთობლივი საწარმო უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, რომლების წილიც საგარეო ვაჭრობაში შეადგენდა 1/2-ს. სამეცნიერო ტექნიკური კავშირები ჯერ-ჯერობით გამოიხატება ძირითადად ტექნიკური დოკუმენტაციის და ნოუჰაუს შესყიდვით დასავლეთის ქვეყნებისგან. თუ შევეხებით მომსახურების სფეროს, აღსანიშნავია, რომ ჩინეთი უფრო მეტ შემოსავლებს იღებს საერთაშორისო ტურიზმიდან (2002 წელს დაფიქსირებული იყო 37 მლნ. ტურისტული ჯგუფი). ის სთავაზობს შრომით მომსახურებასაც. სხვა ქვეყნებში სამუშაოდ ყოველწლიურად მიემართება ათობით და ათასობით მლნ. ჩინელი.

აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ 1990-იანი წლებიდან თავად ჩინეთმაც დაიწყო კაპიტალის გატანა – კრედიტებისა და პირდაპირი ინვესტიციების ფორმით.

# იაპონია: ტერიტორია, საზღვრები, მდგომარეობა, მოსახლეობა

ტერიტორიის ზომების მიხედვით იაპონია შეიძლება შევადაროთ ევროპის ისეთ ქვეყნებს როგორიცაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ნორვეგია და აზიის ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა: ვიეტნამი, მალაიზია. იაპონია თავისი კონფიგურაციით ძალიან განსხვავდება მსოფლიოს მრავალი ქვეყნისგან, რადგანაც წარმოადგენს სახელმწიფო – არქიპელაგს. მის შემადგენლონაში დაახლოებით 4000 კუნძულია, თუ ჩავთვლით პატარა კუნძულებსაც. სახელწიფოს ძირითად სახეს წარმოადგენს 4 ყველაზე დიდი კუნძული – ხონსიუ, კიუსიუ, სიკოკუ და ჰოკაიდუ, რომლებიც შეადგენენ იაპონიის არქიპელაგს. ამის გარდა იაპონიას ეკუთვნის რიუკიუს 200–ზე მეტი კუნძულთა არქიპელაგი და აგრეთვე საკმაოდ მოშორებული კუნძულები წყნარ ოკეანეში.

ადმინისტრაციულად იაპონია იყოფა 47 პრეფეტურად. იაპონიას გააჩნია მხოლოდ საზღვაო საზღვრები, რადგანაც მისი ნაპირები ძალიან შეჭრილია სანაპი-

რო ზოლის სიგრძე აღწევს 30000 კვადრატულ კილ-ომეტრს, რაც შეფარდებულია ეკვატორის სიგრძის 3/4-თან. იაპონიის ერთ კვადრატულ კილომეტრზე მოდის 80კმ. სანაპირო ზოლი. იაპონიაში არ არის ადგილი, რომელიც იქნება 120 კმ-ით დაშორებული ზღვიდან. ამიტომაც მათ ცხოვრებაში ზღვა თამაშობს მნიშვნელოვან როლს. XIX საუკუნის ბოლომდე იაპონიის მთელი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო და სავაჭრო კავშირები აზიისკენ იყო მიმართული. XVI საუკუნეში იაპონელები შეიჭრნენ კორეაში, ამის შემდგომ არა ერთხელ შეჭრილან კორეასა და ჩინეთში. დღესდღეობით შეიძლება ითქვას რომ იაპონიას უჭირავს ცენტრალური მდებარეობა აზია – წყნარი ოკეანიის რეგიონში.

რუსეთის ტერიტორიიდან იაპონია დაშორებულია ორი ზღვით, ეს ზღვებია: ოხოტი და იაპონიის ზღვა. რუსეთსა და იაპონიას შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კურილიის კუნძულებს, რომლებიც მდებარეობს ჰოკაიდოსა და კამჩატკას შორის 1200 კილომეტრზე. 1855 წლის სიმოდის ტრაქტატის მიხედვით ეს სამხრეთ კუნძულები მართლაც იაპონიას ეკუთვნოდა, II მსოფლიო ომში იაპონიის

დამარცხების შემდეგ  კურილიის კუნძულები გადავიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. 1951 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებით კურილიის კუნძულები არც იაპონიას ეკუთვნოდა და არც რუსეთს, რის შედეგადაც რუსეთამა უარი თქვა ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე. ეს საკითხი მრავალჯერ განიხილებოდა და სავარაუდოდ 2000 წელს მას ხელი უნდა მოსწეროდა, მაგრამ ეს ჯერ არ მომხდარა და კურილიის კუნძულების პრობლემა დღესაც გადაუჭრელია.

XX საუკუნის I ნახევარში იაპონიის მოსახლეობა გაიზარდა 44 მილიონიდან 83 მილიონამდე. ჯერ კიდევ 1950-იანო წლების დასაწყისში რიცხვი იზრდებოდა 1,5 მილონი ადამიანით, ხოლო 1950 წლების შუა პერიოდში მოსახლების ზრდადობამ სწრაფად იწყო ცვლა იაპონიაში.

# ტოკიო – მსოფლიოს ყველაზე დიდი ქალაქი

იაპონიის ერთერთმა პრემიერმინსტრმა ერთხელ თქვა რომ იაპონია შედგება ორი ქვეყნისგან და მართლაც ტოკიოს როლი იაპონიაში შეიძლება შევადაროთ პარიზის როლს საფრანგეთში. ეს არის ქვეყნის პოლიტიკური და ადმინისტრაციულ-მმართველობითი ცენტრი, ლონდონის და ნიუ-იორკის მსგავსად უდიდესი საერთაშორისო ფინანსური ცენტრი. იგი წარმოადგენს წამყვან ცენტრს მეცნიერულ გამოგონებაში. ტოკიო ეს არის ქალაქი, რომელიც ანცვიფრებს წარმოსახვას სხვა მარავლი ციფრებით, სწორედ ამ ყველაფრით აიხსნება იაპონური თქმულება: „ იაპონია იწყება ტოკიოში.''

ტოკიოს ისტორია იწყება XV საუკუნის შუიდან. ქალაქს საფუძველი ჩაუყარა 1437 წელს აშენებულმა ციხესიმაგრემ ედომ, რაც ნიშნავს „ყურეში შესვლას''. მართლაც იგი მდებარეობდა ქვეყანის ყველაზე დიდ დაბლობ კანტოს აღმოსავლეთ ნაწილში. 1590 წელს ედოს დაეპატრონა მსხვილი ფეოდალი

იეასუ ტოკუგავა, სიოგუნოვ ტოკუგავას დინასტიის დამაარსებელი, რომლებიც მართავდნენ 1603 წლიდან 1867 წლამდე. მთელი ამ დროის განმავლობაში ედო იყო მათი რეზიდენცია, იმ დროს ოფიციალურ დედა-ქალაქად ითვლებოდა კიოტო, სადაც იმპერატორი იმყოფებოდა.

სიოგუნების ლიკვიდაციის შემდეგ 1869 წელს კიო-ტოდან ედოში გადატანილ იქნა იაპონიის იმპერა-ტორის რეზიდენცია. ამის შემდეგ დედაქალაქმა იწყო სწრაფი ზრდა, ქალაქის მოხახლეობა შეად-გენდა 1 000 000 ადამიანს, ასეთი ზრდა გრძელდე-ბოდა XX საუკუნის I ნახევრამდე. 1910 წელს ტო-კიოს მოსახლეობა შეადგენდა 2,8 მილიონ ადამიანს, 1920 წელს - 3,7-ს, 1930 წელს - 5,4-ს, 1940 წელს - 7,4 მილიონ ადამიანს. ამ პერიოდში ქალაქის განვი-თარება ორჯერ სერიოზულად დაირღვა. პირველად ეს მოხდა 1923 წლის სექტემბრის დასაწყისში, რომ-ელსაც ძლიერმა მიწისძვრამ და ამის შემდეგ ძლიერმა ცეცხლმა შეიწირა 100 000 ადამიანის სიცოცხლე და უსახლკაროდ დარჩა 3,5 მილიონი ადამიანი. მეორე კი დაკავშირებული იყო ამერიკის ავიაციურ შეტევე-ბთან. 1945 წელი, როდესაც დაიღუპა 250 000 ადამ-

იანი და დაახლოებით 900 000 სახლი იქნა დანგერული.

რაც შეეხება დღევანდელი იაპონიის დედაქალაქს ტოკიოს, ის იკავებს 577 კვადრატულ კილომეტრს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია მოსკოვის ფართობზე. ზუსტად ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს 8 000 000 ადამიანი. მოსახლეობის ქალქიდან გადინება სტაბილურობას უნარჩუნებდა ტოკიოს, მაგრამ უნდა გვახსოდეს რომ იგი შეეფარდება ავსრტრიის მოსახლეობას, ხოლო აღემატება შვეიცარიის მოსახლეობას. ქალაქი ტოკიო იყოფა 23 ადმინისტრაცუილ რაიონად. მის შემადგენლობაში შედის იმპერატორის სასახლე, პარტალამენტის შენობა, სინძიუკუს მთავარი სადგური, თეატრი კაბუკი, ცათამბჯენები, უამრავი პატარა პარკი.

1991 წ. სინძიუკუს რაიონში დამთავრდა ახალი ადმინისტრაციული ცენტრის მშენებლობა, რომელიც მოიცავს ორ ცათამბჯენს და კონგრესის შენობას. ტერიტორიის უკმარისობის გამო იაპონიის დედაქალაქმა გადაიწია ტოკიოს ყურეში. იმ ტერიტორიებზე

მდებარეობს მხოლოდ პორტები, სამრეწველო დაწესებულებანი და საწყობის შენობები.

დიდი ტოკიოს ტერიტორია იგივეა რაც თვითონ ქალაქი. მისი ფართობია 2,1 ათასი კვადრატული კილომეტრია და 90-იანი წლების შუაში მოსახლეობა შეადგენდა 12 000 000 ადამიანს. ქალაქის შემოგარენის ტერიტორიაზე რომელიც შერწყმული იყო ტოკიოსთან დასავლეთის მხრიდან, მდებარეობეს 26 პატარა ქალაქი, რომელთა მოსახლეობა მჭიდრო კავშირშია დედაქალაქთან. ტოკიოს აგლომერაცია ტოკიოსა და ტოკიოს პრეფექტურის გარდა მოიცავს სამ მეზობელ პრეფექტურას 87 ქალაქით (იოკოგამა, კავასაკი, ტიბა და სხვ.) ჩვეულებრივ მას კეიხინის აგლომერაციას უწოდებენ: ამ დასახლებაში ტოკიოსგან აღებულია – იეროგლიფი „კეი" (დედაქალაქი) და იოკოგამისაგან – იეროგლიფი „ხინ" (ნაპირი).

ბოლო დროს გამოიკვეთა აგრეთვე ტოკიოს მეტროპოლიტენის არეალი. მის შემოგარენში შედის 150 დასახლებული პუნქტი და 1990 წლის შუა პერიოდში მოსახლეობამ 30 000 000 ადამიანს მია-ღწია, ანუ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 1/4 ნაწილი.

ქაოსით გამორჩეოდა „ედო”-ს დაშენება. მსგავსად ლონდონისა, რომელიც ძლიერი ხანძრის შემდეგ 1666წ იქნა გადამწვარი, ქალაქი „ედოც” 1657 წელს განადგურდა, მაგრამ განახლებულ იქნა ზუსტად ძველი სახით. ცენტრში განლაგებული იყო სიოგუ-ნოვის რეზიდენცია.

ერთ-ერთი იაპონელი სპეციალისტი ამბობდა, რომ ტოკიოს „ქალაქ – ამებას“ უწოდებს. 1960 წლიდან იგი ხდებოდა უფრო თანამედროვე ქალაქი. დიდი როლი ითამაშა ამაში 1964 წლის ოლიმპიადამ, რო-მლის მზადებისთვისაც იქნა აშენებული არამარტო სპორტული ნაგებობანი, არამედ სხვა მრავალი შენობაც. ქალაქში გაჩნდა სატელევიზიო ანძა 333მ. და ამის შემდეგ შენდებოდა ცათამბჯენები 50-60 სართულის სიმაღლის. ეს არის ადგილი არა მარ-ტო ცათამბჯენების, არამედ საშუალო და ორსარ-თულიანი შენობებისაც. ტოკიო იზრდება არა მარ-ტო ზევით დაშენებებით, არამედ მიწის ქვეშაც. მისი ქალაქების და ქუჩების ქვემოთ განლაგებულია ფაქტიურად კიდევ ერთი ქალაქი, მიწისქვეშა მაღა-ზიებით, რესტორნებით, სპორტული დარბაზებით, საწყობებით, ფარეხებით, რომლებიც დაკავშირებულ-

ია ერთმანეთთან. გასაკვირი არ არის რომ დიდ ტოკიოში ორიენტაცია ძალზე რთულია. მკვიდრ მოსახლეობასაც და ტურისტებსაც ამაში ეხმარება ქალაქის ტაქსის მძღოლები, რომლებიც მსოფლიოში ყველაზე სწრაფ და ხარისხიან მძღოლებად ითვლებიან. ხალხს შეუძლიათ ისარგებლონ ქალაქის მეტროპოლიტენით, მაგრამ სადგურები და მეტროს მატარებლები ძალიან გადატვირთულია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალაქის ცენტრში მეზობელ პრეფექტურებიდან ჩამოდის ყოველდღე სამუშაოდ დაახლოებით 6-7 მილიონი ადამიანი. ერთი შეხედვით ტოკიო წარმოადგენს უზარმაზარ ფანტასტიკურ არსებას, სადაც გვერდი-გვერდ არსებობს ორი პოლარული ურთიერთწინააღმდეგობა: ქალაქის ჯოჯოხეთი და ქალაქსგარეთ სამოთხე. ასე მოიხსენიება ტოკიო ერთ-ერთ ჩანაწერში რომელიც ნათარგმნია, როგორც „ტოკიო ოცი წლის შემდეგ". ქალაქგარეთ სამოთხე – უპირველეს ყოვლისა არის ულტრათანამედროვე ცათამბჯენები, სადაც განლაგებულია დაწესებულებები და ოფისები. ქალაქი ჯოჯოხეთი კი, ვიწრო ქუჩები მანქანებით გადატვირთული, მჭიდრო დაშენებები, თითქმის არ არის გამწვანება

და მცენარეები, არის კანალიზაციის ქსელის ნაკ-
ლებობა. ჰაივეის ორას კილომეტრზე დაგეგმილი
იყო გაშენება ორმწკრივიანი მოძრაობის, ორივე
მხარეს შუქნიშნების გარეშე, მაგრამ რადგანაც ამ
ჰაივეით სარგებლობს 1 000 000 მძღოლი, მრავალკ-
ილომეტრიანი საცობები იქცევა ნამდვილ ჯოჯოხეთ-
ად. დიდი კონტრასტი არსებობს აგრეთვე ქალაქის
სხვადასხვა ნაწილებს შორის. მკაფიოდ გამოიკვეთ-
ება ადმინისტრაციული ცენტრი იმპერატორის სასახ-
ლით, პარლამენტისა და სამინისტროების შენობებ-
ით. ტოკიოს ღირსშესანიშნავ ადგილად ითვლება აგ-
რეთვე მსოფლიოში ყველაზე დიდი თევზის ბაზარი
ცუკიძი, სადაც დილის ხუთ საათზე უნდა მიხვიდეთ
რომ აუქციონს მიუსწროთ. აკიჰაბას სავაჭრო რაიო-
ნში გამოტანილია უშუალოდ ელექტრონული ტექნი-
კა. ჰარიძუკუს რაიონში, ჩვეულებრივ ახალგაზრდო-
ბა ატარებს დროს, რომელსაც დასავლური ორიენტ-
აცია აქვს. აი რატომაც არსებობს ასე დიდხანს ტოკ-
იოს საფუძვლიანი შეცვლის პროექტი. მათ შორისაა
ქალაქების მშენებლობის პროექტი და ტოკიოს ყურ-
ეს დაშრობის რამოდენიმე პროექტი. არქიტექტორ
კისო კუროკავამ შესთავაზა ამ აკვატორიის ყურეში

შეექმნა კუნძული, რომლის ფართობიც 30 000 ჰექტარი იქნებოდა, მოსახლეობა კი 5 000 000 ადამიანი. მისი ცენტრალური ნაწილი გარშემორტყმული უნდა ყოფილიყო 2 არხით, რომელთა ნაპირზეც იქნებოდა მრავალსართულიანი შენობები, ხოლო მათ გვერდით იქნებოდა ავტოსტრადები. ამ პროექტებში აგრეთვე უნდა განთავსებულიყო საერთაშორისო აეროპორტი, ოტელები, რეაქციული ზონები და უნდა შექმნილიყო მოცურავე კუნძული. ფაქტიურად ეს პროექტი უკვე ხორციელდება, რომლის თანახმადაც ტოკიოს ყურე თავისუფლდება პორტისგან და სხვა შენობებისაგან. იმ ტერიტორიებზე რომლებიც წყლისგან დააშრეს კვლავაც იქნება ტოკიოს ახალი რაიონი, რომელიც ჩანაფიქრის მიხედვით უნდა გახდეს თანამედროვე საერთაშორისო საქმიანობის ფინანსური და საინფორმაციო ცენტრის ეტალონი. მთელი მშენებლობა გაყოფილია ოთხ ნაწილად, რომელნიც დამოუკიდებელნი არიან თავიანთი სპეციალიზაციით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი იქნებიან 380 მეტრიანი სასეირნო და საავტომობილო ხეივნებით. ზოგიერთი უკვე აშენებული შენობა უნიკალურია. გინესის წიგნში წერია, რომ ტოკიოში აშენებუ-

ლია პირამიდა თვითფორმირებად ბეტონისაგან, რომელიც 2004 მეტრია სიმაღლით. ამ ულტრა ცათამბჯენმა უნდა განტვირთოს ქალაქი. პროექტის მიხედვით იგი იტევს 1 000 000 ადამიანს და იკავებს 2800 კვადრატულ მეტრს. მისი ექსპლუატაციისათვის გამოყენებული იქნება მზისა და ქარის ენერგია. გინესის წიგნში აგრეთვე მოხვდა სამშენებლო ტექნოლოგია „ტიაპ"-ის გამოგონება, რომელიც ითვალისწინებს რომ შენობა უკვე მთელი სართულებით შენდება. ამ პროექტებთან ერთად არსებობს დედაქალაქის გადატანის პროექტი სხვა ქალაქში, ყოველ შემთხვევაში 1993 წელს ქვეყნის პარლამენტმა მიიღო სწორედ ეს გადაწყვეტილება და ამის რეალიზებისთვის სამი წელი გამოყო.

## იაპონიის განვითარების მოდელი

თანამედროვე იაპონია საყოველთაოდ აღიარებული ლიდერია მსოფლიოს ეკონომიკაში. ოქროს ვალუტის რეზერვით და სხვა მრავალით იგი უსწრებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას. მეცნიერული პროდუქციის წარმოების მიხედვით იგი ადგილს უთმობს მხოლოდ ამერიკას. ზოგიერთი ავტორი  წერს, რომ იაპონია ეკონომიკური განვითარებით საკმაოდ კონსერვატიული ქვეყანაა, რომელმაც ბოლო 150 წლის განმავლობაში ორჯერ განიცადა რადიკალური გარდაქმნა. პირველად მეიძის რევოლუციის შემდეგ, რომელმაც მას საშუალება მისცა გადასულიყო ძველი ფეოდალური, სოციალურ-ეკონომიკური სისტემიდან კაპიტალური ეკონომიკისაკენ და გამხდარიყო ჭეშმარიტად ამომავალი მზის ქვეყანა. მეორედ კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ქვეყანა ომში არამარტო დამარცხდა, არამედ დაკარგა მთელი თავისი კოლონიები. ამერიკის ხელმძღვანელობით ქვეყანაში გატარდა ეკონომიკური რეფორმები. უპირველესყოვლისა ისინი მოიცავდნენ დემონოპოლიზაციას, სამხედრო მრეწველობის კონსერვაციას, ფულის, საგადასახადო და მიწის რეფორმას.

მიუხედავად ამისა იაპონიის ეკონომიკური განვითარება 20-ე საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდში იყო განსხვავებული. მასში გამოყოფენ 4 მომდევნო ეტაპს და თითოეულ მათგანს ერგებოდა თავისი ეკონომიკური მოდელი.

20-ე და 21-ე საუკუნეში კვლავ მოუწია იაპონიას თავისი ეკონომიკური მოდელის რეფორმირება. ასეთი რეფორმირება მოიცავს არსებული სისტემის შეცვლას.

დაახლოებით საუკუნის მეოთხედის გან-მავლობაში იაპონია იყო ნომერ მეორე ქვეყანა ამერიკის შემდეგ. 1990-იან წლებში მისი განვითარება შეფერხდა, ხოლო ჩინეთის პირიქით გაიზარდა. დღეს კი ჩინეთი თავისი ზომებით და მრეწველობის მოცუ-ლობით უსწრებს იაპონიას.

# იაპონიის ელექტროენერგეტიკა

იაპონიის სწრაფი ეკონომიკური ზრდა ომის შემდგომ პერიოდში გაძლიერდა და გამყარდა. ამის დამასაბუთებელია ამ ქვეყანაში ელექტროენერგიის გამომუშავების მონაცემები (მილიარდი კილოვატი საათში)

| | |
|---|---|
| 1950წ - 45 | 1980წ – 578 |
| 1960წ – 116 | 1990წ – 835 |
| 1970წ- 360 | 2000წ – 1080 |

1993 წელს იაპონიამ გაუსწრო რუსეთს და გავიდა მეორე ადგილზე ამერიკის შემდეგ. იაპონიის ენერგეტიკამ გაიარა რამოდენიმე ეტაპი. პირველ ეტპს შეიძლება ვუწოდოთ ჰიდროენერგეტიკული. 1950 წელს ჰესის წილი ელექტროენერგიის საერთო გამომუშავებაში შეადგენდა 85%-ს, 1960 წელს იგი შემცირდა და იყო 50%. იაპონიაში არ არის დიდი ჰესები. ყველა ჰიდროსადგური არის მცირე ზომის და ძირითადად

განლაგებულია კუნძულ ხონსიუს რაიონებში. მათმა საერთო რიცხვმა 600-ს მიაღწია.

მეორე ეტაპი მოიცავს 1960-იანი წლების და 1970 წლის პირველ ნახევარს და მას შეიძლება ვუწოდოთ თბოენერგეტიკული. თბოენერგეტიკული სადგური შენდებოდა მანამდეც, მაგრამ ისინი ორიენტირებულნი იქნენ ადგილობრივი ნახშირის რესურსებზე. კუნძულ კიუსიუდან ნახშირი მოჰქონდათ თბოენერგეტიკულ სადგურზეც, საიდანაც იკვებებოდა ტოკაიდოს უდიდესი ქალაქები. 1960 წელს იაპონია ნავთობის იმპორტს აწარმოებდა და ამიტომაც ნახშირი შეცვალეს ნავთობით, რადგანაც იგი მეტად პრივილეგირებული გახდა. იაპონიის ყველა ენერგეტკული სადგური განლაგებულია წყნარი ოკეანის და იაპონიის ზღვის შიდა სანაპიროებზე, ტოკიოს მახლობლად. 1970 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა და მიაღწია 80%-ს.

მესამე ეტაპი დაიწყო 1970 წელში დაწყებული ელექტრონერგეტიკული კრიზისის შემდეგ. ნავთობის უეცარმა გაძვირებამ და მისმა იმპორტის კლებამ გამოიწვია კონცეფციის გადათვალიერება, რომელიც

ელექტროენერგეტიკასაც შეეხო. იაპონია ძალიან მოწადინებული იყო ატომური ენერგეტიკის სწრაფ განვითარებაში. ამიტომაც მესამე ეტაპს ეწოდება ატომურ-ენერგეტიკული. ერთი შეხედვით ეს შეიძლება უცნაური მოგეჩვენოთ. კარგადაა ცნობილი, რომ იაპონია პირველი ქვეყანაა, რომელმაც გადაიტანა ჰიროსიმოსა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა. აგრეთვე ცნობილია, რომ ეს ქვეყანა მდებარეობს სეისმურად საშიშ ზონაში და აესის მშენებლობისას აუცილებელია ძვირადღირებული დამატებითი საშუალებები. იაპონიის ატომური ენერგეტიკა მთლიანად დამოკიდებულია იმპორტულ ურანის ნედლეულზე და თუ ამაზე დათანხმდნენ ეს იმიტომ, რომ ქვეყანას არ გააჩნდა სხვა ალტერნატივა ენერგეტიკის განვითარებისათვის.

ატომურ-ენერგეტიკული რეაქტორების მშენებლობა იაპონიაში დაიწყო 1970 წლის დასაწყისში ამერიკული და ფრანგული ფირმების ლიცენზიით. 1980 წლის შუა ხანებში ქვეყანაში უკვე არსებობდა 30 რეაქტორი, ხოლო გამომუშავებული ენეგრია შეადგენდა 18%. 1980 წლის ბოლოსათვის იქნა დამთავრებული ისეთი ატომური სადგურების მშენებლობა

როგორიცაა ფუკუსიმა (რომლის სიმძლავრეცაა 8,8 მლნ. კილოვატი და იგი უზარმაზარია არამარტო იაპონიაში, არამედ მთელს მსოფლიოში), ტაკაჰამა (სიმძლავრე 3,4 მლნ. კილოვატი), ჰიტატი და სხვა მრავალი. ფაქტიურად იაპონიის ყველა აესი განლაგებულია ზღვის სანაპიროზე. ეს აიხსნება იმით, რომ კუნძულ ჰონსიუს მდინარეები ვერ ამარაგებენ აესს წყლით რათა მოხდეს რეაქტორების გაცივება წყლის ცირკულაციით.

მეოთხე ეტაპისათვის, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ თანამედროვე, დამახასიათებელია შემდგომი ზრდა ელექტროენერგეტიკული სიმძლავრისა, რომელმაც 1990 წლის ბოლოსათვის მიაღწია და აღემატა 220 მლნ. კილოვატს და ქვეყანაში არსებობდა 50 აესზე მეტი, რომლის სიმძლავრეც იყო თითქმის 45 მლნ. კილოვატი, თითქმის მთელი წარმოებული ელექტროენერგიის 35%.

1970 წლის შუაში ენერგეტიკული კრიზისის დროს იაპონიამ დიდი ყურადღება მიანიჭა „მზის შუქს", რომელიც ითვალისწინებდა მზის ენერგიის ფართო გამოყენებას, ხოლო დღეს მისი როლი მაინც უმნიშ-

ვნელო შავი მეტალურგია ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ინდუსტრიული დარგია, რომელიც განიცდის ქრონიკულ ვარდნას წარმოებაში. მიუხედავად ამისა იაპონიაში იგი იყო და რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად. ფოლადის დნობა იზრდებოდა 1970 წლის შუამდე. რომელმაც 1973 წელს მაქსიმუმს მიაღწია. უპირველეს ყოვლისა ეს არის დასაწყისი დიდი კაპიტალური მშენებლობისა. 1960-1970 წლებში ქვეყანაში აშენდა შავი მეტალურგიის 20 ახალი მსხვილი ქარხანა. 1980 წელს კიდევ დაეცა ლითონის დნობა, რომელიც დაკავშირებული იყო ეკონომიკურ განვითარებასთან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იაპონია გავიდა პირველ ადგილზე. შემდგომში იაპონიას ამ ადგილის შესანარჩუნებლად ამერიკასთან ბრძოლა უწევდა, ხოლო 1996 წელს იაპონიამ ეს ადგილი ჩინეთს დაუთმო. ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტექნიკური დონე ლითონგადამდნობი დაწესებულებებისა იაპონიაში საკმაოდ მაღალია ვიდრე ამერიკაში და დასავლეთ ევროპაში. ამას გარდა იაპონია დიდი ხანი რჩებოდა მსოფლიოში უდიდეს ლითონის ექსპორტიორად, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ეს ექსპორტი თანდათანობით შემცირდა. ყო-

ველ შემთხვევაში 2000 წლისათვის იაპონიას ლითონის დნობაში დაეწია რუსეთი და გერმანია. იაპონიის შავი მეტალურგიისათვის დამახასიათებელია დიდი მწარმოებრივი კონცენტრაცია. 14 უმსხვილესი მეტალურგიული საწარმოთაგან იაპონიაში მდებარეობს 8, იმ დროს როდესაც ამერიკაში და დას. ევროპაში არის 3. ამერიკისაგან განსხვავებით ეს რაიონები და ცენტრები განლაგებულია ზღვის სანაპიროზე. მათგან ყველაზე უძველესი – კიტაკიუსუ – მდებარეობს კუნძულ კიუსიუს ჩრდილოეთით. ქალაქი კიტაკიუსუ წარმოიქმნა 1963წ. იაპონიის ზოგიერთი კომბინატი აშენდა არა უბრალოდ ზღვის სანაპიროზე, არამედ სპეციალურად გადარეცხილ ტერიტორიებზე ამ მიზნისათვის.

## იაპონიის მანქანთმშენებლობა

მაქანათმშენებლობა წარმოადგენს იაპონიის მრეწველობის გულს. ამ პროდუქციის ღირებულებით იაპონია ადგილს მხოლოდ ამერიკას უთმობს, ხოლო ექსპორტით კი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. განსაკუთრებით გამოიკვეთება ისეთი დარგები, როგ-

ორიცაა: გემების მშენებლობა, ავტომობილების, დაზგების, რობოტოტექნიკის და სხვა მრავალი ელექტრონიკის წარმოება. ახლა იაპონია წარმოადგენს კარგ მაგალითს ძველი, ახალი და უახლესი ინდუსტრიის დარგებისას. ძველ დარგებს მიეკუთვნება – გემების მშენებლობა, რაშიც 1956 წელს იაპონიას პირველი ადგილი ეკავა, ბოლო წლებში კი მას კორეა დაეწია ამ დარგში. ახალ დარგს მიეკუთვნება დაზგების მშენებლობის წარმოება. ლითონის გადამამუშავებელი დაზგებით იაპონია მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა ჯერ კიდევ 1982 წელს. არანაკლებ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს ავტომანქანების წარმოება ახალ დარგში. დაახლოებით ამ დარგით დაკავებულია 700 000 ადამიანი. ავტომობილების მშენებლობა დაფუძნდა 1920წ. შუა პერიოდში. 1923წ. მიწისძვრამ ძალიან დააზიანა ქალაქის ტრანსპორტი ტოკიოში და სხვა ცენტრებში. ამიტომაც საჭირო გახდა ტრამვაისა და ქალაქის რკინიგზის შეცვლა ავტობუსებით. თავდაპირველად მას შეერთებულ შტატებში ყიდულობდნენ. 1924-1925 წლებში ამერიკულმა ფირმებმა „ფორდი" და „ჯენერალ მოტორს"-მა ტოკიოს რაიონში ააშენეს თავიანთი პირველი ავტომობი-

ლების ასაწყობი ქარხნები, რომლებიც 1930წ. გადავიდა ძირითადად სატვირთო მანქანების აწყობაზე, რომელსაც მოიხმარდა იაპონიის არმია. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეს ყველაფერი განადგურდა და მხოლოდ 1950წ. დასაწყისში დაიწყეს ავტობუსებისა და სატვირთო მანქანების გამოშვება. შემდეგ კი მსუბუქი  მანქანებისაც. ამ პერიოდში იაპონიამ აწარმოა 30 000 ავტომობილი, იმ დროს როდესაც ამერიკამ აწარმოა – 8 000 000.

1960-იან წლებში იაპონიამ თითქმის 7-ჯერ გაზარდა მანქანების წარმოება, 1970წ. კიდევ 2-ჯერ და უკვე 1974წ. იაპონიამ გადაუსწრო ამერიკას ავტომობილების ექსპორტით და სულ მალე მათი გამოშვებითაც კი. 1980-იან წ-ში იაპონია კვლავ ლიდერობდა. მხოლოდ 1994წ. მოიპოვა ამერიკამ პირველი ადგილი. წელიწადში იაპონია აწარმოებს 5 000 000 ავტომობილის ექსპორტს და ამიტომაც მას მსოფლიო ბაზაარზე პირველი ადგილი უჭირავს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ იაპონია არა მარტო მოცულობით უსწრებს სხვა ქვეყნებს, არამედ ხარისხითაც და პროდუქციის თვითღირებუ-

ლებითაც. ამერკისაგან განსხვავებით იაპონია დიდი ხანია აწარმოებს ეკონომიურ და შედარებით მცირე ზომის ავტომობილებს, ხოლო ენერგეტიკული კრიზისის დაწყებისას ამ მიმართულებამ მიიღო ახალი განვითარება. ბუნების დაცვის კანონების გამო იაპონიამ დაიწყო ყველაზე „სუფთა" ავტომობილების წარმოება, რომლებიც ნაკლებ მავნე ნივთიერებებს გამოყოფდნენ ატმოსფეროში.

და ბოლოს, უახლეს დარგს მიეკუთვნება – საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა, რომლის მასშტაბებითაც იაპონია ადგილს უთმობს მხოლოდ ამერიკას, ხოლო მისი ექსპორტით პირველი ადგილი უკავია. 1990-იან წლებში ამ დარგში საქმიანობით დაკავებული იყო 1,8 მლნ. ადამიანი. როგორც ცნობილია არც ეს დარგი დარჩა შეუცვლელი. ადრე იაპონია უმთავრესად აწარმოებდა აუდიო და ვიდეო აპა-რატურას, ხოლო შემდეგ გადავიდა უფრო რთული პროდუქციის წარმოებაზე. მაგალითად: პერსონალური კომპიტერები, რომელიც 1990-იან წლებში წელიწადში 8 000 000 გამოდიოდა.

# იაპონიის წყნარი ოკეანის სარტყელი

იაპონიის სამეურნეო ტერიტორიულ სტრუქტურას გააჩნია ერთი დამახასიათებელი თავისებურება. მასში გარკვევით გამოირჩევა ორი ძირითადი ნაწილი, რომელთაც უწოდებენ სახისას (მზიანს) და ზურგისას (ჩრდილისას). სახის ძირითად ნაწილს ქმნის კუნძული **ჰონსიუ**, რომელიც გადაჭიმულია სიმონოსეკამდე და აგრეთვე **ჩრდილოეთ სანაპირო** სიკოკუსა და კიუსიუს კუნძულებისა. ამ ტერიტორიას, რომელსაც უჭირავს დაახლოებით 1/3 მთელი იაპონიის ფართობისა უწოდებენ – წყნარი ოკეანის სარტყელს. კუნძულ კიუსიუს ჩრდილოეთით წარმოიშვა იმ დროისათვის იაპონიის მთავარი ნახშირმეტალურგიული ბაზა. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული მრავალი ასეთი ბაზა შეიქმნა ხელოვნურად დამშრალ ტერიტორიაზე, რომლებიც ზღვას წაართვეს.

წყნარი ოკეანის სარტყელს ხშირად უწოდებენ საწარმოოს, მაგრამ ეს მთლად მართალი არაა. მიმდებარე დაბლობები, რომელთა შორისაც ყველაზე მსხვილი არის კანტო, ერთდროულად არის მსხვილი სამ-

ეურნეო რაიონი სადაც განვითარებულია ბრინჯის მოყვანა, ბოსტნეულისა და ხილის მოყვანა, ღორებისა და ფრინველების მოშენება და სხვა. შეგახსენებთ რომ წყნარი ოკეანის სარტყელის ტერიტორიაზეა განლაგებული ტოკაიდოს მეგაპოლისი, რომლის მოსახლეობაც შეადგენს 70000000 ადამიანს და მის შემადგენლობაში შედის ქალაქის დაახლოებით 25 აგლომერაცია. ამიტომაც წყნარი ოკეანის სარტყელი დიდ როლს თამაშობს იაპონიის მოსახლეობის მეურნეობასა და ცხოვრებაში.

ათი ეკონომიკური რაიონიდან, რომლებათაც იყოფა მთელი იაპონიის ტერიტორია, მთლიანად ან ნაწილობრივად ექვსი მათგანი შედის წყნარი ოკეანის სარტყელში. ესენია – კანტო, ტოკაი, კინკი, ტიუგოკუ, სიკოკუ, და კიუსიუ. მათ გააჩნიათ როგორც ოთხი ნიშანი ერთობისა ისე 4 ნიშანი სხვაობისა.

ამ სარტყელის აღმოსავლეთით მდებარეობს კანტოს რაიონი – იაპონიის მთავარი ეკონომიკური რაიონი. ტოკიოში მეტ კოცენტრაციას განიცდის ელექტრონიკა და სხვა მაღალი ტექნოლოგიის დარგები, როგორიცაა პოლიგრაფიული, სამკერვალო და კვებ-

ის დარგები. ჩრდილოეთ კანტო – იაპონიის ერთ-ერთი მთავარი სასოფლო-სამეურნეო რაიონია. სამხ. დას.-ით კანტო ფაქტიურად ერწყმის ტოკაის რაიონს, რომლის ფუძესაც წარმოადგენს ნაგოის გარშემო ფორმირებული აგლომერაცია ტიუკიო. ადრე ეს რაიონი ცნობილი იყო თავისი ტექსტილის წარმოებით. შემდეგ აქ გაიზარდა შავი მეტალურგიისა და ნავთოქიმიის საწარმოები. ახლა მის „სახეს" წარმოადგენს ელექტრონული. საავტომობილო, საავიაციო და სხვა უახლესი დარგები. აგლომერაციის საზღვრებს მიღმა განვითარებულია სასოფლო მეორნეობაც. ყურეში, რომლის ნაპირზეც განოიაა განლაგებული – იაპონიის მარგალიტის წარმოების მთავარი ცენტრია.

ტოკაის რაიონის დას.-ით მდებაროებს რაიონი კინკი, რომელსაც მონაცემებით მეორე ადგილი უჭირავს კანტოს რაიონის შემდეგ. თავდაპირველად აქ დაიწყო ტექსტილის წარმოება, ხოლო შემდეგ სხვა რაიონების მსგავსად განვითარდა შავი მეტალურგია, ქიმიური და ნავთოქიმიური საწარმოები, სხვადასხვა სახის მანქანების წარმოება და ბოლოს მეცნიერული დარგები.

# იაპონური ტექნოპოლისები

იაპონია ცნობილია როგორც ქვეყანა  განვითარებული მეცნიერებით. ინჟინრებისა და მეცნირების რიცხვით იგი ადგილს მხოლოდ ამერიკას უთმობს. გეოგრაფიული პოზიციებიდან გამომდინარე ყველაზე მეტ ინტერესს წარმოადგენს საკითხი იაპონიაში მეცნიერების ტერიტორიული ორგანიზაცია – ეს ქვეყანა ყოველთვის გამოირჩეოდა მეცნიერების ტერიტორიული კონცენტრაციის დონით, რომლებიც ძირითადად განლაგებულია კანტოს, ტოკაის და კინკის რაიონებში. მხოლოდ დიდ ტოკიოში ხორციელდებოდა მეცნიერული გამოკვლევების თითქმის ნახევარი, რომელიც ქვეყანაში წარმოებდა და იქ ასწავლიდნენ მთელ პროფესორთა ნახევარი. განათლებას იღებდა არსებულ სტუდენტთა 40%. მეტად მნიშვნელოვანია, რომ 1970 წლის დასაწყისში მოხდა „დიდი გადასახლება" მეცნიერებისა ტოკიოდან მეცნიერების ახალ ქალაქ ცუკუბუში, რომელიც სპეციალურად ამ მიზნისთვის იქნა აშენებული. იგი მდებარეობს დედაქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით 60კმ.-ზე, იგი სულ მალე გახდა მეცნიერული გამოკვლევების ცენტრი. 1990 წლის შუა ხანებში ცუკუბუში მუშაობდა 78 სხ-

ვადასხვა მეცნიერული დაწესებულება. მათ შორის 2 უნივერსიტეტი, 46 ნაციონალური მაცნიერულ-კვლევითი ლაბორატორია, 8 კერძო ფირმების საწარმოები და მეცნიერული დაწესებულებები, მაგრამ ეს ყველაფერი იყო დასაწყისი. უფრო მასშტაბური მეცნიერული გამოკვლევების დეცენტრალიზაცია დაიწყო შემდეგი პროგრამის განხორციელების შედეგად რომელსაც „ტექნოპოლისი" ჰქვია. სიტყვა „ტექნოპოლისი" (ტეკუნოპორისი) იაპონურ ლექსიკოკონში გაჩნდა 1980წ. პროგრამა „ტექნოპოლისი" პირველად ფორმირებულ იქნა 1980წ. სპეციალურ დოკუმენტში, რომელიც მომზადდა საგარეო ვაჭრობის სამინისტროში. იგი ითვალისწინებდა ბალანსირებულ მაღალტექნოლოგიურ საწარმოს. ამავდროულად საკმაოდ ნათლად იქნა ფორმირებული მომავალი ტექნოპოლისების ძირითადი კრიტერიუმების განთავსება. 1983წ. მიიღეს კანონი ტექნოპოლისების შესახებ და დაიწყო მისი განხორციელება. თავიდან ეს პროგრამა ითვალისწინებდა 7-8 ტექნოპოლისის შექმნას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მასში მონაწილეობის მიღებაზე სურვილი მხოლოდ 40 პრეფექტურამ გამოთქვა 47-დან. ამიტომაც 1983-1984წ. დამტკიცდა 14 ტექნოპოლისის პროექტი,

ხოლო შემდგომში მათი საერთო რიცხვი დავიდა 26-მდე. 12 მათგანი მიეკუთვნება ნახევრადპერიფერიულ რაიონს, ხოლო 14 – პერიფერიულს. ასეთი ტექნოპოლისები შეიქმნა იაპონიის ეკონომიკურ ყველა რაიონში. შეთანხმების მიხედვით ტექნოპოლისები შეიქმნა უნივერსიტეტულ ქალაქებთან, მაგ. ჰაკოტატეში, ეს არის ოკეანის ტერიტორიის ათვისების წარმოების საშუალებები, აკიტეში – ელექტრონიკა, მეგატრონიკა, ნაგაოკეში – პერსპექტიული ტექნიკური სისტემების წარმოება, დიზაინის ინდუსტრია. უცუნომიაში – ელექტრონიკა, ჰამამაცუში – ოფტოელექტრონიკა, ტოიამაში – ბიოტექნოლოგია, ინფორმატიკა.

## გარემოს დაბინძურება და იაპონიის ეკოლოგიური პრობლემები

სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია ასეთივე სწრაფი გარემოს დაბინძურება. ამის რამდენიმე მიზეზია: ერთ-ერთი მათგანია ტერიტორიის ზომების სიმცირე, მისი რელიეფი, გეოლოგიური წყობა, ატმოსფეროს ცირკულაცია და სხვა ბუნებრივი ფაქტორები (მიწისძვრა, ტაიფუნი და სხვა სტიქი-

ური უბედურებები). მეორეს მხრივ ეს არის „ბინძურ-
რი" წარმოებები, როგორიცაა თბოენერგეტიკა, შავი
და ფერადი მეტალურგია, ქიმიური, ნავთოქიმიური
და ცემენტის წარმოება. მესამე – ეს არის ტერიტორ-
იული სტრუქტურა და მჭიდრო მოსახლეობა. დღეს
იაპონიის ტერიტორიის თითქმის 15% წარმოადგენს
ამა თუ იმ ხარისხის ნაკრძალს. მის ძირითადობას
წარმოადგენს ეროვნული პარკები, რომლის უმეტეს-
ობა განლაგებულია კუნძულ ჰონსიუს შიდა მთიან
რაიონებში და სხვები მის მიმდებარე დაბლობებზე
ან სხვა კუნძულებზე. 1970-იან წლებში პირველად
შეიქმნა წყალქვეშა პარკები კუნძულ სიკოკუ და ოკ-
ინავაზე. ეროვნული პარკების გარდა არსებობს კიდ-
ევ 300-ზე მეტი რაიონული და პრეფექტული პარკები
და აგრეთვე 500-ზე მეტი სხვა და სხვა ნაკრძალი.
ყოველ წლიურად მას სტუმრობს დაახლოებით 100
მლნ. ადამიანი, მაგრამ მიუხედავად ამისა მრავალ
რაიონში ეკოლოგიური მდგომარეობა კვლავ დაძაბუ-
ლია.

## იაპონიის საერთაშორისო,

## ეკონომიკური კავშირები

იაპონია წარმოადგენს ნათელ მაგალითს იმ ქვეყნისა, რომელიც აქტიურად არის ჩართული შრომის საერთაშორისო გეოგრაფიულ გაყოფაში. მისთვის დამახასიათებელია ყველა სახის შიდაეკონომიკური კავშირების განვითარება, მაგრამ ასეთი კავშირების სხვა და სხვა სახეების მნიშვნელობა დროდადრო იცვლებოდა. იაპონიამ შეძლო მოეპოვებინა მყარი პოზიციები ისეთ საქმიანობაში როგორიცაა კაპიტალის გატანა. იაპონიის საგარეო ვაჭრობა შეიძლება დახასიათდეს სამი ძირითადი მაჩვენებლით: ბრუნვადობა, სტრუქტურა და გეოგრაფიული გადანაწილება.

გარე ბრუნვადობის ზომებით (850 მილიარდი დოლარი) თანამედროვე იაპონიას უჭირავს მსოფლიოში მესამე ადგილი ამერიკისა და გერმანიის შემდეგ. მისი წილი საქონლის მსოფლიო ექსპორტში აღემატება 8%-ს, ხოლო მსოფლიო იმპორტში – 5%. ექსპორტით იგი ადგილს უთმობს მხოლოდ ამერიკას, ხოლო იმპორტით – ამერიკას და გერმანიას.

ერთ-ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა იაპონიის ეკ-ონომიკა განვითარების პირველ ეტაპზე შეადარა უზარმაზარ გადამამუშავებელ ქარხანას, რომელსაც შემოაქვს ყველა საჭირო ნედლეული, შემდეგ ამუშა-ვებს მას და გზავნის მსოფლიო ბაზარზე უკვე პრო-დუქციის სახით. არ არის გასაკვირი, რომ ამ ეტაპზე იაპონია გარდაიქმნა მინერალური ნედლეულისა და ნავთობის უზარმაზარ მსოფლიო იმპორტიორად, შავი და ფერადი მეტალურგიის, ნავთმშენებლობისა და ნავთოქიმიის პროდუქციის ექსპორტიორად. შემდ-ეგ ქვეყნის ექსპორტის სტრუქტურაში უფრო მეტი როლი ითამაშა ავტომობილებმა, საყოფაცხოვრებო

ელექტრონიკამ და სხვა მრავალმა.

1990-იან წლებში იაპონიის ექსპორტს შეადგენდა მანქანების წარმოება (ავტომობილები, გემები, ტელე-ვიზორები, ფოტოაპარატები, კომპიუტერები, ინტეგრა-ლური სქემები და ავტომატური ხელსაწყოები) თუ-მცა ზოგიერთი საწარმოს ექსპორტმა მიაღწია 50-70% და მეტს. რაც შეეხება იმპორტს იაპონია კვლავ დამოკიდებულია სხვა და სხვა სახის ნედლეულისა და ნავთობის შემოტანაზე. უფრო მეტიც, იგი წარმო-

ადგენს მსოფლიოში ყველაზე მსხვილ, შემსყიდველს (ქვანახშირისა, რკინისა და ფერადი მეტალებისა). ნავთობის წლიური შემოტანით იგი მხოლოდ ამერიკას უთმობს ადგილს. თუ უფრო დეტალურად დავახასითებთ იაპონიის იმპორტის გეოგრაფიული გადანაწილებას შეიძლება დავამატოთ რომ მასში პირველი ადგილი უჭირავს აღმ. და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს. მეორე ადგილი იაპონიის იმპორტში უჭირავს ამერიკას. კორეადან, ინდონეზიიდან, მალაიზიიდან და სინგაპურიდან იაპონიას შემოაქვს ნავთობი, ხის მასალა, ბუნებრივი თხევადი გაზი და შავი და ფერადი მეტალი. კალიფორნიიდან შემოდის როგორც მზა ნაწარმი ისევე ქვანახშირი, ბამბა, ხორბალი, ფოსფორიტი, ფარმაცევტული ნაწარმი და კომპიუტერები. 1990-იან წლებში ამერიკის მნიშვნელობა იაპონიის იმპორტში მეტად გაიზარდა მანქანებისა და დანადგარების ხარჯზე. სამხრეთ-დასავლეთი აზიის ქვეყნების წილმა 1980წ. პიკს მიაღწია, რაც დაკავშირებული იყო ნავთობის ფასის სწრაფ ზრდასთან, შემდეგ კი იგი ძალიან შემცირდა. ავსტრალიის წილი კი პირიქით, ყოველთვის იზრდებოდა. ამ ქვეყანაზე ახლა მოდის დაახლოებით მთელი იაპონიის

ქვანახშირის იმპორტი. პირველ ადგილზე (დაახლოებით 1/3) იყო და რჩება ამერიკა, სადაც მიმართულია ძირითადად საავტომობილო ექსპორტი, სხვა და სხვა ელექტრონული ხელსაწყოები და დანადგარები. მეორე ადგილი (1/4) ეკუთვნის სამხ.-აღმ. აზიას (განსაკუთრებით გამოიყოფა სინგაპური, ტაილანდი, მალაიზია) მესამე (1/5) – დასავლეთ ევროპას (გერმანია). საერთო ჯამში იაპონიის საწარმოო ექსპორტი მოიცავს მსოფლიოს ყველა მსხვილ რეგიონს: უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ავტომობილების ექსპორტს.

იაპონიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალის ექსპორტს. მას პირდაპირი კავშირი აქვს ოქროს ვალუტის რეზერვის ზრდაში, რომელიც ხელს უწყობს მის მსოფლიო პირველობას. ამ მაჩვენებლით იაპონიის კაპიტალის ექსპორტში მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო და მონოპოლიები. 1990-იანი წლების შუაში იაპონიის კაპიტალის ექსპორტი გავიდა პირველ ადგილზე მსოფლიოში და დიდი ხანი ინარჩუნებდა ამ ადგილს. მაგრამ კრიზისის შემდეგ 1997-1998წ. ექსპორტის მოცულობა საგრძნობლად შემცირდა. მიუხედავად ამისა საზღვარგარეთის საერთო კაპიტალდაბანდება 1990-იანი წლების ბოლოს აღემა-

ტა 300 მლრდ. დოლარს. გეოგრაფიული პოზიციებიდან უმეტეს ინტერესს წარმოადგენს იაპონიის საზღვარგარეთული ინვესტიციები. ეს დაიწყო 1970-იან წლებში, მაგრამ მათი  მოცულობა იყო უმნიშვნელო. 1980-იანი წლების ბოლოს იაპონია გარდაიქმნა მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ექსპორტიორად პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციებით. 1990-იანი წლების ბოლოს იაპონიის პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების საერთო რაოდენობიდან 40% მეტი იგზავნებოდა ამერიკაში, 25% – აზიის სხვა და სხვა ქვეყნებში, 15% – დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ხოლო დაახლოებით 10% – ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ამას შეიძლება დავუმატოთ ის რომ იაპონია ლიდერობს სხვა ქვეყნებისათვის ფინანსურ დახმარებაში (10 მლრდ. დოლარი) მრავალი ქვეყნებისათვის იაპონია დონორ ქვეყანად იქცა. მაგალითად: (ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, ტაილანდი, ფილიპინები) – აზიის ქვეყნები, აფრიკის ქვეყნებიდან (ჰანა, კენია, ტანზანია), ლათინოამერიკის (ბრაზილია, მექსიკა, პერუ, ჩილე) და დსთ-ს ქვეყნების (აზერბაიჯანი, ყირგიზეთი). 1980-იანი წლებიდან მოყოლებული იაპონია უფრო აქტიურად მონაწილეობს მეცნიერულ-

ტექნიკურ თანამშრომლობაში. მასში მონაწილეობის მთავარი ფორმაა მსხვილმასშტაბური მრავალწლიანი პროგრამები. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ეროვნული პროგრამა „ადამიანის საზღვრები", რომელიც 2005 წლამდეა გათვლილი. საქონლის ბრუნვა რუსეთსა და იაპონიას შორის 1990-იან წლებში შეადგენდა 3,5-4,5 მლრდ. დოლლარს წელიწადში, რაც 40-ჯერ ნაკლებია იაპონიასა და ჩინეთს შორის. რუსეთის ექსპორტს იაპონიაში წარმოადგენს ხე-ტყე, მეტალები და ნახშირი. იაპონიიდან კი რუსეთს მიეწოდება მანქანათწარმოების პროდუქცია. რუსეთის ბაზარზე იაპონიას მყარად უჭირავს პირველი ადგილი ელექტრონიკის გაყიდვაში, ისეთი ცნობილი ფირმებისა როგორიცაა „სონი' და „პანასონიკი".

# მსოფლიოს ნავთობის მრეწველობა

ნავთობის მრეწველობა მსოფლიოს სათბობენერგეტიკული მრეწველობის წამყანი დარგია. იგი ძალიან დიდ გავლენას ახდენს მთელ მსოფლიო მრეწველობაზე და საერთოდ მსოფლიო პოლიტიკაზეც. ნავთობის მრეწველობა გამოირჩევა საკმაოდ დიდი კაპიტალ ტევადობით.

ნავთობის სამრეწველო მოპოვება ერთდროულად სამ ქვეყანაში რუსეთში, რუმინეთსა და აშშ-ში მე-XIX-ე საუკუნის შუა ხანებში დაიწყო. XX-ის დამდეგს მას უკვე მსოფლიოს 20 ქვეყანაში მოიპოვებდნენ, მაგრამ ყველაზე მეტად აშშ–ში, ვენესუელასა და რუსეთში. 1940წ. ნავთობგადამამუშავებელ ქვეყანათა რიცხვი 40-მდე გაიზარდა, თუმცა მოწინავეებად ითვლებოდა აშშ, სსრკ, ვენესუელა და აგრეთვე ირანი. 1970წ. ნავთობგადამამუშავებელ ქვეყანათა რიცხვმა 60-ს მიაღწია, ხოლო 1990წ-ს 80-ს. 1990-იანი წლების ბოლოს კი 95-ს. ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ნავთობის მსოფლიო მოპოვების ნახევარს იძლეოდა დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნები,

მაგრამ შემდგომ პირველობას მიაღწია აღ. ნახევარ-სფეროს ქვეყნებმა.

შესაბამისად იზრდებოდა ნავთობის მსოფლიო მოპოვებაც. 1980-იანი წლების დამდეგამდე, იაფი ნავთობის ეპოქაში ეს ზრდა იყო წინსვლითი, მაგრამ შემდგომ მას დაეტყო ენერგეტიკული (ნავთობის) კრიზისის ზემოქმედება, რომელმაც როგორც უკვე ავღნიშნეთ, გამოიწვია მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მკვეთრი გაძვირება ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა ნავთობის მოპოვების გეოგრაფიაზეც, ვინაიდან იგი გახდა არარენტაბელური მრავალ ძნელად მისადგომ რაიონში, სადაც ექსტრემალური ბუნებრივი პირობები არსებობდა. 1990-იანი წლების დამდეგს ნავთობის მსოფლიო მოპოვების დონე შედარებით გასტაბილურდა ეს დაკავშირებული იყო არა ნაძიები რესურსების შეზღუდვასთან არამედ რიგი ნავთობგადამამუშავებელი ქვეყნების პოლიტიკასთან, პირველ რიგში კი ოპეკა-ს წევრებისა, როგორც მსოფლიო ნავთობის ბაზარზე ფასების მთავარი რეგულატორისა. ნავთობზე ფასების ვარდნის გაჭიანურებულ ვითარებაში ასეთი პოლიტიკა ითვალისწინებდა მკაცრად ნორმირებული კვოტების შემოღებას,

მისი მოპოვების ზომებზე, რათა ფასები არ დაცემულიყო. ანალოგიურ პოლიტიკას ატარებდა ზოგიერთი ქვეყანაც, რომლებიც არ შედიოდნენ ოპეკა-ში და მხოლოდ 1990-იანი წლების ბოლოს აღინიშნა ახალი აღმავლობა 3.8 მლრდ ტ-მდე 2004წ-თვის.

1990-იანი წლების ბოლოს კონიუნქტურა მსოფლიოს ნავთობის ბაზარზე არაერთხელ შეიცვალა. 1996წ-ს შედარებით მყარი ბალანსის პირობებში, ნავთობის მიწოდებასა და მოხმარებას შორის ნავთობზე საშუალო ფასი 1 ტონაზე 145 დოლარი შენარჩუნდა. 1999წ-ს 135 დოლამდე შემცირდა, ხოლო 1998წ-ს კატასტროფულად დაეცა 1 ტონის ფასი 80 დოლარამდე გა-ხდა. ბუნებრივია, ასეთმა კლებამ მკვეთრად შეამცირა ნავთობ ექსპორიორი ქვეყნების შემოსვლები, მათი სანავთობე რენტა. იმისთვის რომ ხელახლა გაეზარდათ ეს შემოსავლები ოპეკა-ს წევრმა ქვეყნებმა, რომელთაც შეუერთდა: ნორვეგია, მექსიკა, ომანი, რუსეთი დაიწყეს ნავთობის მოპოვების შემცირება შედეგად მისმა ფასმა კვლავ იწყო ზრდა, თანაც ისე, რომ 1999წ ბოლოსთვის 160-170 დოლარს მიაღწია 1 ტონაზე შემდგომ კი 200-300 დოლარსაც კი გადააჭარბა. ამან დარტყმა მიაყენა

მთავარი ნავთობიმპორტიორი ქვეყნების ეკონომიკას, უპირველესად კი აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, გფრ-ს, გამოიწვია რა შეიძლება ითქვას, მინი კრიზისი ნავთობმოხმარებაში და აიძულა ეს ქვეყნები გამოეყენებინა თავიანთი, ხელშეუხებელი კომერციული მარაგი. მხოლოდ 2000 წლის ბოლოსთვის მდგომარეობა ნავთობის ბაზარზე გახდა შედარებით სტაბილური.

მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში ნავთობის მსოფლიო მოპოვების გადანაწილება აგრეთვე შეიცვალა ქვეყნების სამ ჯგუფს შორის. საერთოდ, ჯერ სწორი იქნებოდა გველაპარაკა არა სამ, არამედ ქვეყნების ორ დაჯგუფებაზე კაპიტალისტურებისა და სოციალისტურებზე, ვინაიდან ნავთობის თითქმის მთელი მოპოვება დასავლეთის ქვეყნებშიც და მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებშიც ფაქტობრივად ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში წარმოქმნილი საერთ. ნავთობის კარტელის (სნკ) კონტროლქვეშ იმყოფებოდა. ამ კარტელში შედიოდა შვიდი უმსხვილესი ნავთობის კომპანია (შვიდი და), რომელთაც სათავეში ედგა ამერიკული “სტანდარტ ოილი”. ოპეკა-ს შექმნის შემდეგ პირველ ხანებში

ეს შვიდი და აკონტროლებდა განვითარებადი ქვეყნების მიერ ნავთობის მოპოვების არანაკლებ 2/3-ს მაგრამ 1970-იანი წლების შუა ხანების კრიზისის შემდეგ ასევე განვითარებადი ქვეყნების მიერ თავიანთი ნავთობის რესურსების ნაციონალიზაციის და საკუთარი ნავთობის სახელმწიფო კომპანიების შექმნის შემდეგ სნკ-ის როლი ნულამდე დავიდა, ახლა "მუსიკას უკვეთდნენ" უკვე "ოპეკა"-ს ქვეყნები და ეს არცაა გასაკვირი,ვინაიდან ამჟამად სწორედ ოპეკას 11 ქვეყანა აკონტროლებს ნავთობის მოპოვების დაახლოებით 40%-ს ხოლო თუ ვილაპარაკებთ ყველა განვითარებად ქვეყანაზე, მაშინ 1990-იანი წლების ბოლოს მათმა წილმა ნავთობის მსოფლიო მოპოვებაში 60% შეადგინა როცა დასავლეთის ქვეყნების წილი 24%-ია. ჰიდროსოციალისტური და სოციალისტური ქვეყნების წილი კი 16%-მდე შემცირდა, რაც აიხსნება ადრე სსრკ-ში შემავალ ქვეყანათა უმეტესობაში ნავთობის მოპოვების ვარდნით; 1990-იანი წლების დამდეგამდე ეს წილი მეტი იყო.

ყოფილ სსრკ-ში ნავთობის მოპოვების მატება ხდებოდა 1970-1980-იან წ. დასავლეთ ციმბირის ნავთობის აუზთა გახსნისა და ათვისების გამო. ამასთ-

ან მოპოვების პიკი მიღწეულ იქნა 1988წ-ს 624მლნ ტ. მაგრამ უკვე 1990წ-ს იგი შემცირდა 570 მლნ ტ-მდე, ხოლო 1991წ-ს 515 მლნ ტ-მდე. ასეთი ვარდნის მიზეზი მრავალია. ეს კაპიტალდაბანდებათა უკმარისობაცაა და დაზვერვითი და საძიებო ბურღვის მოცულობათა შემცირებაც, მილების უკმარისობაც და მოწყობილობათ ცვეთაც, მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებაც და სხვა უამრავი რამ, რაც საბადოების სწრაფ დატბორვას იწვევდა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ,რომ 1990-იანი წ. დამდეგს ბევრმა უმსხვილესმა საბადომ უკვე მიაღწია მაქსიმალური მოპოვების სტადიას და მხოლოდ XXI საუკუნის დამდეგს ნავთობის მოპოვებამ რუსეთსა და დსთ-ის სხვა ქვეყნებში (ყაზახეთში, აზერბაიჯანში) კვლავ

იწყო ზრდა.

დასავლეთ ევროპაში ნავთობმოპოვებაში ნახტომი მოხდა 1970-1980-იან წლებში, რაც აიხსნება ჩრ. ზღვისპირეთის აუზის ექსპოატაციაში შესვლით. აზიაში კი 1990-იანი წლების დადგომამდე შეიმჩნეოდა მოპოვების წინსვლითი ზრდა, რაც დაკავშირებული იყო სპარსეთის ყურის ზონაში ასევე ინდონეზიასა

და ჩინეთში. მსხვილესი საბადოების ათვისებასთან 1990-იან წლებში ნავთობის მოპოვება კვლავ გაიზარდა. აფრიკაში გარდატეხა 1960-იან წლებში დაიწყო, როცა აითვისეს ლიბიის და ნიგერიის ნავთობის რესურსები და მოპოვება გაიზარდა ალჟირსა და ეგვიპტეში. ჩრ. ამერიკაში მოპოვება იზრდებოდა 1970-იანი წ. დამდეგამდე, შემდეგ მისი დონე გასტაბილურდა ხოლო 1990-იანი წლებიდან მან იწყო კლება. ლათინურ ამერიკაში ნავთობის მოპოვების ზრდა იყო უფრო თანაზომიერი, ამასთან მსხვილ ნავთობგადამამუშავებელ ქვეყანათა რიცხვში ვენესუელასთან ერთად შევიდა მექსიკაც. ნავთობის მოპოვებამ ავსტრალიაში ზრდა მხოლოდ 1980-იან წლებში იწყო.

შესაბამისად იცვლებოდა მსხვილი რეგიონების წილიც ნავთობის მსოფლიო მოპოვებაში. ჯერ კიდევ 1950წ-ს მისი 1/2-ზე მეტი მოდიოდა ჩრ. ამერიკაზე, რომელსაც დიდი ჩამორჩენით მოსდევდა საზღვარგარეთული ევროპა, ლათინური ამერიკა, სსრკ. 1970წ-ს პირველ ადგილზე აღმოჩნდა უკვე საზღვარგარეთული აზია, მეორეზე ჩრ.ამერიკა, მესამეზე –

სსრკ, მეოთხეზე – აფრიკა, მეხუთეზე – ლათინური ამერიკა.

აშკარაა რომ მსხვილი რეგიონების რეიტინგი განისაზღვრება უპირველესად მთავარი ნავთობმომპოვებელი ქვეყნებით (საუდის არაბეთი, რუსეთი, აშშ, ირანი მექსიკა, ჩინეთი, ნიგერია) შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ 1990-იანი წლების განმავლობაში დიდი ცვლილებები მთავარი ნავთობმომპოვებელი ქვეყნების შემადგენლობაში არ მომხდარა, მაგრამ მოწინავე სამეული ქვეყნის თანმიმდევრობა ერთგვარად სხვანაირი გახდა (1990წ. ნავთობის მოპოვებაში პირველი ადგილი ეკავა სსრკ-ს, მეორეზე იყო აშშ, მესამეზე საუდის არაბეთი).

ნავთობის მრეწველობასთან ერთად ჩვეულებრივ განიხილავენ ხოლმე მის შედარებით დამოუკიდებელ ქვედარგს ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობას.

1990-იანი წლების ბოლოს მსოფლიოში იყო დაახლოებით 700 ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (6გქ) პირველადი გადამუშავების საერთო სიმძლავრით 3.7 მლრდ ტ. ამ დარგის საწარმოები განაწი-

ლებულია მთელ დედამიწაზე ბევრად უფრო თანაბრად, ვიდრე ნავთობის რესურსები და მოპოვება, ვინაიდან თითოეული მეტნაკლებად მსხვილი სახ. ისწრაფვის ფლობდეს საკუთარ ნგქებს, რომლებიც იმუშავებს შიდა მოხმარების ბაზარზე, ხოლო უმეტესწილად ექსპორტზეც. ამ თვალსაზრისით ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მნიშვნელოვანი უპირატესობა მსოფლიოს ყველა ნგქ-ის შეჯამებული სიმძლავრით სავსებით ასახსნელია: ჩრ. ამერიკაში კონცენტრირებულია 930 მლნ ტ., დასავლეთ ევროპაში 700 მლნ ტ., იაპონიაში ასეთი სიმძლავრეების 250 მლნ ტ., აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და დსთ-ში კიდევ 650 მლნ. ტ. და მხოლოდ დანარჩენი მოდის განვითარებად ქვეყნებზე.

ასეთი თანაფარდობა ჩამოყალიბდა მრავალი ათწლეულის განმავლობაში,ვინაიდან ითვლებოდა რომ ეკონომიკურად მამოგებიანია ნედლი ნავთობის შემოტანა და მისი გადამუშავება მოხმარების ადგილზე. თუმცა 1980-1990-იან წლებში სულ უფრო მკაფიოდ გამოვლინდა საწინააღმდეგო ტენდენცია აწარმოონ ნედლი ნავთობის პირველადი გადამუშავება მისი მოპოვების რაიონებში, ხოლო შემდეგ მოახდი-

ნონ უკვე მიღებული ნავთობპროდუქტების ექსპორტ-ირება. ამ ტენდენციას საფუძვლად უდევს როგორც განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია უპირველეს ყოვლისა, ნავთობმომპოვებლების ასევე დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკაც, რომელიც მიმართულია "ჭუჭყიანი" წარმოებების გადატანაზე განვითარებად ქვეყნებში. შედეგად ბოლო ხანებში ნავთობგადამუშავების სიმძლავრეები განვითარებად ქვეყნებში საკმაოდ სწრაფად იზრდება და უკვე მნიშვნელოვან ზომებს აღწევს: ლათინურ ამერიკაში 300 მლნ-ს. აფრიკაში 150-ს. ამჟამად განვითარებადი ქვეყნების წილი ნგქ-ების მსოფლიო სიმძლავრეში უკვე დაახლოებით 1/3-ს შეადგენს, ამასთან ეს მაჩვენებელი აგრძელებს ზრდას. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება სპარსეთის ყურის ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს – საუდის არაბეთს, ირანს, ერაყს, ქუვეითს, რომლებსაც გააჩნია ნავთობგადამუშავების მნიშვნელოვანი სიმძლავრეები; ისინი ძირითადად ექსპორტზეა გათვლილი. ეხება ეს სხვა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებსაც (ვენესუელა, მექსიკა, ინდონეზია), აგრეთვე ბრაზილიას, ინდოეთს, არგენტინას, ტაილანდს, სადაც ნგქ-ები უპირატესად ან სავსებით მუშაობს ში-

და ბაზრებისათვის. ნავთობგადამამუშავებელ მსხვილ ცენტრებად აგრეთვე იქცა მსოფლიო საზღვაოსნო გზების ზოგიერთი საკვანძო წერტილი (სინგაპური), კარიბის ზღვის კუნძულები (ვირგინიის, ნიდერლანდური ანტილიის ასევე ტრინიდადი და ტობაგო) ამასთან იქ განლაგებული ნგქ-ები გამოირჩევა ნავთობის გადამუშავების განსაკუთრებული სიმძლავრით (20-30 მლნ. ტ. წელიწადში).

რუსეთში 1990-იან წლებში ნავთობის მრეწველობა სერიოზულ კრიზისს განიცდიდა, რამაც გამოიწვია ნავთობის მოპოვების დონის შემცირება 2-ჯერ, ხოლო მისი გადამუშავება თითქმის ასევე. ასეთი შემცირება განპირობებული იყო გრძელვადიანი ხასითის ფაქტორებით, უპირველესად ინვესტიციების შემცირებით ამ დარგში მოპოვების თვითღირებულების მუდმივი ზრდის ფონზე, რომელიც დაკავშირებულია მის შემდგომ წინ წაწევასთან ჩრ. და აღმოსავლეთ რაიონებში, ყველაზე მდიდარი საბადოების მნიშვნელოვან გამოლევასთან, სადაც ნავთობს მოიპოვებენ იაფი შადრევნული ხერხით, ინვესტიციების შემცირების არ შეიძლება, არ გამოეწვია მრავალი უარყოფითი შედეგი. ერთ-ერთი მათგანი გახდა ნავ-

თობის საძიებო ბურღვის მოცულობებში ჩამორჩენა, რის შედეგადაც ნაძიებმა მარაგებმა შეწყვიტა სათანადოდ მოპოვების აუცილებელი ნამატის კომპენსირება. ყოველივე ამას შეიძლება დავუმატოთ დარგის არც თუ ისე მარტივი საორგანიზაციო გაფორმება და კონკურენცია რუსეთის ნავთობის ბიზნესის ძირითად სუბიექტებს შორის ესაა უმსხვილესი ბუნებრივი მონოპოლიები "ლუკოილი", "იუკოსი", "სედანკო", "როსნეფტი", "სიბნეფტი" და სხვ., აგრეთვე ფასწარმოქმნის რთული პრობლემები შიდა ბაზარზე და ნავთობზე მსოფლიო ფასების მერყეობა, მაგრამ ბოლო წლებში ამ დარგმა შეძლო კრიზისის დაძლევა და ნავთობის მოპოვებამ სწრაფად იწყო ზრდა. უფრო მეტიც, მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე ფასების მკვეთრი ზრდის წყალობით იგი სავალუტო საშუალება (ნავთობშემოსავლების) გახდა ქვეყნის ბიუჯეტში.

# გათხევადებული ბუნებრივი გაზით საერთაშორისო ვაჭრობა

1970-იანი წლებიდან დაწყებული მსოფლიო ენე-რგეტიკული მეურნეობის ახალი ფაქტორის სახით მოგვევლინა გათხევადებული ბუნებრივი გაზი (გბგ). ინტერესი ამ ენერგომატარებლის მიმართ განპირობ-ებული იყო მრავალი მიზეზით .მათ შორის შეიძლე-ბა დავასახელოთ ბუნებრივი გაზის დიდი რესურსე-ბის არსებობა აზიის, აფრიკის და ლათინური ამერ-იკის მრავალ ქვეყანაში, რომელიც მოპოვების შემდ-ეგ შეუძლებელია გაზსადენების მეშვეობით მივაწო-დოთ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს მაშინ როცა გბგ-ის საექსპორტო მიწოდება შედარებით იოლი განსახორციელებელია და ამასთანავე არ სა-ჭიროებს ძვირადღირებული გაზის მაგისტრალების მშენებლობას. საჭიროა გავითვალისწინოთ ისიც რომ გათხევადებული გაზი ხელსაყრელია გამოსაყე-ნებლად მეურნეობის მრავალ დარგში (განსაკუთრ-ებით ელენერგეტიკასა და კომუნალურ-საყოფაცხოვ-რებო სექტორებში) და გაზის გათხევადების ტექნო-

ლოგია და მისი შემდგომი ტრანსპორტირება უკვე სავსებით ათვისებულია.

საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსი გბგ-ის წარმოებასა და მიწოდებაზე თავის თავში მოიცავს შემდეგ შემადგენელ ნაწილებს:

1) ბუნებრივი ან გზად მდებარე ნავთობიანი გაზის საბადო (მსოფლიო მასშტაბით ისინი დაახლოებით ყველა მიწოდების 2/3-ს უზრუნველყოფს, გაზის დანარჩენ ნაწილს იძლევა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები);

2) ქარხანა ბუნებრივი გაზის გასათხევადებლად 162*ც ტემპერატურაზე, მისი დროებითი შენახვის ტევადობისთვის;

3) გაზსაექსპორტო ტერმინალი, სადაც მიღებულ გბგ-ს ტუმბავენ სპეციალურ ტანკერგაზის გადამტანებში;

4) დანიშნულების ადგილზე გაზსაიმპორტო ტერმინალი, სადაც ხდება მიწოდებული გბგ-ის გადმოტვირთვა;

5) გბგ-ის საცავი და მისი რეგაზიფიკაციის სადგური;

6)მოწყობილობები გბგ-ის მიწოდებისათვის გაზის ქსელში.

მსგავსი ტექნოლოგიების შესამუშავებლად პირველი ცდები ჩატარდა აშშ-ში ჯერ კიდევ XX-ის 40-იან წლებში, ხოლო სამრეწველო რეალიზაცია მათ პოვეს იქვე 1950-იან წ. მალე აშშ-ში კონსტუირებული და აგებული იქნა პირველი ტანკერი-გაზმატარებელი, რომელიც არა მარტო აწვდიდა გათხევადებულ ბუნებრივ გაზს მექსიკის ყურის საბადოდან, არამედ რამდენიმე რეისსაც ახდენდა დიდ ბრიტანეთში. თავდაპირველად გბგ-ის მსოფლიო წარმოება იზრდებოდა საკმაოდ ნელა, მაგრამ 1970-იანი წლების შუა ხანების ენერგეტიკული კრიზისის და ნავთობის მკვეთრი გაძვირების შემდეგ დასავლეთის მრავალი ქვეყნის ინტერესი მის გამოსაყენებლად შესამჩნევად გაიზარდა. ამან სტიმული მისცა გაზის გათხევადებისთვის ქარხნების მშენებლობას, ასევე გაზის ტერმინალთა და შეიქმნა ტანკერ-გაზმატარე-

ბელთა ფლოტი. გბგ-ის მიმართ ინტერესი დღესაც არსებობს, რაზეც უპირველეს ყოვლისა; მეტყველებს მისი მსოფლიო წარმოების ზომები, რომელიც ჯერ კიდევ 1995წ. 275 მლნ ტ-ს შეადგენდა. კვლავ იზრდება ტანკერ-გაზმატარებლების ფლოტიც, ამასთან ტიპიური ტანკერის ტევადობაც აგრეთვე გაიზარდა 10-15 ათასი მ-3-დან 80-100-მდე, ხოლო შემდეგ 120-130-მდე, მისი 165-მდე გაზრდის პერსპექტივით, შემდგომში კი 200.

1990-იანი წლების ბოლოს გათხევადებული ბუნებრივი გაზის წარმოება მოგვარდა უკვე საკმაოდ ბევრ ქვეყანაში, ამასთან მათგან 15-20-მა მიაღწია მეტნაკლებად მნიშვნელოსან ზომებს. საზღვარგარეთის ევროპაში ასეთი ქვეყნებია დიდი ბრიტანეთი და ნორვეგია, საზღვარგარეთის აზიაში კი ინდონეზია, მალაიზია, საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბეთის ემირატები, კატარი, ჩინეთი, ინდოეთი, აფრიკაში – ალჟირი, ეგვიპტე და ლიბია, ჩრ. ამერიკაში – აშშ და კანადა, ლათინურ ამერიკაში – მექსიკა, ვენესუელა და ბრაზილია; მათ რიცხვში შედის ავსტრალიაც. ჩამოთვლილ ქვეყანათა უმეტესობა

არა მარტო აწარმოებს, არამედ გბგ-ის ექსპორტსაც ახდენს

გბგ-ის ძირითადი ექსპორტიორები იყვნენ და რჩებიან განვითარებადი ქვეყნები პირველ რიგში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, მაგრამ ასევე აფრიკის და სამხრეთ-დასავლეთ აზიის, მაშინ როცა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების წილი მსოფლიო ექსპორტში არ აღწევს 1/10-საც კი. ბუნებრივია, ამ ნაწილობრივი მაჩვენებლების უკან დგას ცალკეული ქვეყანა. 1990-იანი წლების ბოლოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან ექსპორტს უზრუნველყოფდა ინდონეზია, მალაიზია, ბრუნეი, აფრიკიდან – ალჟირი და ნიგერია, სამხ.-დასავლეთ აზიიდან – კატარი და აბუდაბი. დასავლეთის ქვეყნებს შორის გბგ-ის ექსპორტიორებს მიეკუთვნება მხოლოდ აშშ და ავსტრალია. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ წამყვანი ქვეყანა ექსპორტიორების ეს ჯგუფი არ რჩება უცვლელი. უკვე XX-XIს მიჯნაზე მასში შევიდა კიდევ რამდენიმე ქვეყანა (კატარი, ნიგერია, ტრინიდადი და ტობაგო).

გბგ-ის ექსპორტიორ ქვეყანათა ჯგუფის გვერდით ჩამოყალიბდა საკმაოდ მდგრადი იმპორტიორ ქვეყანათა ჯგუფი. ეს უპირველეს ყოვლისა, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებია იაპონია (გბგ-ის მთელი მსოფლიო იმპორტს 1/2-ზე მეტი), კორეის რესპ. და ტაივანის კუნძ., აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქვეყნები საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, ბელგია, ჩვეულებრივ ამ ჯგუფში რთავენ თურქეთსაც. გბგ-ის იმპორტირებას ცოტაოდენ აშშ-იც ახდენს. ამ ქვეყნებიდან ზოგიერთს (იაპონიას, კორეის რესპუბლიკას, კუნძ. ტაივანს) ბუნებრივი გაზი მხოლოდ გათხევადებული სახით შემოაქვს, სხვები კი (საფრანგეთს, ბელგიას რომ აღარაფერი ვთქვათ აშშ-ზე), გბგ-ის იმპორტთან ერთად უპირატესად ორიენტირებას ახდენს "გაზსადენების" გაზის იმპორტზე.

გეოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ გბგ-ის ექსპორტის და იმპორტის ცალკეული რაიონები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთად ქმნის საერთაშორისო გაზსატრანსპორტო სისტემებს, რომელთაგან თითოეული თავის თავში მოიცავს მთელ საწარმოო ჯაჭვს ბუნებრივი გაზის მოპოვებიდან დან-

იშნულების ადგილზე მომხმარებლებთან მიწოდებამდე. XXI საუკუნის დამდეგს მსოფლიო მეურნეობაში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი გაზსატრანსპორტო სისტემა აზიურ-წყნაროკეანური სისტემა და აფრიკულ-დასავლეთევროპული.

**აზია წყნარი ოკეანის რეგიონის გაზსატრანსპორტო სისტემა** – ყველაზე მძლავრი და განშტოებული უზრუნველყოფს გბგ-ის მთელი მსოფლიოს საექსპერტო-საიმპორტო მიწოდებათა 1/2- ზე მეტს. ამ რეგიონში ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი იყო და არის ინდონეზია, რომელიც თავისი გაზის საბადოების საფუძველზე შექმნა გაზკონდენსატური ქარხნები ბონტანგაში, კუნძ. კალიმანტანის აღმოსავლეთ სანაპიროზე (ეს ქარხანა 20 მლნ. ტ. გბგ-ის მწარმოებლობით წელიწადში მსოფლიოში ყველაზე მსხვილად ითვლება) და კუნძ. სუმატრის ჩრდილოეთით. მალაიზიის და ბრუნეის გაზკონდენსანტური ქარხნები აგრეთვე მდებარეობს კუნძულ კალიმანტაზე, მხოლოდ მის ჩრდილოეთ სანა-პიროზე. ამ ქარხნების ტერმინალებს აკავშირებს "გაზის ხიდები" რამდენიმე გაზმიმღებ ტერმინალთან, რომლებიც მდებარეობს იაპონიის კუნძულ ჰონსიუზე, წყნარი ოკეანის

სანაპიროზე. გბგ-ის მიწოდება ინდონეზიიდან კორეის რესპუბლიკაში დაიწყეს 1980-იანი წლების შუა ხანებში, ხოლო ტაივანში 1990-იანი წლების დამდეგს. შემდეგ კორეისთვის მიწოდებაში ჩაერთო მალაიზიაც. მეორე "გაზის ხიდი" აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში (აწრ) ჩამოყალიბდა აბუ-დაბის ემირატსა და იაპონიას შორის. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც 1970-იანი წლების შუა ხანებში სპარსეთის ყურის პატარა კუნძულ დასზე ააგეს ბუნებრივი გაზის გასათხევადებლად ქარხანა. იქ გაზს აწვდიდნენ ორი შელფური საბადოდან. 1990-იანი წლების ბოლოს აბუ-დაბის მაგალითს მიბაძა კატარმა, რომელიც გბგ-ის ქარხნები და ტერმინალი ააგო იაპონიასა და კორეის რესპუბლიკაში მათხევადებული გაზის საექსპორტოდ.

აზიაწყნარი ოკეანის რეგიონს კიდევ ორი "გაზის ხიდი" შეიძლება მივაკუთნოთ. ისინი აერთიანებს იაპონიას, მსოფლიოში გბგ-ის ყველაზე მსხვილ მომხმარებელს, ერთი უკავშირდება ალასკას მეორე – ავსტრალიას. ალასკაზე აგებული ქარხანა და გბგ-ის ტერმინალი ანკორიჯის ახლოს აგებულ იქნა 1960-იანი წლების ბოლოს და მაშინვე ტანკერ-გაზმ-

ატარებლებმა აქედან დაიწყო გათხევადებული ბუნებრივი გაზის მიწოდება კუნძულ ჰონსიუს სანაპიროზე.

ამ "გადაბმის" შექმნას ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა. უპირველეს ყოვლისა, იაპონიის პოლიტიკამ, რომელიც დიდი ხანია მიზნად ისახავდა თავისი გაზის იმპორტის მაქსიმალურ დივერსიფიკაციას; მეორე, თვით ალასკაზე გბგ-ის მსხვილი მომხმარებლების პრაქტიკულმა არსებობამ. მესამე, აშშ-ის წყნარი ოკეანის შტატების დაუინტერესებლობამ, რადგან ისინი ორიენტირებული იყო ადგილობრივ გაზსა და გაზის მიწოდებაზე კანადიდან გაზსადენების მეშვეობით გბგ-ის ალასკადან მიღებაში. რაც შეეხება ამ გბგ-ის ტრანსპორტირებას აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე პანამის არხით, ეს ვარიანტი ძალზე ძვირი აღმოჩნდა. იაპონურ ბაზარზე კი გბგ ალასკიდან სავსებით კონკურენტუნარიანი აღმოჩნდა; განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ იაპონური კაპიტალი მონაწილეობდა ამ ამერიკული შტატის გაზის საბადოების დამუშავებაში.

“გაზის ხიდი” ავსტრალიასა და იაპონიას შორის უკვე 1990-იან წლებში ჩამოყალიბდა. იგი აკავშირებს გაზკონდენსანტურ ქარხანას კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს იაპონურ კუნძულ ჰონსიუს ტერმინალთან და ქარხანასთან.

## აფრიკულ – დასავლეთევროპული გაზსატრანსპორტო სისტემა

გააჩნია პრიორიტეტი წარმოშობის დროსთან დაკავშირებით, მაგრამ მიწოდებათა მოცულობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სისტემას. მისი წარმოშობა განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით: პირველ რიგში, რესურსულით, რომლის გავლენა ერთის მხრივ გამოვლინდა დასავლეთ ევროპის უმეტესი ქვეყნის ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფის უკმარისობით და მეორე მხრივ გაზის დიდი ჭარბი რესურსების არსებობით ჩრ. აფრიკის ქვეყნებში უპირველესად ალჟირსა და ლიბიაში, რომელთა საკუთარი მოთხოვნები ამ სახ-

ის სათბობში დიდი არაა. მეორე, ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდგომარეობით ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ჩრ. აფრიკის ქვეყნების შედარებითი სიახლოვით ევროპის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილთანაც კი.

წამყვანი ქვეყანა, რომელიც ჩრ. აფრიკაში გათხ-

ევადებული გაზის ექსპორტიორია ალჟირი. მან პირველმა დაიწყო გბგ-ის მნიშვნელოვანი ექსპორტი საფრანგეთში, ესპანეთსა და ბელგიაში. ამ თვალსაზრისით იქვე მეორე ქვეყანაა – ლიბია, მაგრამ მისი მიწოდებების მაშტაბი დასავლეთ ევროპისთვის არც ისე დიდია და იგი მხოლოდ ესპანეთშია მიმართული. 1990-იანი წლების ბოლოს გბგ-ის ექსპორტიორებს მიემატა კიდევ ერთი აფრიკული ქვეყანა – ნიგერია, სადაც გაზის გასათხევადებლად აშენდა ქარხანა პორტხარკორტში და გაზსაექსპორტო ტერმინალი ბონში. გბგ-ის ექსპორტიორებისთვის ემზადება ეგვიპტეც.

გარდა ამ ორი გაზსატრანსპორტო სისტემისა, არსებობს სხვა მსგავსი "გადაბმები" თუმცა ისინი მნიშვნელოვნად მცირე ზომებისაა.

სპეციალისტთა უმრავლესობა გბგ-ის წარმოების და საერთაშორისო ვაჭრობის პერსპექტივებს საკმაოდ ხელსაყრელად მიიჩნევს. წამყვანი როლი კვლავ აწრის ქვეყნებს ეკისრება; პროგნოზების თანახმად 2010 წლისთვის გბგ-ის მიწოდება შეიძლება გაიზარდოს 130-150 მლნ. ტ-მდე. გბგ-ის ექსპორტიორთა რიცხვს მომავალში შეიძლება შეუერთდეს ახალი ქვეყნები როგორებიცაა: **ნორვეგია, ირანი, იემენი, ვენესუელა, პაპუა-ახალი გვინეა,** ხოლო ქვეყანა – იმპორტიორებს დაემატება **ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ტაილანდი.**

რუსეთში, რომელიც ყოველთვის ორიენტირებული იყო ქსელურ გაზე, გათხევადებული ბუნებრივი გაზის გამოყენება 1990-იანი წლების ბოლომდე ფართო გავრცელებას არ პოვებდა, თუმცა გაზის მრეწველობის განვითარების შემდგომი სტრატეგია ითვალისწინებს გბგ-ის წარმოების განვითარებას, რომელიც უკვე დაწყებულია შელფური საბადოების ბაზაზე სახალინის ჩრ. ნაწილში. ეს გაზი გათვალისწინებულია როგორც ექსპორტისათვის ასევე შიდა მოხმარებისათვის შორეულ აღმოსავლეთში.

# მსოფლიო ოკეანეში ნავთობის და ბუნებრივი გაზის მოპოვება

ნავთობის და ბუნებრივი გაზის მოპოვებას მსოფლიო ოკეანის აკვატორიებში უკვე საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ზღვიდან ნავთობის მოპოვებას პრიმიტიული ხერხებით ჯერ კიდევ XXI ს-ში აწარმოებდნენ რუსეთში (კასპიის ზღვაზე), აშშ-სა (კალიფორნიაში) და იაპონიაში. ზღვიდან ნავთობის და გაზის მოპოვების ნამდვილად სწრაფი ზრდა 1960-იან წლებში დაიწყო. კიდევ უფრო მეტი გაქანება პოვა მან 1970-1980-იან წლებში. 1970 წელს ასეთი ქვეყანა იყო მხოლოდ 20, ხოლო 1990-იანი წლების დამდეგს უკვე 50-ზე მეტი. შესაბამისად იზრდებოდა ნავთობის ზღვიდან მსოფლიო მოპოვებაც. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზღვიდან ნავთობის მოპოვების ასეთი ზრდა განპირობებული იყო ორი ძირითადი ფაქტორით. ჯერ ერთი, 1970-იანი წლების შუა ხანების ენეგეტიკული კრიზისის შემდეგ, რამაც ნავთობის მკვეთრი გაძვირება გამოიწვია, ინტერესი გაიზარდა შელფური აუზების და საბადოების მიმართ, რომელთაც მანმადე არც ისე ფართოდ იყენებდნენ. ისინი ნაკლებად იყო გამოლეული და გარ-

კვეულ ეკონომიკურ მოგებას ჰპირდებოდა მომპოვებელთ, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ნავთობის და გაზის ზღვიდან მოპოვება **რესურსული საზღვრების გაფართოების** მაშინდელი პოლიტიკის მკაფიო მაგალითი გახდა და მეორე ზღვის საბადოების მსხვილმაშტაბიანი ათვისება შესაძლებელი გახდა მთელი რიგი ტექნიკური სიახლეების წყალობით და უპირველესად საბურღი პლატფორმების გამოყენებით.

ასეთი პლატფორმებით ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დამდეგს გაიბურღა დაახლოებით 40 ათასი ზღვის ჭაბურღილი, ამასთან ბურღვის სიღრმე მუდამ იზრდებოდა. ჯერ კიდევ 1980-იანი წლების დამდეგს ზღვის ნავთობის 85%-ს იღებდნენ 100მ-მდე სიღრმეებში, ბურღვა 200მ სიღრმეზე საერთოდ არ ხდებოდა. 1990-იანი წლების შუა ხანებში მაქსიმალური ბურღვის სიღრმე 1000მ-მდე გაიზარდა, ხოლო 1998წ-ს 1800მ-მდე. ამჟამად ბურღვის სიღრმე უკვე 3000მ-ია და კიდევ მეტი. სიღრმის ზრდასთან ერთად რეწვა ნაპირიდან სულ უფრო შორს ხდება. თავდაპირველად ასეთი დაშორება 10-15 კმ-ს არ აჭარბებდა, შემდეგ 50-100 კმ-ს ახლა კი 400-500 კმ-ს აღწევს. ფაქტ-

ობრივად ეს ნიშნავს, რომ მას უკვე შეუძლია გასცდეს კონტინენტურ შელფს.

ბოლო ხანებში ზღიდან ნავთობის მოპოვების ტემპები შემცირდა. საქმე ისაა, რომ ენერგეტიკული კრიზისის დაძლევის შემდეგ როცა ახალ საკმაოდ იაფი ნავთობის მოპოვების ხანგრძლივ სტადიაში შევედით მრავალი შელფური საბადოს დამუშავების გაგრძელება განსაკუთრებით მაღალ განედებში უბრალოდ არარენტაბელური გახდა მისი დიდი თვითღირებულების გამო ხმელეთთან შედარებით.

მთლიანობაში ზღვის აკვატორიებში ჭაბურღილების ბურღვა ბევრად ძვირია ვიდრე ხმელეთზე, ამასთან იგი სულ უფრო ძვირდება, რაც მოპოვების სიღრმე მატულობს. ბურღვაზე დანახარჯები 20-30მ სიღრმეზე 2-ჯერ აჭარბებს ანალოგიურ დანახარჯებს ხმელეთზე. ბურღვის ღირებულება 50მ-ზე 3-4 ჯერ იზრდება, 200მ-ზე კი 6 ჯერ. ბურღვის დანახარჯები მარტო სიღრმეზე კი არა სხვა ბუნებრივ ფაქტორებზეცაა დამოკიდებული, მაგ. არქტიკის პირობებში იგი უფრო ძვირ-ია (15-16-ჯერ), ვიდრე სუბტროპიკებში.

## მსოფლიო ელექტროენერგეტიკა

ელექტროენერგეტიკა სათბობ-ენერგეტიკული კომ-პლესის შემადგენლობაში შედის ქმნის რა მასში ე.წ "ზედა სართულს". შეიძლება ითქვას რომ იგი წარმოადგენს მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთ საბ-აზო დარგს. მისი როლი აიხსნება ადამიანური მოღ-ვაწეობის ყველაზე სხვადასხვა სფეროს ელექტროფ-იკაციის აუცილებლობით, ამიტომაც მსოფლიოს სა-თბობ-ენერგეტიკული ბალანსის ელექტროფიკაციის დონე, რომელიც იზომება პირველადი ენერგო რესუ-რსების რაოდენობით, რაც ელექტროენერგიის წარმ-ოებაზე იხარჯება სულ უფრო და უფრო იზრდება განვითარებულ ქვეყნ-ებში უკვე 2/5-ს გადააჭარბა.

## ელექტროენერგიის მსოფლიო წარმოების დინამიკა

XX საუკუნის მე-2 ნახევარში ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა თითქმის 15-ჯერ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ელექტროენერგიაზე მოთხო-ვნის ზრდის ტემპები აჭარბებდა პირველად ენერგო-

რესურსებზე მოთხოვნის ზრდის ტემპებს. შესაბამისად ისინი 1990-იანი წლების პირველ ნახევარში შეადგენდა 2.5% და 1.5%-ს წელიწადში.

პროგნოზების თანახმად 2010 წლისათვის ელექტროენერგიის მსოფლიო მოხმარება შეიძლება გაიზარდოს 18-19 ტრლნ კვტ/სულზე ხოლო 2020 წ-თვის 26-27 ტრლნ კვტ.-მდე სულზე. შესაბამისად გაიზარდა მსოფლიოს ელექტროსადგურთა დადგენილი სიმძლავრეებიც რომელთა დონემ უკვე 1990-იანი წლების შუა ხანებში 3 მლრდ კვტ-ს გადააჭარბა.

ქვეყნების სამ ძირითად ჯრუფს შორის ელექტროენერგიის გამომუშავება გადანაწილდება შემდეგი სახით: ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების წილად 65% მოდის განვითარებადის 22% და გარდამავალი ეკონომიკის მქონეთა 13%. ვარაუდობენ, რომ პერსპექტივაში განვითარებადი ქვეყნების წილი გაიზრდება და 2020 წლისათვის ისინი გამოიმუშავებს მსოფლიო ელექტროენერგიის დაახლოებით ნახევარს.

ელექტროენერგიის მსოფლიო წარმოების გადანაწილება მსხვილ გეოგრაფიულ რეგიონებს შორის

აგრეთვე თანდათანობით იცვლება. ასე მაგ. 1950წ. ჩრ. ამერიკის წილად მოდიოდა 46%, დასავლეთ ევროპის 25, აღმოსავლეთ ევროპის (სსრკ-თან ერთად) 14, აზიის 10, ლათინური ამერიკის, ავსტრალიის და ოკეანეთის 2-2 და აფრიკის წილად 1%. 1990-იანი წლების ბოლოს ჩრ. ამერიკის წილი 30%-მდე შემცირდა, დასავლეთ ევროპის 19-მდე, აღმოსავლეთ ევროპის (დსთ-თან ერთად) 11 %-მდე, მაშინ როცა აზიის წილი 30%-მდე გაიზარდა, ლათინური ამერიკის 5-მდე აფრიკის თითქმის 3%-მდე ავსტრალიის და ოკეანეთის წილი კი უცვლელი დარჩა. პროგნოზების თანახმად 2010წ. ელექტროენერგიის მოხმარება ჩრ. ამერიკასა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში გაუტოლდება დაახლოებით 6ტრ-ლნ კვტ/სულზე. დასავლეთ ევროპაში იგი შეადგენს 2800 მლრდ კვტ სულზე ლათინურ ამერიკაში 1350 მლრდ-ს აფრიკაში 550მლრდ-ს ახლო და შუა აღმოსავლეთში 350 მლრდ კვტ სულზე.

რეგიონების ასეთ წესრიგს გარკვეულწილად განაპირობებს ელექტროენერგიის მთავარი ქვეყანა მწარმოებლები. ელექტროენერგიის წარმოების მაჩვენებელი მოსახლეობის 1 სულზე გათვლით არის

ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ ქვეყანას ვინაიდან იგი ყველაზე მეტად ასახავს ელექტროფიკაციის ხარისხს მის ეკონოკმიკაში. ეს მაჩვენებელი მთელი მთელი მსოფლიოსთვის თანდათანობით იზრდება და ამჟამად შეადგენს დაახლოებით 2500 კვტ-ს სულზე. სულადობრივი გამომუშავება რომელიც ამ საშუალო რაოდენობრივ მიჯნას აჭარბებს უკვე აქვს მსოფლიოს 55 ქვეყანას, როგორც მოსალოდნელი იყო მათ შორის ჭარბობს ეკონომიკურად განვითარებული ჩრ. ამერიკის (კანადა 16-ათასზე მეტი კვტ/სულზე, აშშ დაახლოებით 13 ათასი) საზღვარგარეთული ევროპის (საფრანგეთი დაახ. 9 ათასი ერმანია დაახ. 7 ათასი). ქვეყნები იაპონია, (8 ათასზე მეტი კვტ/სულზე) მაგრამ მათ შორის "მსოფლიოს ჩემპიონად" რჩება ნორვეგია სადაც სულზე ელექტროენერგიის წარმოების მაჩვენებელი 26 ათას კვტ-ს აჭარბებს სულზე. განვითარებად მსოფლიოში საშუალო მსოფლიო დონეზე მეტი სულადობრივი გამომუშავება აქვს ძალიან ცოტა ქვეყანას ძირითადად ნავთობმომპოვებლებს (ქუვეითი-დაახლოებით 14 ათასი კვტ სულზე) კატარი – 10 ათასი შაუდის არაბეთი გაერთ. არაბე-

თის ემირატები, ბაჰრეინი – 6 – 7.5 ათასი, მაგრამ ამ ქვეყნების უმრავლესობას ელექტროენერგიის სულადობრივი გამომუშავება ძალზე ცოტა აქვს 1000 კვტ სულზე და ამაზე ნაკლებიც კი.

ელექტროენერგიის წარმოების სტრუქტურა ასევე უცვლელი რჩება XX საუკუნის შუა ხანებამდე აქ ჭარბობდა ნახშირზე მომუშავე ელ-სადგურები, ჰესების მცირედი დანამტები. დღეს სურათი ასეთია: ელექტროენერგიის მსოფ. წარმოების თითქმის 2/3 მოდის სათბობ ენერგეტიკულ სადგურებზე და 1/5 – 1/6 კი ჰესებსა და ატომურ ელ – სადგურებზე, პროგნოზების თანახმად სათბობ ენერგეტიკულ სადგურებზე სათბობის გამოყენების სტრუქტურა პერსპექტივაში რამდენადმე შეიცვლება: 2010 წ. გაზის წილი შეიძლება გაიზარდოს 17 – 24% ხოლო მაზუთის შემცირდება 6-7%-მდე.

სხვადასხვა ბუნებრივი და ეკონომიკური მიზეზების გამო ელექტროენერგიის წარმოების მაჩვენებლები მსოფ. მსხვილ რეგიონებში შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს საშუალო მსოფ. მაჩვენებლისგან. მსგავსი სტრუქტურული კონტრასტები კი-

დევ უფრო მკაფიოდ ვლინდება ცალკეული ქვეყნებ-ის მაგალითებზე. ამ თვალსაზრისით ისინი შეიძლე-ბა დაიყოს სამ დიდ ჯგუფად.

პირველი ჯგუფის ქვეყნებისთვის დამახასიათებე-ლია ელექტროენერგიის გამომუშავება სათბობ ენე-რგეტიკული სადგურებში, რომლებიც მუშაობს ნახ-შირზე, მაზუთსა და ბუნებრივ გაზე. ამ ჯგუფს მიე-კუთვნება აშშ, საზღვარგარეთის ევროპის უმეტესი ქვეყანა და დსთ, ასევე იაპონია, ჩინეთი, ინდოეთი, ავსტრალია და სხვა. განსაკუთრებულ ქვეჯგუფს ქმნის ის ქვეყნები, რომლებშიც სათბობენერგეტიკუ-ლი სადგურები იძლევა მთელი ელექტროენერგიის 95-100%.-ს. ესენი ტიპიურად ან ნახშირის (პოლონე-თი, სამხ.აფრ. რესპ.) ან ნავთობგაზის ქვეყნებია (სა-უდის არაბეთი, ქუვეითი, ომანი, ერაყი, ლიბია, ალჟ-ირი, ტობაგო, თურქმენეთი) ან ის ქვეყნებია რომლე-ბიც ორიენტირებულია შემოტანილ სათბობზე (დან-ია, ირლანდია, ბელორუსია, მოლდავეთი, ისრაელი, იორდანია, სინგაპური, სომალი, კუბა) გარდა ამისა ამ ქვეჯგუფში შედის დაახლოებით 40 მცირ, უპირა-ტესად კუნძულოვანი ქვეყანა. მათ ძირითად ყველას

შემოაქვს სათბობი თავიანთი ელექტროსადგურებისთვის.

თანამედროვე უმსხვილეს სათბობენერგეტიკულ სადგურებს აქვს 4/5 მლნ კვტ სიმძლავრე. ყველა ეს სადგური ძირითადად მდებარეობს ისეთ ადგილებში, სადაც უფრო ადვილია ენერგეტიკული ნახშირის, ნავთობის თუ გაზის მიწოდება.

მეორე ჯგუფში შედის ის ქვეყნები სადაც ჰიდროენერგეტიკა ჭარბობს ისინი 50 მეტია საზღვარგარეთის ევროპაში და საზღვარგარეთის აზიაში შედარებით ცოტაა. სამაგიეროდ აფრიკაში ასეთი ქვეყანა 20 მეტია, ამასთან ზოგიერთ მათგანში (ზამბია, მოზამბიკი, კამერუნი და ა.შ.) ფაქტობრივად მთელი ელექტროენერგია გამომუშავდება ჰესებზე. რაც შეეხება ლათინურ ამერიკას, ამ ქვეყნებში ჰიდროენერგეტიკა განმსაზღვრელია, გამონაკლისია მექსიკა და არგენტინა. ჩრ. ამერიკის ქვეყნებიდან მეორე ჯგუფში შედის კანადა, ოკეანეთის ქვეყნებიდან ახალი ზელანდია, დსთ-ს ქვეყნებიდან ტაჯიკეთი, საქართველო, ყირგიზეთი.

უმსხვილეს თანამედროვე ჰესებს 5-6 მლნ. კვტ-ს სიმძლავრე აქვს, ზოგიერთს კი 10-12მლნ. კვტ-ც კი.

ჯერ კიდევ 180-იანი წლების ბოლოს მსოფ. მოქმედი 110 ჰესიდან სიმძლავრით კვტ-ნახევარი დასავლეთის ქვეყნებში იყო, განსაკუთრებით აშშ-სა და კანადაში, 1/3 განვითარებად ქვეყნებში, ხოლო დანარჩენი სოციალისტურ ქვეყნებში. თუმცაღა ბოლო დროს ძალიან მსხვილ ჰესებს არც საზღვარგარეთის ევროპაში და არც ჩრ. ამერიკაში უკვე აღარ აშენებენ, გადავიდნენ რა ჰიდროაკუმლატორული ელექტროსადგურების მშენებლობაზე, ასევე მცირე და დაბალწნევიან ჰესებზე. მიუხედავად ამისა ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის შემდგომი ათვისება ენერგეტიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება. დაბოლოს მესამე ჯგუფს ქმნის ის ქვეყნები, რომლებშიც ჭარბობს ატომურ ელექტროსადგურში გამომუშავებული ელექტროენერგია, ესენია უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთი, ბელგია, სლოვაკეთი, სლოვენია და ლიტვა.

ელექტროენერგიით ვაჭრობის საერთო მოცულობა შეადგენს დაახლოებით 500მლრდ კვტ-ს სულზე წელიწადში ანუ მისი შეჯამებული წარმოების 3.5%-ს. ელექტროენერგიის მსხვილ ექსპორტიორებს მიეკუთვნება საფრანგეთი, კანადა, პარაგვაი, გერმანია, ხოლო იმპორტიორებს უპირველეს ყოვლისა აშშ, გერმანია, იტალია, ბრაზილია, შვეიცარია.

რუსეთი ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრით მსოფლიოში მხოლოდ აშშ-ს ჩამორჩება. იგი ფლობს 440 სითბურ და ჰიდრავლიკურ ელექტროსადგურს, რომელთა სიმძლავრე შესაბამისად 132 მლნ და 44 მლნ კვტ-ია, ასევე 9 ატომურ ელსადგურს, სიმძლავრით 22 მლნ კვტ. ეს სადგურები, რომელთა ძაბვა 220 კვ–ზე მაღალია მათი საერთო სიგრძე კი 150 ათას კმ-ს შეადგენს. რუსეთის ყველა ელსადგურის დაახლოებ-ით 4/5 ქმნის ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემას. რუსეთის ენერგეტიკა ყოველთვის ვითარდებოდა სწრაფი ტემპებით, თუმცა 1990-იან წლებში მისი ზრდის ტემპი შენელდა, ძირითადად კაპიტალდაბანდებათა მკვეთრი შემცირების გამო. რუსეთის ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები დაკავშირებულია მთელი რიგი რთუ-

ლი პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობასთან. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მისი ძირითადი ფონდების 2/3-ზე მეტი გაცვეთილია და მათი რეკონსტრუქციისათვის საჭიროა დაახლოებით 20 მლრდ დოლარი. თუ ასეთი რეკონსტრუქცია არ ჩატარდება ქვეყანა ელ. ენერგიის დიფიციტს შეიძლება შეეჯახოს. აი ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება რეფორმაზე რუსეთის ერთ-ერთი უმსხვილეს ბუნებრივ მონოპოლიასთან "რაო ეეს რუსეთთან" დაკავშირებით.

## მსოფლიოს ატომური ენერგეტიკა

ატომური (ბირთვული) ენერგეტიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც მსოფლიო ენერგეტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვედარგი, რომელმაც მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ელ. ენერგიის წარმოებაში. განსაკუთრებით ეს ეხება პლანეტის იმ რეგიონებს სადაც არაა ან თითქმის არაა საკუთარი პირველადი ენერგეტიკული რესურსები. თანამედროვე ატომური სადგუები გამომუშავებული ელ-ენერგიის თვითღირებულებით

უკვე სავსებით კონკურენტუნარიანია სხვა ტიპის ელ-სადგურებისგან ისინი იმით განსხვავდება რომ ატმოსფეროს არ აბინძურებს გამონაბოლქვებით, რაც ნამდვილად მათი ღირსებაა.

გასაკვირი არაა, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო ატომური ენერგეტიკა გადაიქცა მსხვილ დარგად, მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად. ჯერ კიდევ 1970წ მსოფლიოს ყველა ატომურმა ელ-სადგურმა გამოიმუშავა ელ-ენერგიის მხოლოდ 85 მლრდ კვტ სულზე, მაგრამ უკვე 1980წ-ს დაახლოებით 700 მლრდ, ხოლო 1990 წ-ს 1800 მლრდ, 2002წ-ს კი თითქმის 2700 მლრდ კვტ სულზე. იმავდროულად იზრდებოდა მსოფლიოს ატომურ ელ-სადგურთა შეჯამებული სიმძლავრეც.

ატომური ენერგეტიკის სწრაფი ზრდის პირველი პროგრამები შეიმუშავეს ჯერ კიდევ მე-20-ს-ის 50-60-იან წლებში აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, სსრკ-ში, შემდეგ გფრ-ში, იაპონიაში, მაგრამ უმეტესწილად ისინი ვერ შესრულდა, ეს უპირველეს ყოვლისა, ატომური ელსადგურების არასაკმარისი კონკურენტუნ-

არიანობით აიხსნებოდა სათბობ ელსადგურებთან შედარებით, რომლებიც ნახშირზე, მაზუთსა და გაზეც მუშაობდა.

მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისის დაწყებამ, რამაც მკვეთრად გააძვირა ნავთობი, ატომური ენერგეტიკის შანსები სწრაფად გაზარდა. პირველ რიგში, ეს ეხება იმ ქვეყნებს, რომელთაც არა აქვს ნავთობის და გაზის დიდი რესურსები, ზოგჯერ კი ნახშირი. ასეთებია: საფრანგეთი, გფრ, ბელგია, შვედეთი, ფინეთი, იაპონია, კორეის რესპუბლიკა. ისე კი ატომური ენერგეტიკის განვითარების მსხვილი პროგრამები მიიღეს მინერალური სათბობით ისეთ მდიდარ ქვეყანებში როგორიცაა: აშშ და სსრკ.

1970-იანი წლების ბოლოს დასავლეთის ბევრი ექსპორტი მიიჩნევდა, რომ XXI ს-ის დამდეგს სიმძლავრეს შეიძლება 1300-1600 მლნ კვტ-თვის მიღწია, ანუ ყველა ელსადგურის შეჯამებული სიმძლვრის დაახლოებით ნახევრისათვის, ხოლო თავად აეს-ი გაჩნდებოდა მსოფლიოს 50 ქვეყანაში. "მირეკ"-ის მე-10 სესიაზე განიხილებოდა პროგნოზი 2020 წ., რომლის თანახმადაც, ატომური ენერგეტიკის წილი

სათბობის და ენერგიის მსოფლიო მოხმარებაში იქ-ნებოდა 30%.

მაგრამ უკვე 1980-იანი წლების შუა ხანებში ატ-ომური ენერგეტიკის ზრდის ტემპები კვლავ შენელ-და. ეს მიზეზთა კომპლექსით აიხსნება. მათ შორის ენერგომომარაგების პოლიტიკის წარმატებები, ნავთ-ობის თანდათანობით გაიაფება და განსაკუთრებით აეს-ის ნაგებობათა ეკოლოგიური შედეგების გადა-ფასება. ეს გადაფასება მოხდა ამერიკის აეს "თრი მეილ აილენდ"-ზე ავარიის შემდეგ განსაკუთრებით კი ჩერნობილის აეს-ზე კატასტროფის მერე (1986წ), რომელიც შეეხო უკრაინის, ბელორუსიის და რუსე-თის 11 ოლქს ანუ 17 მილიონ ადამიანს. ამ ავარიამ გამოიწვია რადიაციის მომატება 20 ქვეყანაში, 2000 კმ-ის რადიუსში ჩერნობილიდან. ჩრ.-დასავლეთით რადიოაქტიურმა ნელექებმა მიაღწია ნორვეგიის ჩრ. რაიონებს, დასავლეთით მდ. რეინს, სამხრეთით სპა-რსეთის ყურეს.

აი ამიტომაც ატომური ენერგეტიკის განვითარე-ბა აშკარად შენელდა, თუმცა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკა ამ დარგის მიმართ სრულიადაც არ აღმ-

ოჩნდა ერთნაირი. ამ პოზიციიდან ისინი შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ასე ვთქვათ ქვეყანა „უარმყოფლები", რომლებმაც საერთოდ გააუქმეს თავიანთი ატომური პროგრამები და მიიღეს გადაწყვეტილება აეს-ების სასწრაფო ან თანდათანობით დახურვაზე, ასე მაგ. ავსტრიაში დააკონსერვეს უკვე დამთავრებული აეს-ი ვენის ახლოს. იტალიაში 1987 წლის რეფერენდუმის შემდეგ 3 აეს-ი დახურეს, მეოთხე კი თითქმის დამთავრებული გადააკეთეს სათბობ. ენერგეტიკლ ელსადგურად და ა.შ. ასევე მოხდა შვედეთში, სადაც 12 მოქმედი ატომური რეაქტორი დახურეს 2010 წ-მდე. არადა ეს ქვეყანა ატომური ელენერგიით 1 სულ მოსახლეზე პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში.

მეორე ჯგუფს შეიძლება მივაკუთნოთ ის ქვეყნები, რომლებმაც არ დაშალეს თავიანთი აეს-ები, მაგრამ გადაწყვიტეს ახლები აღარ აეშენებინათ. ამ ჯგუფში ხვდება აშშ და საზღვარგარეთი ევროპის უმეტესი ქვეყანა, სადაც 1990-იან წლებში ფაქტობრივად აღარ დაწყებულა არც ერთი ახალი ატომუ-

რი სადგურის მშენებლობა. მასში ასევე შედიან რუ-
სეთი და უკრაინა.

მესამე ჯგუფში ძალზე მცირერიცხოვანია. მასში
შედის ის ქვეყნები რომელნიც მიუხედავად ყველა-
ფრისა კვლავინდებურად ახორციელებენ თავიანთ
ფართომაშტაბიან ატომურ ენერგეტიკულ პროგრამ-
ებს (საფრანგეთი, იაპონია, კორეის რესპ.) ან იღე-
ბენ მათ ხელახლა (ჩინეთი, ირანი).

ამ სამი ჯგუფის შემადგენლობა არ რჩება
უცვლელი, ასე მაგალითად ბოლო ხანებში ამა თუ
იმ მიზეზის გამო რამდენიმე ქვეყანამ გადახედა
თავიანთ ნეგატიურ დამოკიდებულებას ატომური
ელსადგურის მშენებლობაზე: ესენია: იტალია, ესპა-
ნეთი, შვედეთი, ხოლო 2002 წ-ს აშშ-მ მწყობრში
ჩააყენა თავისი პირველი აეს-ი. რუმინეთმა და კან-
ადამ კი პირიქით დაიწყეს ზოგიერთი შეზღუდვის
განხორციელება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანწილად
ეხება ეს გერმანიას. იქ 1998 წლის შემოდგომაზე,
როცა ხელისუფლების სათავეში მოვიდა სოციალ-
დემოკრატთა და "მწვანეთა" კოალიციური მთავრო-
ბა ამ უკანასკნელთა ზეწოლით მიიღეს გადაწყვ-

ეტილება დაეხურათ 20 გერმანული ატომური ენერ-
გობლოკი, რომლებიც ქვეყანაში წარმოებული ელ-
ენერგიის 1/3-ს იძლეოდა. ამ გადაწყვეტილებას ჰყა-
ვდა თავისი მომხრეები და მოწინაღმდეგეებიც, რომ-
ელთაც მიაჩნდათ, რომ ამას შეიძლება ქვეყნისთვის
დიდი ზარალი მიეყენებინა.

ატომურ ენერგეტიკაში საერთო მსოფლიო სიტუ-
აცია XXI-ს-ის დამდეგისათვის შეიძლება დახასია-
თდეს შემდეგი მთავარი მაჩვენებლების დახმარებით.
31 ქვეყანაში 248 აეს-ზე ექსპლოატაციაშია 441 სამ-
რეწველო ატომური ენერგობლოკი. დადგენილი შე-
ჯამებული სიმძლავრით 354 მლნ კვტ-ზე მეტი. ასე-
თი ენერგობლოკები მსოფლიოში წარმოებული ელ-
ენერგიის 18%-ს გამოიმუშავებს. მშენებლობის სტა-
დიაშია კიდევ დაახლოებით 40 ენერგობლოკი 35
მლნ კვტ-მდე სიმძლავრით.

მსოფლიო ატომური ენერგეტიკის გეოგრაფი-
ულ ასპექტს თუ განვაზოგადებთ, შეიძლება ვამტკი-
ცოთ, რომ მსოფლიო ატომური ენერგეტიკა, ხატოვ-
ნად რომ ვთქვათ, ემყარება "სამ ვეშაპს"- ევროპას

(დსთ-ის ჩათვლით), ჩრ. ამერიკასა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონს.

## მსოფლიოს ურანის მრეწველობა

ურანის მრეწველობა, მომუშავე ატომურ ენერგეტიკაზე და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული, მოიცავს ორ ძირითად საწარმოო სტადიას. პირველი მათგანია ურანის მადნის მოპოვება, რომელიც გვხვდება ქვიშაქვის, ფოსფორიან, ძარღვეულ და ზოგიერთი სხვა ტიპის საბადოებში. მათ მოიპოვებენ კარიერების, შახტების, მიწისქვეშა გამოტუტვით, აგრეთვე იღებენ დანამატი პროდუქტის სახით სპილენძის და ოქროს საბადობებში. მეორე სტადია ურანული კონცენტრატების წარმოებაა, რომელთაც სწორედ ატომურ ენერგეტიკაში იყენებენ. ამ წარმოებას ჩვეულებრივ რენტაბელურად მიიჩნევენ თუ კი 1 კგ ურანის ფასი არ აჭარბებს 80 დოლარს.

ურანული კონცენტრატების მსოფლიო წარმოების დინამიკა გამოირჩევა ძლიერი ცვალებადობით. თავის მაქსიმუმს 45 ათას ტ-ს მან 1970-იანი წლების

ბოლოს მიაღწია. ეს იყო ენერგეტიკული კრიზისის დრო, როცა ატომური ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები ყველაზე წარმტაცი ჩანდა, ხოლო 1 კგ ურანის ფასი ავიდა 100 დოლარამდე და ზევით. მაგრამ 1985 წ. დაიწყო ურანზე მოთხოვნის ვარდნა და შესაბამისად მისი წარმოებაც, რომელიც შემცირდა 31 ათას ტონამდე 1994 და 1990-იანი წლების ბოლომდე დაახლოებით ასეთივე დონეზე დარჩა.

ლიტერატურაში ამ ათწლეულს ჩვეულებრივ ახასიათებენ როგორც მსოფ. ურანული მრეწველობის ღრმა კრიზისის დროს და მართლაც მოქმედი ურანის საბადოების საერთო რიცხვი ამ წლების განმავლობაში რამდენჯერმე შემცირდა. დაიხურა ბევრი საბადო დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, აფრიკაში, კანადაში, ხოლო აშშ-ში მათი რიცხვი 343-დან 11-მდე შემცირდა. კრიზისი ორი ძირითადი მიზეზით იყო გამოწვეული, ჯერ ერთი თავად ატომური ენერგეტიკის განვითარების შენელებით, რამაც ურანული ნედლეულის სიჭარბემდე მიგვიყვანა; ურანი დიდი რაოდენობით გროვდება საწყობებში. მეორე "ცივი ომის" დამთავრებით და მსოფლიო ბაზარზე ურანის იმ მარაგების შემოდენით, რაც დაგ-

როვილი იყო კონფრონტაციის მრავალი წლის განმავლობაში, ზესახემწიფოთა სამხედრო უწყებების მიერ.

ამერიკელ სპეციალისტთა შეფასებით, 1993 წ. მსოფლიოში მაღალგამდიდრებული „სამხედრო" ურანის მარაგებმა 1700 ტ შეადგინა რაც დაახლოებით 500 ტ. დაბალგამდიდრებული ურანის ექვივალენტურია. თუკი მთელი ეს ურანი იქნებოდა გამოყენებული სათბობების სახით ატომური ელსადგურებისთვის, 1990-იანი წ. შუა ხანებში, ურანული კონცენტრატების მიმდინარე წარმოებით დაიფარებოდა ბირთვული სათბობის სახით აეს-ის მსოფ. ყოველწლიური მოთხოვნების მხოლოდ ნახევარი, რაც შეფასებული იყო 62-63 ათას ტ, მაშინ როცა მათ დარჩენილ ნაწილს დაფარავდნენ ადრე დაგროვილი მარაგების და იარაღის ურანის გადამუშავების ხარჯზე.

# საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის და მართვის თეორიული საფუძვლები

საერთაშორისო კონფლიქტების პრობლემა არის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ცენტრალური პრობლემა. ეს მართობულია, თუ გავითვალისწინებთ იმ ამოცანას, რაც დგას კაოცბრიობის წინაშე ბოლო ათწლეულებში: – ესაა გლობალური თერმობირთვული კატასტროფის აცილება, ანუ ბრძოლა სიცოცხლისათვის. რადგან ნებისმიერი შეიარღებული ბრძოლა არის პოლიტიკური კონფლიქტის უკიდურესი გამოვლინება, მისი უმაღლესი სტადია.

საერთაშორისო კონფლიქტი – ესაა უშუალო ან თეორიულად ინტერესების დაპირისპირება ორი ან რამოდენიმე მხარის (სახელმწიფოების, სახელმწიფოთა ჯგუფების, პოლიტიკური მოძრაობის), რაც ეფუძნება სუბიექტური თუ ობიექტური ხასიათის უთანხმოებას.

თავისი წარმოშობით წინააღმდეგობები და სახელმწიფოთა შორის პრობლემები შეიძლება იყოს

ტერიტორიული, ნაციონალური, რელიგიური, ეკონომიური, სამხედრო-სტრატეგიული, სამეცნიერო-ეკონომიური და ა.შ. მაგრამ მთლიანობაში კონფლიქტი ყოველთვის იღებს პოლიტიკურ სახეს, რადგან ეს წინააღმდეგობები და დაპირისპირებები გაიაზრება და წყდება სახელმწიფოების მიერ განხორციელებადი საგარეო პოლიტიკის ფორმების მექანიზმებით.

საერთაშორისო კონფლიქტის წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია არა მარტო ობიექტურ სახელმწიფოთა შორის წარმოშობილ დაპირისპირებებზე, არამედ ისეთ სუბიექტურ ფაქტორზე, როგორიცაა თვითონ ქვეყანათა საგარეო პოლიტიკა. კონფლიქტი წარმოიშობა, მზადდება და წყდება სახელმწიფოთა გააზრებული, მიზანმიმართული საგარეო პოლიტიკით, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის სუბიექტური ფაქტორი, როგორიცაა მასში მონაწილე პოლიტიკური მოღვაწეების პირადი დახასიათება. ზოგჯერ ლიდერთა შორის დამოკიდებულებამ შეიძლება იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე, მათ შორის კონფლიქტური სიტუაციის განვითარებაზე.

საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკისათვის ცნობილია საერთაშორისო კონფლიქტების სხვადასხვა ტიპები და სახეები. თუმცა ერთიანი, ყველას მიერ აღიარებული საერთაშორისო კონფლიქტების ტიპოლოგია არ არსებობს. საერთაშორისო კონფლიქტების კლასიფიკაციაში ყველაზე ხშირად გვხვდება მათი დაყოფა სიმეტრიულად და ასიმეტრიულად. სიმეტრიულებს მიეკუთვნება ის კონფლიქტები, რომლისთვისაც დამახასიათებელია მასში მონაწილე ერთნაირი ძალის მქონე მხარეები. ასიმეტრიული კონფლიქტები – ესაა სხვადასხვა პოტენციის მქონე მხარეებს შორის კონფლიქტები.

კანადელმა კონფლიქტოლოგმა ა. რაპორტმა წარმოადგინა კონფლიქტების საინტერესო კლასიფიკაცია: მან კრიტერიუმად გამოიყენა საერთაშორისო კონფლიქტის მიმდინარეობის ფორმა. მისი აზრით, კონფლიქტების სამი სახე არსებობს: „ბრძოლის“, „თამაშის“ და „დებატების“. მშვიდობისა და უშიშროებისათვის ყველაზე სარისკოა „ბრძოლის“ ფორმის კონფლიქტი. თვითონ სახელწოდება ამბობს, რომ მასში მონაწილე მხარეები თავიდანვე საომრად არიან განწყობილი და ცდილობენ მაქსიმალური ზარ-

ალი მიაყენონ ერთმანეთს, მიუხედავად ნეგატიური შედეგისა მათთვის. ასეთ კონფლიქტში მონაწილეთა ქცევა შეიძლება შეფასდეს ირაციონალურად, რადგან ისინი მიუღწევად მიზანს ისახავენ, არაადეკვატურად აღიქვამენ საერთაშორისო სიტუაციას და მოპირდაპირე მხარის მოქმედებას.

პირიქით, კონფლიქტი, რომელიც ვითარდება „თამაშის“ ფორმით, მონაწილეების მოქმედება განისაზღვრება რაციონალური მოსაზრებებით. მიუხედავად გარეგნული საბრძოლო შემართებისა, მონაწილეები ცდილობენ არ მიიყვანონ თავიანთი დამოკიდებულება უკიდურესობამდე. გადაწყვეტილება მიიღება ყველა გარემოებების და ფაქტორების გათვალისწინებით, რაც დაფუძნებულია სიტუაციის ობიექტურად შეფასებაზე.

კონფლიქტი, რომელიც ვითარდება როგორც „დებატი“ დამახასიათებელია მონაწილეთა სწრაფვა, გადაჭრან კონფლიქტური დაპირისპირება კომპრომისების გამოყენებით.

საერთაშორისო კონფლიქტი შეიძლება განიხილოთ როგორც საერთაშორისო ურთიერთობების და-

მოუკიდებელი გამოვლინება. საერთაშორისო კონფ-ლიქტების სუბიექტები შეიძლება იყვნენ სახელმწი-ფოები, სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებები, საერ-თაშორისო ორგანიზაციები – გაეროს ჩათვლით, ორ-განიზაციებად გაერთიანებული პოლიტიკურ საზოგა-დოებრივი ძალები ქვეყნის შიგნით და საზოგად-ოებრივ არენაზე. კონფლიქტის დროს შეიძლება შეი-ცვალოს მისი ხარისხი და დაინტერესებული მხა-რეების ხასიათიც, კონფლიქტის ადგილი და მასში მონაწილეების იერარქიის მიზნები. შეიძლება გაფა-რთოვდეს ან შემცირდეს მონაწილეთა რიცხვი, შეი-ძლება შეიცვალოს მონაწილე და დაინტერესებული მხარეები.

საერთაშორისო კონფლიქტის განვითარების კვ-ლევა საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ ბევრი მისი მიზეზის კვლევის ასპექტი, რაც მნიშვნე-ლოვანია ანალიზისათვის, ხოლო მისი მიზეზის და სტრუქტურის შესწავლა ძირითადად კონფლიქტის სტრუქტურული, ფუნქციონალური მხარის გამოკვ-ლევას უწყობს ხელს. არ შეიძლება საერთაშორისო კონფლიქტის ეს ასპექტები განვიხილოთ ერთმანე-თისაგან იზოლირებულად. კონფლიქტის თანამიმ-

დევრულად ცვალებადი ფაზა გვაძლევს საშუალებას განვიხილოთ იგი, როგორც ერთიანი პროცესი, რომელსაც ახასიათებს სხვადასხვა ურთიერთდამოკიდებული მხარეები.

საერთაშორისო კონფლიქტების განვითარების ფაზა – არაა ნებისმიერი დროის აბსტრაქტული მონაკვეთი, რომლის დროსაც ვითარდება მოცემული კონფლიქტი: ისინი რეალურად განისაზღვრება ისტორიული, სოციალური მიზეზებით, ეს მიზეზები ვლინდება კონკრეტულ თვისებებში, რომელიც შეეხება იმ სახელმწიფოთა შიდა მახასიათებლების ცვალებადობას, რომლებიც მონაწილეობენ კონფლიქტებში, საერთო პოლიტიკური და კონკრეტული ინტერესები, მიზანები, საშუალებები, საგარეო კავშირები და მხარეთა პასუხისმგებლობები, მასშტაბები და კონფლიქტის განვითარების ინტენსიურობა, ახალი მონაწილეების ჩაბმა და ამ კონფლიქტისთვის დამახასიათებელი ბრძოლის ხერხების, კავშირების და პასუხისმგებლობების საერთაშორისო პირობებთან, რომელშიც ვითარდებოდა კონფლიქტი.

მოცემული კონფლიქტის არსთან დაკავშირებით შინაარსი და ფორმა, მისი მონაწილეების მიზანი და კონკრეტული ინტერესები, გამოყენებული საშუალებები და შესაძლებლობები მოქმედების დამატებითი საშუალებების შეტანის ახალი მონაწილეების ჩაბმა ან გამოსვლა და საერთაშორისო კონფლიქტის პირობების განვითარება შეიძლება ვითარდებოდეს სრულიად სხვადასხვა, მათ შორის არასტანდარტული წინასწარ გაუთვალისწინებელი ფაზებით. ზოგიერთი ფაზა შეიძლება ამოვარდეს მთლიანად, შეიქმნას ცარიელი სივრცე ამა თუ იმ კონფლიქტის ტიპიურ განვითარებაში. შეიძლება წარმოიშვას ასევე მოულოდნელი ფაზები, რომლებიც შეცვლის კონფლიქტის ტიპიურ სურათს. კონფლიქტის ფაზები შეიძლება შემჭიდროვდეს ან გაიწელოს დროში, დაიყოს ნაწილებად. საერთაშორისო კონფლიქტმა, თავის განვითარებაში, რამოდენიმე დღეში ან საათში გააკეთოს ნახტომი ფაზებს შორის, მაგრამ შეუძლია განვითარდეს ნელ-ნელა. შეიძლება ის ვითარდებოდეს ფაზიდან-ფაზამდე, იზრდებოდეს, მაგრამ ამავე დროს შესაძლებელია, რომ ერთ ადგილას იტკეპნებოდეს, მე-

ორდებოდეს ეს ფაზები და დაიწიოს კონფლიქტის დონემ.

საერთაშორისო კონფლიქტის პირველი ფაზაა – პრინციპული პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც ჩამოყალიბდა ობიექტური და სუბიექტური წინააღ-მდეგობების საფუძველზე, საერთაშორისო არენაზე დაპირისპირებული მხარეების ეკონომიკური და პო-ლიტიკური ინტერესები და მისთვის დამახასია-თებელი ეკონომიკური, იდეოლოგიური, სამხედრო-სტრატეგიული, დიპლომატიური ურთიერთობა მოცე-მულია დაპირისპირების გამოხატული შეფარდებით მწვავე კონფლიქტურ ფორმაში.

მეორე ფაზაა – კონფლიქტური მხარეების მიერ განსაზღვრული ინტერესები, მიზნები, სტრატეგიები და ბრძოლის ფორმები ობიექტური და სუბიექტური დაპირისპირების გადაჭრისათვის პოტენციალის და შესაძლებლობის გათვალისწინებით მშვიდობიანი და არ-მშვიდობიანი საშუალებებით, გარეშე კავშირების გამო-ყენებით და ვალდებულებებით; შიდა და საერ-თაშორისო სიტუაციის შეფასებით. ამ ფაზაში მხა-რეების მიერ განისაზღვრება ან თითქმის რეალურად

ტარდება პრაქტიკული ღონისძიბები, რომლებიც ატარებენ ბრძოლის და თანამშრომლობის ხასიათს, რომლის მიზანიცაა გადაჭრას დაპირისპირება ამა თუ იმ ქვეყნის ინ-ტერესების დასაცავად, მათ შორის კომპრომისის საფუძველზე.

მესამე ფაზა – მხარეების მიერ კონფლიქტში გამოყენებული ფართო დიაპაზონის ეკონომიკური, პოლიტ-იკური, იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური, მორალური, სამართლებრივი, დიპლომატიური და სამხედრო (მაგრ-ამ არა პირდაპირი საომარი ფორმით) საშუალებები, სხვა სახელმწიფოების ჩარევა ამა თუ იმ ფორმით, კონფლიქტში უშუალოდ მონაწილე მხარეების ბრძოლაში – ინდივიდუალურად, ბლოკებისა და მოლაპარაკებების საშუალებით, გაეროს საშუალებით – შემდგომი გართულებული სისტემის პოლიტიკური დამოკიდებულებით და კონფლიქტში მონაწილე უშუალო თუ გარეშე ძალების მოქმედება.

მეოთხე ფაზაა – ბრძოლის გაძლიერება ყველაზე უმაღლეს პოლიტიკურ დონემდე – საერთაშორისო პოლიტიკურ კრიზისამდე, რომელიც მოიცავს უშუალო მონაწილეების კონფლიქტს, მოც-

ემული და სხვა რეგიონების სახელმწიფოებს, მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოები, გაერო და რიგ შემთხვევაში მთელი მსოფლიო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრიზისი შეიძლება გადაიზარდოს მსოფლიო კრიზისში, რაც შეიცავს შეიარაღებული კონფლიქტის საშიშროებას.

მეხუთე ფაზაა – საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტი დაწყებული შეზღუდული კონფლიქტით, თანამედროვე უახლესი იარაღის გამოყენებით უდიდეს სამხედრო ბრძოლაში გადაზრდის შესაძლებლობით, მოკავშირეების და უდიდესი მსოფლიო სახელმწიფოების ჩარევის და ტერიტორიების გაფართოებით.

საერთაშორისო კონფლიქტების ეკონომიკური განვითარების შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია მათი აცილებისა და რეგულირებისათვის. კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში აუცილებელია მისი ლოკალიზაციისკენ სწრაფვა, დაკონსერვება საწყის სტადიაში. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საერთაშორისო პოლიტიკური კრიზისის ფაზა. მისი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მჭიდროდ

აკავშირებს კონფლიქტურ მხარეებს სამხედრო შეტა-კებამდე. საერთაშორისო კრიზისის დროს სიტუაცია იცვლება სწრაფად, იზრდება და აქტიურდება სამხე-დროთა როლი, რომლებმაც ნებით თუ უნებლიეთ შეიძლება უბიძგონ კონფლიქტის მონაწილეებს ძა-ლის გამოყენებისაკენ. ცივი ომის დროინდელი საე-რთაშორისო პოლიტიკური კრიზისი შეიცავდა დიდ საშიშროებას, ასევე შეეძლო გამოეწვია თერმო-ბირთვული კატასტროფა. იმ დროს ყველაზე ცნობი-ლი კრიზისი იყო 1962 წლის „კარიბის ზღვის კრიზ-ისი“, რაც დაკავშირებული იყო ფ. კასტროს მიერ კუბაში ძალაუფლების მოპოვებასთან, რომლის დრო-საც დაუპირისპირდა აშშ-ს და სსრკ-ს ინტერესები. იმ დროს ძალიან სწრაფად განვითარდა კონფლიქ-ტის დასაწყისი ფაზები და გადაიზარდა არა მხოლ-ოდ საერთაშორისო კრიზისში ამ ქვეყნებთან დაკავ-ში-რებით, არამედ გლობალურ კრიზისში.

ამ პერიოდის მოვლენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შექმნილი სიტუაციის მიზეზი იყო ორივე სახე-ლმწიფოების მეთაურების შეცდომები, საპირისპირო მხარის მოქმედებების არასწორი შეფასებები. კარი-ბის კრიზისის გაღვივებაში დიდი როლი მიეკუთ-

ვნება საბჭოთა ლიდერს ნიკიტა ხრუშჩოვს, რომელმაც ვერ შეაფასა ამერიკის ახალგაზრდა პრეზიდენტის ჯ. კენედის პოტენციალი, ის საერთაშორისო საქმეებში გამოუცდელად ჩათვალა, მიუხედავად ამისა, ბოლო წუთებში ნ. ხრუშჩოვმა და ჯ. კენედიმ შესძლეს უფსკრულის პირას შეჩერება და გამონახეს გზები კუბის გარშემო კონფლიქტური სიტუაციის დარეგულირების.

ცივი ომის დროინდელი ძალიან ბევრი კონფლიქტი მომზადებული იყო მოპირდაპირე ბლოკების მიერ, ზოგიერთის უკან იდგა ორი ზესახელმწიფო – აშშ და სსრკ. ცივი ომის დამთავრების შემდეგ შესაძლებელი გახდა გახსნილიყო გზა ზოგიერთი ამ კონფლიქტის გადაჭრისა, მაგრამ ამავე დროს წარმოიშვა დაძაბულობის ახალი კერები, პლანეტის ბევრ რეგიონში იღვრება სისხლი, მთლიანად არ გამქრალა გლობალური შეიარაღებული შეტაკების საშიშროება, ამიტომ საერთაშორისო უშიშროების პრობლემა აქტუალურია წინანდებურად.

თეორიაში და პრაქტიკაში არსებობს მრავალი გზა კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსვლისა. საერთა-

შორისო კონფლიქტის შემთხვევაში, რომელიც უკვე გადასულია შეიარაღებული ბრძოლის ფაზაში, მხარეები ისწრაფვიან საბრძოლო გამარჯვებისკენ და გამარჯვებული კარნახობს თავის ნებას დამარცხებულს. კონფლიქტი წყდება, მაგრამ იგი მომავალში შეიძლება განახლდეს. ასე მაგალითად, პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა გერმანიის და მისი მოკავშირეების დამარცხებით და სამშვიდობო პირობები ნაკარნახევი იყო ანტანტის მხარეების მიერ, თუმცა შეზღუდვები და დამცირება, რომლებიც იყო დაკავშირებული ვერსალის სამშვიდობო მოლაპარაკებებთან გახდა მასაზრდოვებელი ნიადაგი გერმანელთა შორის წარმოშობილი და გაზრდილი რევანშისტული განწყობის, რამაც ხელი შეუწყო ჰიტლერს სახელმწიფოს სათავეში მოსვლას. საბოლოოდ მან წარმოშვა ახალი მსოფლიო ომი. ერთი მხარის გამარჯვება და მეორე მხარის კაპიტულაცია სამხედრო დამარცხების შედეგად წარმოადგენს ცალმხრივ გზის კონფლიქტის განახლებისკენ, გზას, რომელიც ეყრდნობა ძალის გამოყენებას.

კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის გზები მოითხოვს მასში მონაწილე ყველა მხარის ძალისხმე-

ვას. კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება – ფართე ცნებაა, რომელიც მოიცავს კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსვლის რამოდენიმე მიმართულებას.

**პირველი** – ესაა კონფლიქტების გადაჭრა – ანუ მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა, რომელიც მთავრდება კონფლიქტის დამთავრების შეთანხმების ხელმოწერით. **მეორე** – არის კონფლიქტის რეგულირება. რეგულირების არსი მდგომარეობს იმაში, რომ კონფლიქტის ღრმა მიზეზები მთლიანად არ აღმოიფხვრება, მაგრამ შეიძლება შემდგომში მისი ჩარჩოში მოთავსება, რაც იძლევა დაინტერესებული მხარეების გარანტიას მინიმალური უსაფრთხოებისა. კონფლიქტის რეგულირების ხელშეკრულებაში მოცემულია პირობები, რომ კონფლიქტი არ განვითარდება ცუდი სცენარით, ამავე დროს მისი მთლიანად გადაწყვეტა გადატანილია მომავალში. **მესამე** – ეს არის კონფლიქტის აცილების გზა, ანუ შეიარაღებული ფაზის არ დაშვება. თუ დაიწყო შიარაღებული მოქმედება მესამე ვარიანტი შესაძლებელს ხდის შეთანხმებას შერიგების შესაძლებლობას. უკიდურეს შემთხვევაში ცეცხლის შეწყვეტას. თუ გავი-

თვალიწინებთ საშიროებას, რომელიც თან სდევს შეიარაღებულ ბრძოლას, მისი არ დაშვება და შეწყვეტა არის ძალიან ფასეული.

კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება ყველა ვარიანტში გულისხმობს მოლაპარაკებების წარმოებას. მოლაპარაკების პროცესი კონფლიქტის სიტუაციაში, მით უმეტეს საერთაშორისო არის ძალიან რთული და ახასიათებს სპეციფიკა და იგი იყოფა რამოდენიმე ეტაპად.

* **პირველი ეტაპი** – მოლაპარაკების მომზადებაა;

* **მეორე ეტაპი** – მონაწილეები უყენებენ ერთმანეთს თავის წინადადებებს, ამავდროულად აკრიტიკებენ მოპირდაპირე მხარის პოზიციებს;

* **მესამე ეტაპი** – ნიშნავს მოლაპარაკების ძირითადი საკითხების გარშემო დისკუსიაზე გადასვლას;

* **მეოთხე ეტაპი** – მოლაპარაკების ფინალურ ეტაპზე ან იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას, დოკუმენტს (საბუთს), ან საბოლოოდ შედის ჩიხში მოლაპარაკება.

მოლაპარაკებები ასრულებს რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს. მათ შორის ძირითადია – მოლაპარაკების ცენტრში მყოფი პრობლემის ერთობლივად გადაჭრა. ამის გარდა მოლაპარაკებები ასრულებს საინფორმაციო კომუნიკაციურ ფუნქციას. მოლაპარაკების მსვლელობისას მხარეებს შეუძლიათ გაცვალონ ინფორმაცია, რომელიც ეხება არა მარტო უშუალოდ პროცესს, არამედ სხვა საკითხებსაც ორივე მხარისათვის საინტერესოს. სანამ მიმდინარეობს მოლაპარაკებები, მის მონაწილეებს აერთიანებს კომუნიკაციის მყარი ხაზები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია კონფლიქტური სიტუაციის პირობებში, როცა ნორმალურ ურთიერთდამოკიდებულება დარღვეულია. საერთაშორისო პრობლემების განსაკუთრებულ სიტუაციებში მოლაპარაკებებმა შეიძლება შეასრულოს რომელიმე შიდაპოლიტიკური პრობლემის გადაჭრის ფუნქცია.

სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებენ მოლაპარაკების კიდევ ერთ ფუნქციაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ მის შინაარსთან. ეს ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ მოლაპარაკებაში მონაწილე პირები მიმართავენ არა მხოლოდ პარტნი-

ორებს, არამედ თავისი ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს, სოციალურ ჯგუფებს და პოლიტიკურ ძალებს იმისათვის, რომ მიიღონ მათი მხარდაჭერა და შესაძლებელია შეცვალოს მათი აზრი და მოქმედება მათი ინტერესების შესაბამისად. მოლაპარაკებების პროპაგანდისტული ფუნქციის მკაფიო მაგალითია ლ. ტროცკის მოქმედება 1918 წ. ბრესტ-ლიტოვსკში. ბოლშევიკური რევოლუციის ერთ-ერთმა ლიდერმა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა უხელმძღვანელა საბჭოთა რუსეთის დელეგაციას გერმანიას, ავსტრია-უნგრეთის და მათ მოკავშირეებთან მოლაპარაკების დროს. ტროცკს აღელვებდა ის საკითხები, რომელსაც იხილავდნენ პროფესიონალი დიპლომატები. მისთვის მნიშვნელოვანი იყო არა იმდენად ზავის დადება ქვეყნისათვის სასურველი პირობებით, არამედ მაგალითი მიეცა ევროპული და მსოფლიო რეოლუციებისათვის თავისი ტერიტორიული კონცეფციების შესაბამისად. ამიტომ ტროცკი მიმართავდა არა გერმანელ გენერლებს და დიპლომატებს, არამედ მათ „თავს ზემოთ“ – „გერმანელ საერთაშორისო პროლეტარიატს“. ბრესტის ხელშეკრულებები დასრულდა მისი უაზრო და უპასუხი-

სმგებლო განცხადებით. „საბჭოთა რუსეთი წყვეტს ომს, სამშვიდობო ხელშეკრულებას არ აწერს ხელს, არმიას უკეთებს დემობილიზაციას“. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკების პროცესის ფიტა-ციურ-პროპაგანდისტული ფუნცია ახდენს ნეგატიურ გავლენას მის შინაარსზე.

საერთაშორისო მოლაპარაკებებისთვის საჭიროა სპეციალური მომზადება, რომლის დროსაც განი-საზღვრება მისი დრო, ადგილი, ყალიბდება დღის განრიგი, განისაზღვრება წარმომადგენელთა დონე. რადგან კონფლიქტის პირობებში ამ საკითხების ტე-ქნიკური გადაწყვეტა არ არის ადვილი, ზოგჯერ ხდება საჭირო „მოლაპარაკებები – მოლაპარაკებე-ბზე“.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა მოლა-პარაკებების პროცესის დაწყებისათვის არის მოლა-პარაკებული სივრცის ქონა, ანუ სიტუაცია, რომლის დროსაც შესაძლებელია თეორიულად მიაღწიონ ორივე მხარისათვის რამე მისაღებ დათმობებს. თუ არ არსებობს მოლაპარაკებული სივრცე, მაშინ საჭ-იროა კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსვლის სხვა

ხერხების მოძებნა, ან საკუთარი პოზიციების ხელ-ახლა გადახედვა. ასეთი მოლაპარაკებების სივრცის არ ქონის მაგალითია ჩეჩნეთი. საომარი მოქმედებ-ების განახლების შემდეგ რუსეთში და მის საზღვრე-ბს გარეთ ხშირად ისმოდა მოწოდებები დაწყებულ-იყო მოლაპარაკებები რუსეთის ხელისუფლებასა და ჩეჩენ სეპარატისტებს შორის, მაგრამ ამ შემთხვევაში არ არსებობდა მოლაპარაკების სივრცე, რადგან ერ-თი მხარე ეჭვის გარეშე განიხილავდა ჩეჩნეთს, როგ-ორც რუსეთის შემადგენელ ნაწილს, ხოლო მეორე იკავებდა სრულიად საპირისპირო პოზიციას.

## მსოფლიო პოლიტიკა და მსოფლიო ეკონომიკა გლობალიზაციის პირობებში

არსებობს მრავალი მცდელობა, მიეცეს ყოვლისმო-მცველი განმარტება გლობალიზაციას, მაგრამ შეუძ-ლებელი გახდა საერთო განმარტების მიცემა. თუმცა ბევრისთვის მისაღებია გლობალიზაციის თანამედრ-ოვე ეტაპის განმარტება, რომელიც ენტონი გიდენსის მიერ არის შემოთავაზებული. იგი მას განსაზღვრავს

„როგორც მსოფლიო დამოკიდებულების ინტენსიფიკაცია“ დამაკავშირებელი ერთმანეთისგან დაშორებული ადგილებისა ისე, რომ ლოკალური მოვლენები ყალიბდება მრავალი მილის მოშორებით მიმდინარე მოვლენებით და პირიქით.

ამრიგად, საუბარია მსოფლიო ეკონომიკის და პოლიტიკის ყველა სეგმენტის მზარდ ურთიერთკავშირზე, დღეს გლობალიზაცია ნიშნავს ინტეგრაციული პროცესების ახალ ეტაპს მსოფლიოში და იწვევს მთელი კაცობრიობის ჩაბმას ერთიან ღია სისტემაში საფინანსო-ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ კავშირებში უახლოესი საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო საშუალებების საფუძველზე. მუდმივად უსვავს ხაზს დღეს მიმდინარე გლობალური ცვლილებების ეკონომიკურ საფუძველს. სხვადასხვა ავტორები გამოყოფენ გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტებს, მაგალითად საორგანიზაციო მართვითი, ეკონომიკურ-ტექნიკური, სივრცობრივი, კულტურული, პოლიტიკური.

სინამდვილეში გლობალიზაცია არ აღმოჩნდა ისე „გლობალური“ და უნივერსალური, როგორც წარმო-

გვედგინა. ის სრულიად რეალურია და, უპირველეს ყოვლისა, არის საერთო ვექტორი მსოფლიოს განვითარებისა. თავისებურად გამაწონასწორებელი სხვადასხვა ძალების და ტენდენციებისა. იგი განსაზღვრავს მეტად მნიშვნელოვანი და გავლენიანი კლასის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა პროცესებს სხვადასხვა დონეზე, წარმოშობენ ასევე სხვადასხვა პრინციპებს, წესებს, ნორმებს და პროცედურებს გადაწყვეტილების მისაღებად. თანამედროვე ეტაპის გლობალიზაციის დახასიათებისას უნდა გავითვალისწინოთ სამი მნიშვნელოვანი ისტორიული მდგომარეობა:

**1)** საბჭოთა ბლოკის დაშლა და პოპულარული სისტემის, საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოება.
**2)** მსოფლიო განვითარების ლიდერი ქვეყნების გადასვლა პოსტინდუსტრიულ სტადიაში.

**3)** მსოფლიო ეკონომიკის რეგიონალიზაცია.

***** კაპიტალის, მოძრაობის მასშტაბების და ტემპების ცვალებადი ზრდა.

***** საერთაშორისო საწარმოების ქსელების შექმნა, სიმძლავრეების სწრაფად განვითარება უნიფიცირებ-

ული და სტანდარტული პროდუქციის წარმოებისათვის.

* მსოფლიო საფინანსო ბაზრების ჩამოყალიბება, რომლებშიც ტარდება ოპერაციები სწრაფად და პრაქტიკულად, 24 საათის განმავლობაში.

* საფინანსო სფეროს ჩამოყალიბება, რომელიც განსაზღვრავს მრეწველობის განვითარების, სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის მომსახურების სფეროს. დღეისათვის საფინანსო სფერო თვითონ ყალიბდება „რეალურ ეკონომიკად“.

* მსოფლიო საფინანსო ბაზრების გამოსვლა ცალკეული სახელმწიფოების იურისდიქციიდან.

* ახალი, მძლავრი ეკონომიკური სუბიექტების შექმნა ტრანსნაციონალური კორპორაციების გაერთიანებისა და გადაყლაპვის შედეგად.

* მკვეთრად გაფართოვება შრომის ბაზრის, მუშათა ბაზრის და მათი სტრუქტურების ცვლა, რომელიც წარმოებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯზე, რამაც გამოიწვია ერთის მხრივ მასობრივი მიგრაცია განვითარებულ ქვეყნებში და საგრძნობლ-

ად შეცვალა ტრადიციული ეთნიკური შემადგენლობა მოსახლეობისა, რამაც წარმოშვა ზოგიერთ მათგანში სოციალური დაძაბულობა, მეორეს მხრივ – წარმოების მიგრაცია, ევროპიდან და აშშ-დან რეგიონებში, სადაც შენარჩუნებულია ცხოვრების ტრადიციული წესები. ამან თავის მხრივ წარმოიშვა ანკლანური მოდერნიზაციის ფენომენი, მესამე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და ასევე გამოიწვია სოციალური დაძაბულობის ზრდა.

* წარმოიშვა თავისებური შემოსავლების გადანაწილება განვითარებული ჩრდილოეთის სასარგებლოდ. ასეთი გადანაწილების მკაფიო მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ ცნობილი „ფასების მაკრატელი“ – მზარდი განსხვავება ნედლეულის და მზა პროდუქციის ფასებისა. ასეთი გადანაწილება ჩრდილოელი ქვეყნების სასარგებლოდ წარმოადგენს გეოეკონომიკური რენიტული გადასახადის არსს, რაც წარმოადგენს თავისებურ გლობალურ გადასახადს ეკონომიკურ საქმიანობაზე.

* მსოფლიო ეკონომიკის ფარგლებში ვლინდება მისი სპეციალიზირების სეგმენტები: თვითმყოფადი

„დიდ სივრცეების“. გაერთიანებული კულტურული ისტორიული კოდებით, სამეურნეო საქმიანობის სტილით, საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით და სტრატეგიული მიზანმიმართულებით. ყალიბდება მსოფლიო სისტემა „ეკონომიკური პლურალიზმის“ სამი ცენტრით: ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა – აშშ-ს ეგიდით, ევროპა – ევროკავშირის ეგიდით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია – იაპონიის ეგიდით.

გლობალიზაციის პროცესი ასევე დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე და მის ცვლილებაზე. საუბარია, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალური სახელმწიფოების როლის შემცირებაზე და არასახელმწიფოებრივი აქტორების როლის გაზრდაზე ახალი საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნაზე.

მთლიანობაში გლობალური სამყაროს საერთაშორისო ურთიერთობების ახალ დამახასიათებელად შეიძლება გამოვყოთ:

* არა სახელმწიფო აქტორების ეკონომიკური პოტენციალის ზრდა და მისი დამოუკიდებლობის მოთხოვნის რეალიზაცია საერთაშორისო სფეროში.

* სახელმწიფოთა შიდა და გარე პოლიტიკის საზღვრების მოშლა.

* წარმოიქმნება პირობები, რომლის დროსაც გეოეკონომიკური და გეოფინანსური ძალაუფლება კარნახობს მსოფლიოს თამაშის თავის წესებს, რაც ქმნის თავისებურ ნეოლიბერალური გლობალიზაციის საკანონმდებლო ბაზას, გეოპოლიტიკა ამართლებს მათ, ხოლო სამხედრო კომპონენტი იცავს. დიპლომატია ამ შემთხვევაში ხელოვნების სფეროდან გადადის მსოფლიოს ეკონომიკურად გარდაქმნის ტექნიკურად გაფორმების დონეზე.

ამის გარდა გლობალიზაციამ საერთაშორისო არენაზე გამოიყვანა მოქმედი პირების მთელი ჯგუფი (საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, ეკოლოგიური და სამართალდამცავი ორგანიზაციები, რელიგიური მოძრაობები, ტერორისტული ჯგუფები, დანაშაულებრივი გაერთიანებები, კვლევითი ცენტრები და ბევრი სხვა). ძალიან განსხვავებულია თავისი მიზნებით და ინტერესებით, რაც ტრადიციული დიპლომატიას აქცევს, როგორც ერთ-ერთ მრავალთა შორ-

ის, საერთაშორისო ურთიერთობების აზრად და საკ-ამათო პრობლემის მოსაგვარებელ მექანიზმად.

გლობალიზაციის პირობებში ფართოვდება არეალი და ინტენსიური, ეკონომიკური, კულტურული, ფინა-ნსური კავშირები მთელს მსოფლიოში. გლობალიზა-ცია, რომელიც აღნიშნავს გლობალური ეკონომიკუ-რი პროცესების ადაპტაციას ადგილობრივ პირობებ-ში, ან უფრო ფართოდ – იგი საზღვრავს ჩახლართუ-ლი პროცესების და ურთიერთ ადაპტაციის გლობა-ლური „მიმდინარეობების“ და კულტურული ტრადი-

ციების და „ადგილების“ სოციალურ უმოქმედობას.

ავტორი წიგნისა „კონკურენციის საზღვრები“ გვა-ფრთხილებს, რომ მსოფლიოში უკვე მიდის ბრძოლა სრულების გარეშე, მაგრამ ბრძოლა სიცოცხლისათ-ვის. ეს არის ბრძოის ახალი სახე – „ფსიქოლოგი-ურ-ეკონომიკური ომი გლობალური მართვისათვის“.

კონკურენცია მსოფლიოში იქცა „უნივერსალურ კრედო იდეოლოგიად“; ტრანსნაციონალისტური კომ-პანიები განიხილავენ მთელ პლანეტას როგორც ერთ მსოფლიო ბაზარს, გლობალიზაცია ქმნის განხეთქი-

ლების ზრდის საშიშროებას სახელმწიფოთა კეთილ-
დღეობათა შორის – ამ პირობებში შეუძლიათ განმ-
ტკიცდნენ არა მარტო ისინი, რომელთა განკარგულ-
ებაშია უახლოესი ტექნოლოგიები და იაფფასიანი,
კვალიფიციური და მოქნილი სამუშაო ძალა“.

ამრიგად, ეკონომიკურ სფეროში მიღებული განვი-
თარების შედეგად XX ს-ის ბოლოს გლობალიზაცია
გასცდა მის საზღვრებს და რეალურად იწყო მსოფ-
ლიოს პოლიტიკური სტრუქტურის გარდაქმნა. ამიტ-
ომ დღეს მკვლევართა ყურადღების ცენტრშია გლო-
ბალიზაციის ისეთი წინააღმდეგობები, როგორიცაა:

* ურთიერთკავშირი საერთო საკაციობრიო ინტერ-
ესებისათვის მსოფლიოში, ნაციონალური და ეთნიკ-
ური თავისებურებები.

* გლობალიზაციისა და იდენტურობასთან სწრაფვ-
აში ხალხთა თვითგამორკვევაში, სოციალურ საზოგ-
ადოებაში, პიროვნულობაში.

* საზოგადოებრივ წესრიგში, სახელმწიფოს შიგნ-
ით შენარჩუნებული წესრიგი და „ბუნებრივი გარემო-

ებებით“ გამეფებული საერთაშორისო ურთიერთობე-
ბი და ა.შ.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. რ. გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი, პოლიტიკა; თბ., 2003წ.
2. თ. გრიგოლია, მ. ამირგულაშვილი, ზ. კვეტენაძე; შავი ზღვის აუზში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები (1991-2008); თბ., 2009
3. ზ. დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზმი; თბ., 2003წ.
4. ა. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 1996წ.
5. ქ. ჯიჯეიშვილი, მსოფლიო პოლიტიკა; თბ., 2004წ.
6. გ. ჭანტურია, საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფია; თბ., 2004წ.
7. გ. ჯოლია, ქვეყანათმცოდნეობა, აზია, ამერიკა, ოკეანეთი; თბ., 2003წ.
8. გ. ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; თბ., 2002წ.
9. ამერიკის შესწავლის საკითხები; თბ., 2002წ.
10. В.П. Максаковский, Историческая география мира,М.,1998г.

11. И. А. Родионова, Экономическая география, М.,2003г.
12. М.М. Голубчик, Политическая картина мира, Справочное учебное посовие, Смоленск, СГУ, 2001г.
13. Е.Н. Перцик, Города мира. География мировой урбанизаций, М., 1999гю
14. К.А. Семенов, Международная экономическая интеграция, М., 2001г.
15. Глобальние экономические проблеми на пороге XX века, М.. 1998г.
16. D. Held, Global transformation, Stanford 1999.
17. I. Wellerstein, The politics of the world economy, Combridze, 2005.

# შინაარსი

1. შესავალი ——————————————— 3
2. ამერიკის ეკონომიკური დარაიონება ——— 6
3. ნიუ-იორკი — ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური დედაქალაქი ———— 10
4. „ოქროს შტატი“ კალიფორნია ————— 19
5. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები ————-27
6. აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების საერთაშორისო დახასიათება ————— 34
7. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მსოფლიო ბაზარზე ————————————- 69
8. საერთაშორისო გეოგრაფიული შრომის გადანაწილების ცნება ——————————— 74
9. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია - 77
10. მსოფლიო მეურნეობის ტრანსნაციონალიზაცია ——————————————— 80
11. ტერიტორია როგორც განთავსების ფაქტორი ——————————————— 88
12. მსოფლიო ნავთობმრეწველობა ————— 90

13. მსოფლიო ფინანსური ბაზარი ———————— 93
14. სინგაპური, როგორც ახალი ინდუსტრიალური განვითარების ქვეყნის მაგალითი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ———————————— 99
15. ნავთობისა და გაზის საბადოები – გიგანტები სპარსეთის ყურის ზონაში ———————— 113
16. ჩინეთის საგარეო ეკონომიკური კავშირე–ბი ———————————————————— 128
17. იაპონია: ტერიტორია, საზღვრები, მდგომარე-ობა, მოსახლეობა ———————————— 135
18. ტოკიო – მსოფლიოს ყველაზე დიდი ქალა-ქი ———————————————————— 138
19. იაპონიის განვითარების მოდელი ———— 147
20. იაპონიის ელექტროენერგეტიკა ————— 149
21. იაპონიის მანქანათმშენებლობა ————— 154
22. იაპონიის წყნარი ოკეანის სარტყელი ——— 158
23. იაპონური ტექნოპოლისები ———————— 161
24. გარემოს დაბინძურება და იაპონიის ეკოლო-გიური პრობლემები ———————— 163
25. იაპონიის საერთაშორისო ეკონომიკური კავ-შირები ———————————————— 165

26. მსოფლიოს ნავთობის მრეწველობა ——— 171
27. გათხევადებული ბუნებრივი გაზით საერთაშორისო ვაჭრობა ——————————— 183
28. აფრიკულ – დასავლეთევროპული გაზსატრანსპორტო სისტემა ——————————— 192
29. მსოფლიო ოკეანეში ნავთობის და ბუნებრივი გაზის მოპოვება ——————————— 195
30. მსოფლიო ელექტროენერგეტიკა ———— 198
31. მსოფლიოს ატომური ენერგეტიკა ——— 207
32. მსოფლიოს ურანის მრეწველობა ——— 214
33. საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის და მართვის თეორიული საფუძვლები ——— 217
34. მსოფლიო პოლიტიკა და მსოფლიო ეკონომიკა გლობალიზაციის პირობებში ———— 235
35. გამოყენებული ლიტერატურა ———— 245

**იბეჭდება ავტორის მიერ წარმოდგენილი სახით**

გადაეცა წარმოებას 01.05.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.05.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15,5. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი,
კოსტავას 77

Verba volant,
scripta manent